პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- ვილნოს (პოლონეთი) სასამართლომ გაამართლა სეიმის უკრაინელი დეპუტატები.
- ფეიქართა გაფიცვა ბელოსტოკში გრძელდება.
- კონფლიქტი ინგლისსა და ეგვიპტეს შორის.
- საფრანგეთის რეფორმისტ-რკინის-გზელების კონგრესი მხარს უჭერს ერთიან ფრონტს რევოლიუციონ. პროფკავშირებთან.
- მუშათა გრანდიოზული დემონსტრაციები პარიზში.
- საფრანგეთის კომპარტიის გამარჯვება დამატებითი საპარლამენტო არჩევნებში.
- თავდასხმა გომინდანის გაზეთების რედაქციებზე კანტონში.

ოთხშაბათი, 1 ივნისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 122 (1867)

დღეს, ოთხშაბათს, 1 ივნისს, საღამოს 7 საათზე
შ ე ს დ გ ე ბ ა
საქ. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა
საქ. ცაკის მდივანი მათიკაშვილი.

„კომუნისტი“
მიიღება ხელის მოწერა
ივნისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 81—8

კამპანია უნდა გავაძლიეროთ

პირველი ივნისიც დადგა, ე. ი. გათავდა ვადა, როცა უნდა განხორციელებულიყო უმაღლეს ორგანოების დირექტივა ფასების ათი პროცენტით დაკლების შესახებ. რანაირია ამ კამპანიის შედეგები, რა გამოირკვა მისი გატარების პროცესში? უკანასკნელ დღეებში წარმოებს მიღწეული შედეგების შემოწმება როგორც სათანადო ორგანოების, ისე მუშათა მასებიდან სპეციალურად გამოყოფილ საკონტროლო კომისიების მხრით. ეს მუშაობა ჯერ არ არის დამთავრებული და ეხლა შეუძლებელია საბოლოო და უტყუარი ცნობების მიცემა იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა ხსენებულ დირექტივის შესრულების დარგში. მაგრამ მიმდინარე კამპანიის საერთო დახასიათება, მისი მთავარი მომენტების აღნიშვნა დღესაც მოსახერხებელია.

ამ თავითვე უნდა აღინიშნოს, რომ დირექტივა მთლიანად არ არის გატარებული.

ამასთან როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, ფასების დაკლება გაცილებით უფრო მეტი წარმატებით ჩატარდა ქალაქებში, ვინემ სოფლად. მაგალითად, თბილისში სამრეწველო საგნებზე ფასები შემცირებულ იქნა დაახლოვებით 7—8 პროცენტით, მაშინ, როცა სასოფლო ადგილებისათვის ის არ აღემატება 2—4 პროცენტს, ხოლო ზოგიერთ მივარდნილ კუთხეებში დღემდე სულაც არ უგრძვნიათ კამპანიის შედეგები.

ფასების დაკლება ხუთი პროცენტით უნდა გაეტარებია მრეწველობას, ხოლო დანარჩენი ხუთი პროცენტი სავაჭრო ქსელს. მაგრამ საერთოდ ორივენი ჩამორჩენ. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრგან როგორც სამრეწველო, ისე სავაჭრო ორგანოების მხით დირექტივის განხორციელება წააწყდა წინააღმდეგობას. ადგილი ჰქონდა მისთვის ასე თუ ისე შემოვლის ცდებს. ეს მრავალ რამეში გამოიხატა. ალაგ-ალაგ ფასების დაკლების გატარება განიზრახეს საქონლის თვისების გაუარესების ხარჯზე. შემჩნეული იყო აგრეთვე უფრო დაბალი ხარისხის ნაწარმოებების უფრო მაღალ ხარისხში მოქცევა, რომ ამით დაეფარათ ფასების საჭირო რაოდენობით არ დაკლება. გარდა ამისა, ფასებს უფრო მეტი ხალისით ამცირებდენ იმ საქონელზე, რომელზედაც ნაკლები მოთხოვნილება იყო, მაშინ, როცა მასიურ მოხმარების საგნების გაიაფება ნელა ტემპით ხდებოდა.

ეს და მსგავსი ფაქტები მოწმობენ, რომ არა ყველა სათანადო ორგანოებს და მათ ცალკე მუშაკებს აქვთ შეგნებული ფასების დაკლების მთელი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა, ან რომ მათ საკმაო უნარი და ენერგია ვერ გამოიჩინეს დასახულ ამოცანის გადაჭრაში. აქ არ შეიძლება იმაზე მითითებით დაკმაყოფილება, რომ ათი პროცენტით ფასების დაკლება სავაჭრო ორგანიზაციებს დააზარალებდა და ხელს შეუშლიდა კაპიტალის დაგროვებას, რომელიც ამ ორგანიზაციების არსებობისა და განვითარებისათვის საჭიროაო. მთელი საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ ეს დაგროვება უნდა ხდებოდეს არა მაღალი ფასების პოლიტიკის დაცვით, არამედ წარმოებისა და ვაჭრობის რაციონალიზაციით და ზედმეტი საორგანიზაციო ხარჯების მოსპობის გზით.

ამ მხრივ მდგომარეობა ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. მრავალ საფეხურიანობა საქონლის გავლის დროს, შტატების სიმრავლე და მისი ხელფასის ოდენობა, სატრანსპორტო, მძღოლების და სხვა გასავალი აუცილებელ მინიმუმამდე არ არის დაყვანილი; საქონლის ბრუნვის სისწრაფე, რაც ხელს შეუწყობს მის გაიაფებას და ამავე დროს ნორმალურ მოგების მიღებას,— კიდევ არ არის საჭირო მასშტაბით განკიდევ არ არის საჭირო მასშტაბით გან-

გარდა ამისა, რაც მთავარია, მხოლოდ ბოლო დროს გახდა შესაძლებელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ნამდვილი და მასიური ამოძრავება და აქტიური ჩაბმა კამპანიაში. ესეც ითქმის ქალაქებზე, კერძოთ თბილისზე, სადაც მუშათა მასები შეკავშირებულად გამოდიან, ხოლო პროვინცია ამ მხრივ ჩამორჩენილია; მშრომელ გლეხობას კიდევ არ გაუხდია თავის პირდაპირ საქმედ როგორც საჭიროა, ფასების დაკლების საქმეში უშუალოდ ჩარევა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ დირექტივის მთლიანად გატარებას საკმაოდ შეუშალა ხელი საქონლის შემოზიდვის გეგმის გატარებაში არსებულმა სიძნელემ. მაგ., საქართველოში უნდა შემოეტანათ აპრილში 5,1 მილიონ მანეთის საქონელი, ნამდვილად კი შემოვიდა 3,5 მილ. მანეთის, ე. ი. ნორმის მხოლოდ 67,9 პროც. ამან შექმნა ის მდგომარეობა, რომ, მაშინ როცა სახვაჭრობა და კოოპერაცია ფასებს უკლებენ, კერძო ბაზარზე ჩვენ, პირიქით, ვამჩნევთ, საქონლის გაძვირებას. საერთოდ ზედმეტია იმ ჭეშმარიტების განმეორება, რომ საქონლის ნაკლებობა ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ჩვენი სავაჭრო ქსელის მიერ დირექტივის არა მთლიანად განხორციელების და მით უმეტეს კერძო კაპიტალის მიერ ფასების აწევის.

შემდეგ, ჩვენს სავაჭრო ქსელს, კერძოდ კოოპერაციას უხდება მუშაობა მძიმე საკრედიტო პირობებში, კრედიტები, როგორც ფულადი, ისე საქონლით, მას შეზღუდული აქვს. ამ გარემოებამაც გააძნელა ვაჭრობის ფართედ გაშლა და ფასების დაკლების საქმე.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში უკანასკნელად შემჩნეულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების მატება, რაც საფრთხეს ქმნის მუშის რეალურ ხელფასისთვის. საქმე ის არის, რომ კოოპერაციამ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა საკვები პროდუქტებით მუშების მომარაგების ფართედ დაყენება და ამ დარგში კერძო კაპიტალის შევიწროება.

ყველა ზემო თქმულიდან ცხადია, თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული დირექტივის მთელი ასი პროცენტით განხორციელებისა და შემდგომი ნაბიჯების გადადგმისათვის.

სასტიკი და სისტემატიური კონტროლის გაძლიერება სავაჭრო ორგანოებზე, რათა მათ ყოველგვარ მიკიბ-მოკიბვის გარეშე და გადაუმახინჯებლათ შეასრულონ დაკისრებული ამოცანა; პარტიულ, პროფესიულ და საბჭოთა ორგანიზაციების და მუშათა და გლეხთა მასების უფრო აქტიური ჩაბმა კამპანიაში; სავაჭრო ქსელის და მისი აპარატის რაციონალიზაცია—გამარტივება და ყველა ზედმეტი ხარჯების მოსპობა; გადაჭრილი ზომების მიღება გეგმის მიხედვით საქონლის შემოსაზიდათ; სავაჭრო ქსელისათვის კრედიტის მიწოდების საქმის გაუმჯობესება; სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზრის დაპყრობა კოოპერაციის მიერ,— აი, ის გზები, რომელნიც უზრუნველყოფენ ჩვენს გამარჯვებას ამ ფრონტზე.

ამ მხრივ მიღწევები გვაქვს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საშუალებები დირექტივის შესასრულებლად გამონახულია, მხოლოდ ისინი უფრო მეტი დაჟინებით და ენერგიით უნდა მოვიხმაროთ. კამპანია ფასების დასაკლებად უნდა გავაგრძელოთ მეტი ინტენსივობით. ფასების დაკლება საგრძნობი უნდა გახდეს სულ მიყრუებულ სოფლის მომხმარებლისათვისაც კი. მშრომელ მასების უფრო მეტი ამოძრავებით ამ ამოცანას გადავსჭრით.

კომინტერნის სიტყვა

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ დაამთავრა თავისი სხდომები კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმმა.

კომინტერნის აღმასკომის პლენარულ სხდომებზე განხილულ იქნა მუშათა საერთაშორისო მოძრაობის და რევოლიუციონური ბრძოლის ყველაზე უფრო საჭირბოროტო და გადაუდებელი საკითხები. კომინტერნის გადაწყვეტილებები ყოველმხრივ გასინჯვის და საფუძვლიანი ლენინურ ანალიზის გზით, გავრცელდებიან მუშათა და დაჩაგრულ ერთა ფართე მასებში, რომელნიც მოუთმენლად მოელიან ამ გადაწყვეტილებებს.

კომინტერნის გადაწყვეტილებები ჩინეთის საკითხში უაღრესად დროულ პასუხს იძლევიან ჩინეთის რევოლიუციის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. დახასიათება იმ ხანის, რომელშიაც ამჟამად იმყოფება რევოლიუცია, მისი თანამედროვე მამოძრავებელ ძალთა შეფასება, ნაციონალურ - რევოლიუციონურ მოძრაობის ეხლანდელი კრიზისის შეფასება, ხელისუფლების საკითხები, ტაქტიკის და ბრძოლის ლოზუნგების საკითხები,—ყველაფერი ეს სისტემატიურად და კონკრეტულად არის განვითარებული კომინტერნის აღმასკომის რეზოლიუციაში. რეზოლიუცია ჩინეთის საკითხის შესახებ დაეხმარება ჩინელ ამხანაგებს და ყველა საერთაშორისო ბოლშევიკებს, რომელთაც სურთ მარქსისტულად გაერკვიონ აღმოსავლეთის დიად ამბებში.

პლენუმზე ირჩეოდა აგრეთვე საკითხი ომისა და ომის საფრთხის შესახებ, რომელიც დღითი-დღე იზრდება. ომის საფრთხე ამჟამად საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი საკითხია. ამ საკითხში სრული გარკვეულობის შეტანა, მტკიცე პროლეტარული სიმართლის თქმა, ბრმათათვის თვალების ახელა, მხილება იმათი, ვინც განზრახ იბრმავებს თვალებს — აი რა უნდა გაეკეთებია და რა გააკეთა კომინტერნის აღმასკომმა. როგორ უნდა ვებრძოლოთ ომს, ვებრძოლოთ თუ არა მას ნამდვილათ, რევოლიუციონურათ, როგორ უნდა დავრაზმოთ ამისათვის მასები, როგორი უნდა იქნეს პრაქტიკული ბრძოლა ომის წინააღმდეგ, რა უნდა გაკეთონ საერთაშორისო პროლეტარებმა, ყველა მშრომლებმა, ჩაგრულებმა, ჯარისკაცებმა და მეზღვაურებმა ჩინეთში წარმოებულ ჯალათურ ომის საპასუხოდ, რა უნდა გააკეთონ მათ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემთხვევაში, როგორ უნდა იქნეს წარმოებული ბრძოლა ომის თავიდან ასაცილებლათ, როგორი ლოზუნგები უნდა გადავისროლოთ მასებში,— ყველა ამ საკითხებზე კომინტერნმა გარკვეული ლენინური დირექტივები მისცა თავის სექციებს. აქ კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა შეასრულა უდიდესი დადებითი მუშაობა, რომლის შედეგები მალე თვალსაჩინო გახდება კლასობრივი ბრძოლის ყოველდღიურ პრაქტიკაში.

ჩინეთის საკითხი, ომის საფრთხე და ჯალათური კანონი ინგლისის მუშების წინააღმდეგ ზედმიწევნით იქნა განხილული პლენუმის მიერ. ამას ხელი არ შეუშალა ახალმა, განსაკუთრებით ეხლანდელ პერიოდში დაშვებულმა, ამხ. ტროცკის და ვუიოვიჩის გამოსვლამ პლენუმზე.

ტროცკიმ უცერემონიოდ დაარღვია საჯარო დაპირებანი პარტიისადმი, და გადასწყვიტა კომინტერნზე შეტევით „დაესრულებია“ ის ფრაქციული შეტევა საკავშირო კომპარტიის წინააღმდეგ, რომელიც ამას წინედ სამარცხვინოდ დაამთავრა ზინოვიევმა.

წვრილბურჟუაზიული ტროცკიზმის დროშა, რომელიც კომინტერნის მე-5 კონგრესმა ჯერ კიდევ 1923 წელში დაახრევინა მას ძირს, ეს დროშა კიდევ უფრო გახუნებული და გაყვითლებული სახით იქნა გაშლილი პლენუმზე. პარტიისა და კომინტერნის მიმართ წამოსროლილ იქნა ბინძური ბრალდებანი და მყრალი სიტყვები—„ღალატი“, „ეროვნულ-კონსერვატიული შეზღუდულობა“ ომის საფრთხის წინაშე სოციალისტურ სახელმწიფოზე სისხლიანი გალაშქრების წინაშე „უსაშიშრეს საშიშროებად“ იქნა გამოცხადებული „რეჟიმი“ ბოლშევიკურ პარტიაში. ამცირებდენ, სახელს უტეხდენ კომინტერნის ხელმძღვანელობას და ამავე დროს მოითხოვდენ კავშირს ანარქო-სინდიკალისტების ნაძირალებთან და აშკარა ბლოკს ჩემბერლენის ნახევრად - დამქაშებთან, მასლოვის და კომპ. ტიპის ხალხთან.

ასეთი „ხაზი“, ასეთი პლატფორმა, ასეთი სიტყვები, რომელიც მეტად სამარცხვინოა ყველა ბოლშევიკისათვის, არარსებული არმიის ბელადმა ტროცკიმ გაბედა წაეყენებია მსოფლიო პროლეტარიატის უზენაესი ორგანოსათვის. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ იგი სკანდალურად გაკოტრდა. კომინტერმა მკაცრად, მთელი თავისი სისასტიკით დაგმო ტროცკი და ვუიოვიჩი, და ის მოიქცა სწორად, ბოლშევიკურად.

ყველა პატიოსან მუშებს, ყველა კომუნისტებს, როგორც საკავშირო კომპარტიის, ისე ძმური პარტიების კომუნისტებს თავი მოაბეზრა ოპოზიციის მყრალმა ლანძღვადარობამ.

ომის საფრთხის მომენტში ბოროტმოქმედებას წარმოადგენს ეს ლანძღვადარობა; მას პარტიისათვის მოაქვს ზიანი და მტრებისათვის კი სარგებლობა. უნდა იცოდე ვისთან მიდიხარ და ვის წინააღმდეგ იბრძვი. საერთაშორისო ბოლშევიკებს ესაჭიროება მთლიანობა და ლენინიზმი.

შორს გზიდან, ვინც ხელს გვიშლის!

„პრავდა“.

მოსკოვი, 31 მაისი.

ფინ-იუ-სიანი განაგრძობს შეტევას პეკინზე

უხანის მთავრობის ჯარებმა ტყვეთ წაიყვანეს 20.000 მუკდენელი ჯარისკაცი

კაი-ფინისა და ჩენ-ჯოუს აღება ნაციონალური ჯარების მიერ უახლოესი დღის საქმეა

ტომასი ხელს უწყობდა კონსერვატორების პროვოკაციას.—როზენგოლცის წერილი ჩემბერლენს

ინგლისელ კონსერვატორების ორგანო „ობსერვერ“ სწერს: „თუ საფრანგეთი არ სწყვეტს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, რათ დაგვჭირდა ჩვენ დიპლომატიურ დინამიტისათვის მიმართვა“

ჩან-ძოლინის ჯარების სასტიკი დამარცხება

მუკდენელების განადგურება.

ხანკოუ, 30 მაისი. 26 მაისს უხანის მთავრობის ჯარები გადავიდენ საერთო შეტევაზე და გაამაგრეს მდ. ლო-ზე, ხენანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში. მუკდენელები გადავიდენ კონტრ-შეტევაზე, მაგრამ სასტიკად დამარცხებულ იქნენ. რევოლიუციონურმა ჯარებმა ხელთ იგდეს 2.000-ზე მეტი ტყვე, 29 ტყვიისმფრქვეველი, 10 ზარბაზანი, 12 ბომბების მტყორცნი და დიდძალი ამუნიცია და სომარი მასალა. მოწინააღმდეგის უკან დახევამ მიიღო პანიკური ხასიათი.

28 მაისს უხანის მთავრობის ჯარებმა უკან მოიტოვეს იენ-ლინი, ფუ-იუ-უ, სუი-ჩჟოუ, მოწინავე ნაწილებმა მიაღწიეს ხე-შენ-ძიას. **ფინ-იუი-სიანის ჯარებმა, რომლებმაც ჯერ კიდევ წინად აიღეს ლოი-იანი, უკან დასახევი გზა გადაუჭრეს აღმოსავლეთით ხენანის და მუკდენის ჯარებს, რომლებიც იცავდენ ამ რაიონს. ხელში ჩაიგდეს 20.000-ზე მეტი ტყვე, ამდენივე თოფი და სომარ მასალის დიდი მარაგი.**

რევოლიუციონური ჯარები ენერგიულად სდევნიან მოწინააღმდეგეს. რევოლიუციონური ჯარების მოწინავე ნაწილებმა მიაღწიეს გუნ-სიანის გადასასვლელს მდინარე ხუან-ხეზე. ჩენ-ჩჟოუს და კაი-ფინის დაკავება რევოლიუციონური ჯარების მიერ—მახლობელ დღეების საკითხია.

დასავლეთის ფრონტზე იან-სენის ჯარების მოწინავე ნაწილები, რომლებმაც წინ წაიწიეს სენ-დაო-ჩჟოუნისაკენ, გაანადგურეს უხანის არმიის ნაწილებმა, რომლებიც შეტევაზე გადავიდენ და მოწინააღმდეგეს უკან დაახევინეს ცზენ-ცზიანისაკენ. უხანის არმიის ნაწილებმა, რომლებიც სდევნიან მოწინააღმდეგეს, უკვე მიაღწიეს ცზენ-ცზიანს.

ნანიანის რაიონში ფინ-იუი-სიანის ჯარებმა სუნ-ლიან-ჩჟენის სარდლობით დაიკავეს ნეი-სიანი და ლიაო-ხოგოუ (ადს).

უხანის ჯარების ბრწყინვალე გამარჯვება

ხანკოუ, 30 მაისი. გამოქვეყნებული დეპეშების მიხედვით, საერთო შეტევა ჩრდილოეთის ფრონტზე დაიწყო 26 მაისს. **სიაო-იაოს აღების დროს ეროვნული ჯარების მარჯვენა ფრთის ჯგუფმა, რომელიც მდ. შახოზე გადადიოდა, ხელთ იგდო 3.000-ზე მეტი ტყვე, 3.000 თოფი, 20 ზარბაზანი, 40 ტყვიის მფრქვეველი და ბევრი სხვა და სხვა გვარი ამუნიცია. ცენტრალური ჯგუფი მდინარეზე გადავიდა რკინის-გზის ხაზით, ბრძოლის შემდეგ განდევნა მტერი და ხელთ იგდო 2.000 ტყვე და ამუნიცია. ეროვნული ჯარები სწრაფად მიიწევენ წინ კაი-ფინისა და ჩენ-ჩჟოუს მიმართულებით.** (ადს).

ხანკოუ, 30 მაისი. შეუმოწმებელი ცნობებით, ფუ-კოუ, 70 კილომეტრის მანძილზე კაი-ფინიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, უკვე აღებულია ეროვნული ჯარების მიერ, რომელნიც სიუიჩჟოუს უახლოვდებიან. სიან-დაო-ჩენთან დაამარცხეს იან-სენის ჯარები. ამ პუნქტში თავს იყრიან ეროვნული ჯარები. (ადს).

იაპონიის ჯარები.

შანხაი, 30 მაისი. **იაპონიის გადაწყვეტილებას შანდუნში ჯარების გაგზავნის შესახებ სასტიკად აკრიტიკებს ჩინეთის პრესა.** შანდუნში ჩინელების სხვადასხვა ორგანიზაციები გამოვიდენ პროტესტით ჯარების გაგზავნის წინააღმდეგ; ისინი აცხადებენ, რომ იაპონია შეუთანხმდა ჩჟან-ძუნ-ჩანს, რომელმაც გაჰყიდა შანდუნი იაპონიისაგან ნაციონალურ ჯარების საწინააღმდეგოდ დახმარების მიღების ფასად. **ჩინელების ორგანიზაციები მოითხოვენ ნანკინის მთავრობისაგან პროტესტის გამოცხადებას იაპონიის საქციელის გამო და აღნიშნავენ, რომ ჩინეთის ხალხი იბრძოლებს ბოლომდე, თუ იაპონია ჯარებს გადმოსხამს.** ცზიან-სუს პროვინციის გარეშე საქმეთა კომისარიატმა პროტესტი განუცხადა იაპონიის გენერალურ კონსულს შანხაიში და აღნიშნა, რომ ჯარების გაგზავნა იაპონიის მიერ არ შეიძლება გამართლებულ იქნეს არც კანონიერების და არც მიზანშეწონილობის თვალსაზრისით

თავდასხმა რედაქციებზე.

შანხაი, 30 მაისი. კანტონიდან იტყობინებიან, რომ **პოლიცია თავს დაესხა გომინდანის სამი გაზეთის რედაქციების შენობებს.**

„კანტონ გაზეტ“-ის რედაქტორი და ასოთამწყობთა კავშირის 10 წევრი დააპატიმრეს (ადს).

ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობა საფრთხეშია

ტოკიო, 30 მაისი. ცნობებს ჩინეთში იაპონიის ჯარების გაგზავნის განზრახვის შესახებ გაცხოველებით კომენტარიებს უკეთებს იაპონიის პრესა.

„ტოკიო ასახი“ ეწინააღმდეგება ჯარების გაგზავნას და შიშობს, რომ ასეთმა ნაბიჯმა შეიძლება საფრთხეში ჩააგდოს ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობა.

„ნიცი ნიცი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩინეთში ჯარების გაგზავნას ეხლა, როცა სამხედრო მინისტრად არის გენერალი შირაკავა, რომელსაც გომინდანი აბრალებს ჩან-ძო-ლინისათვის დახმარების გაწევას გო-სუნ-ლინის აჯანყების დროს, შეუძლია კვლავ ასეთივე ეჭვი დაბადოს. (ადს).

დაპატიმრებულთა ბედი

შანხაი, 30 მაისი. გემ „ლენინის ხსოვნა“-ს მოსამსახურეები რიცხვით 47 კაცი, რომლებიც დააპატიმრეს და გაგზავნეს ცზი-ნანფუში, **ციხეში ჰყავთ საშინელ პირობებში.** ჩჟან-ძუნ-ჩანის ხელისუფლების წარმომადგენლებს არავითარი ბრალდება არ წარუდგენიათ მათთვის და არც განუმარტავთ დაპატიმრების მიზეზი. 26 მაისს დაპატიმრებულებმა ცზი-ნან-ფუს მთავარსასამართლოს წარუდგინეს განცხადება და მოითხოვეს დაპატიმრების მიზეზის განმარტება და დაუყოვნებლივ განთავისუფლება. თუ ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილეს ჩჟან-ძუნ-ჩანის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, დაპატიმრებულებს გადაწყვეტილი აქვთ 31 მაისს დაიწყონ სიმშილობა (ადს).

ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ

როზენგოლცის წერილი ჩემბერლენს

ლონდონი, 30 მაისი. **როზენგოლცმა მიმართა ჩემბერლენს წერილით, რომელშიაც სთხოვს მას, რომ არკოსის გამგეობისა და იმ ინგლისურ კომპანიების მოსამსახურე საბჭოთა მოქალაქეებს, რომლებიც აწარმოებენ ინგლისში ინგლის-საბჭოთა ვაჭრობას, და, აგრეთვე, საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციების მოსამსახურე საბჭოთა მოქალაქეებს, საბჭოთა სავაჭრო დელეგაციის ინგლისიდან გამომგზავრების შემდეგ, დროებით მიეცეს ინგლისში დარჩენის უფლება ამ ორგანიზაციების სრულ ლიკვიდაციამდე ყველა დადებულ კონტრაქტების და ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად. „იმ შემთხვევაში, თუ ეს თხოვნა არ იქნება დაკმაყოფილებული,— აცხადებს როზენგოლცი, — გაცემული იქნება განკარგულება ყველა საბჭოთა სავაჭრო დაწესებულებებისა და იმ ინგლისური საზოგადოებების დაუყოვნებლივი ლიკვიდაციის შესახებ, რომლებშიაც დაბანდებულია საბჭოთა მოქალაქეებისა და ორგანიზაციების ფული.**

მთელი პასუხისმგებლობა იმ ზარალისათვის, რასაც მიიღებენ საბჭოთა დაწესებულებები, მოქალაქეები და აგრეთვე ინგლისის ქვეშევრდომნი, ამ შემთხვევაში დაეკისრება ინგლისის მთავრობას“ (ადს).

თემთა პალატაში.

ლონდონი, 30 მაისი. მუშათა პარტიის დეპუტატის კენვორტის შეკითხვას თემთა პალატაში,—იყო თუ არა „თეთრ წიგნში“ მოყვანილი რომელიმე დოკუმენტი, აღმოჩენილი პეკინში რუსეთის საელჩოზე და საელჩოს განკარგულებაში არსებულ შენობებზე მოხდენილ თავდასხმის დროს,—**ჩემბერლენმა უარყოფითი პასუხი გასცა.**

მაშინ კენვორტი შეეკითხა: **„როგორ მოხდა, რომ დოკუმენტები, რომლებიც ტრიალობდენ მოსკოვსა და პეკინს შორის, ხელში იქნა ჩაგდებული იმ ტერიტორიაზე, რომელიც მისი უდიდებულესობის ძალაუფლების ქვეშ არ იმყოფება?“**

ჩემბერლენმა უპასუხა: „მე არ შემიძლია პარლამენტის პატივცემულ წევრს ხელი შეუშალო ასეთი შეკითხვების შემოტანაზე, მაგრამ მაქვს პატივი არ უპასუხო ამ შეკითხვებს“.

კენვორტი შეეკითხა: „უნდა გავიგოთ თუ არა ეს ისე, რომ სავაჭრო შეთანხმების ის ნაწილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ორივე მხარემ თავი უნდა შეიკავოს პროპაგანდისა და შინაურ საქმეებში ჩარევისაგან, დარღვეულ იქნა მისი უდიდებულესობის მთავრობის მიერ“.

ჩემბერლენის უარყოფით პასუხის გამო კენვორტიმ შენიშნა: „ამ შემთხვევაში, როგორ მოხდა, რომ ცნობები, რომლებიც ტრიალებდენ რუსეთსა და მეორე ქვეყანას შორის, ხელში ჩაუვარდა პატივც. ჯენტლმენს, მის ჩაურევლად“.

ჩემბერლენმა კვლავ უარი სთქვა პასუხის გაცემაზე „სახელმწიფო ინტერესების“ მომიზეზებით“.

მუშათა პარტიის დეპუტატმა **ტერტლმა** შეიტანა შეკითხვა: **„განა ფაქტი არ არის, რომ ეს დოკუმენტები ხელში ჩაგდებულ იქნა ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენელთა ჯაშუშის შემწეობით?“**

მუშათა ფრაქციის ქვეკომისია.

ლონდონი, 30 მაისი. მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ დანიშნა ქვეკომისია **კლაინსის, ჰენდერსონის** და **უეძის** შემადგენლობით. ქვეკომისიამ უნდა განიხილოს რუსეთთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ შექმნილი მდგომარეობა და გამოარკვიოს—შესაძლოა თუ არა რაიმე ნაბიჯები რუსეთთან ვაჭრობის განგრძობის უზრუნველსაყოფად? (ადს).

ინგლისის პრესა.

ლონდონი, 30 მაისი. უკეთებს რა კომენტარიებს ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შეწყვეტას, **სნოუდენი** რადიკალურ-ბურჟუაზიულ გაზეთ „რეინოლდს“-ში სწერს:

„ვნებათა ღელვამ, ცრუმორწმუნეობამ და ფანატიზმმა გაიმარჯვა საღ მოსაზრებაზე და საკუთარი ინტერესების შეგნებაზე. ინგლისის მთავრობას რუსები უნდა მიეწვია კონფერენციაზე ყველა სადაო საკითხების დაწვრილებით და გულახდილად განხილვისათვის“.

ინგლისის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის ორგანო „სენდეი უორკერ“-ი სწერს:

„საქმე მარტო იმაში როდია, რომ მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ არ გაჰკიცხა მთავრობა არკოსის გაჩხრეკისათვის. **ბოლდუინმა გაიგო, რომ ტომასი გენერალურ საბჭოში მუშაობს იმ მიზნით, რომ გამოიწვიოს შეტაკება გენერალურ საბჭოსა და საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს შორის.** დარწმუნდა რა, რომ არც მუშათა პარტიას და არც პროფესიონალურ კავშირებს არა აქვთ განზრახული სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიონ არკოსზე თავდასხმას, ინგლისის მთავრობამ გადასდგა ნაბიჯი, რომლისთვისაც დიდი ხანია ემზადებოდა, და შესწყვიტა ურთიერთობა რუსეთთან“.

ყოველკვირეული კონსერვატიული ორგანო „ობსერვერ“-ი სწერს:

„თუ საფრანგეთს შეუძლია თავიდან აიცილოს თავისი ოფიციალური ურთიერთობის ჩაშლა საბჭოთა კავშირთან, რა საჭირო იყო ჩვენთვის დიპლომატიური დინამიტის ხმარება?“

„ობსერვერ“-ი მიდის იმ დასკვნამდე, რომ **არკოსის გაჩხრეკა დამარცხებით დამთავრდა და პარლამენტი იძულებული გახდა დაემტკიცებია ურთიერთობის შეწყვეტა, რომ ამით გამართლებია ჩხრეკა.**

„ჩვენ ეჭვი გვეპარება, — სწერს გაზეთი, — რომ წითლებს მტრებს ესმოდეთ გადადგმული ნაბიჯის მნიშვნელობა. სხვანაირად რომ ვსთქვათ, **არკოსი მათთვის იყო ქათამი, რომელიც სდებდა ოქროს კვერცხებს, მათ კი ის დაჰკლეს. შუბლმაგრებმა ჩაჰკლეს თავისი საკუთარი პროპაგანდა“** (ადს).

თავდასხმის ფარული მიზეზები

(წერილი ინგლისიდან)

ავაზაკისებური თავდასხმა დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული მთავრობისა საბჭოთა დელეგაციის შენობაზე უმძაფრესი აქტია იმ ბრძოლაში, რომელსაც ინგლისის მთავრობა აწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. **ჩემბერლენი** აღარ იმალება თავის მოკავშირე ავაზაკ **ჩან-ძო-ლინის** უკან, არამედ თვით გამოდის როგორც მთავარი ავაზაკი და ბრბოს მეთაური.

რადგან საბჭოთა კავშირის მთავრობა მშვიდობიანი პოლიტიკის წარმოებას განაგრძობს, ხოლო დიდი ბრიტანეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა თანდათან უფრო კრიტიკული ხდება, ინგლისის კონსერვატიული მთავრობაც სცდილობს ცხარე და სასოწარკვეთილი ზომებით სომარი მდგომარეობა გამოიწვიოს. ესაა იმ პოლიტიკის გაგრძელება, რომელიც თებერვალში დაიწყო საბჭოთა კავშირისადმი მიმართულ ნოტით, ხოლო დამთავრდა დიპლომატიური თავდასხმით, დაჭერით და მკვლელობით **პეკინსა, ტიანძინსა** და **შანხაიში.** ეს იმავე პოლიტიკის ნაწილია, რომელიც გამოიხატა ხანკოუზე ზარბაზნების დამიზნებაში და პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართულ კანონ-პროექტის საჩქაროთ გატარებაში, რათა ამით ბრიტანელ მუშათა მოძრაობა ჩაახრჩოს.

ამ შეტევის დაწყება ყველა სამ ფრონტზე ერთად იმის მაჩვენებელია, რომ ინგლისის მთავრობა აბუჩათ იგდებს მიზანშეწონილობის და სიფრთხილის საკითხებს და გაცოფებული მხეცივით ეცემა ხან იქით ხან აქეთ.

რა არის მიზეზი ინგლისის მთავრობის ასეთი გაფთრების?

ინგლისის კონსერვატიული მთავრობა ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ მან ან უნდა ჩქარა იმოქმედოს ან თავისი დანგრევის შესაძლებლობას შეურიგდეს.

ჩინეთში ნაციონალური ძალების დროებითი გათიშვა და რეაქციის ტრიუმფი პეკინსა, შანხაისა და კანტონში რაღაც ხელოვნურია ნამდვილ ძალებთან შედარებით, მათ მხოლოდ მოკლე ხნის სიცოცხლე აქვთ, თუ კონტრ-რევოლიუციის გადამწყვეტი გამარჯვება არ მიეშველა მსოფლიო მასშტაბით.

ევროპაში საბჭოთა კავშირის შემოზღუდვის და „ცივილიზაციისათვის“ გაერთიანებული ომის დაწყების გეგმა დაბრკოლდა იმპერიალისტთა შორის ინტერესთა და ძალთა წინააღმდეგობის წყალობით, [illegible] დამარცხდა საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკის გამო. მოლაპარაკებამ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ისეთს საფეხურს მიაღწია, რომ შეიძლება ყველა საკითხებში შეთანხმება მოხდეს, საბჭოთა კავშირი და შვეიცარია მორიგდენ, ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ შვეიცარიაში გაძლიერდა საფრანგეთის გავლენა, ხოლო ინგლისის გავლენა შესუსტდა; ბოლოს საბჭოთა დელეგაციამ ნაყოფიერი მონაწილეობა მიიღო ჟენევის ეკონომიურ კონფერენციაში. ყველა ეს მოვლენები მშვიდობიანობის კონიუქტურას ჰქმნიან, ისინი ინგლისის პლანების წინააღმდეგ მოქმედობენ, მათი გაბათილება მხოლოდ მძაფრი მოქმედებით შეიძლება.

შინაური პოლიტიკური მდგომარეობა დიდი ბრიტანეთის კონსერვატიულ მთავრობას სასოწარკვეთილი ზომების მიღებას უკარნახებს. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ მთავრობას სახელი გატეხილი აქვს და, ის მოკლებულია თანაგრძნობას. დამატებითი არჩევნებში მთავრობის პარტიის ხმები საშუალოდ 20—25 პროც. შემცირდა, ხოლო მუშათა პარტიის ამრჩეველთა რიცხვმა დაახლოვებით 10 პროცენტით იმატა. პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართული კანონი ამ სიძულვილს დიდათ გააძლიერებს. თუ საქმე ასე გაგრძელდა, ახალი არჩევნები ორი წლის შემდეგ მთავრობას სასტიკ დამარცხებას აგემებინებს, ხოლო მუშათა პარტიას ალბათ აბსოლიუტურ უმრავლესობას მისცემს.

ამიტომ ადვილი შესაძლებელია, რომ კონსერვატორებმა ახალი არჩევნები ჩქარა დანიშნონ. ამის ნიშნები უკვე ჩანს. უკანასკნელი წლის ბიუჯეტი საჩქაროთ იქნა მიღებული, ისე რომ მთავრობა არც კი სცდილა დეფიციტი დაეფარა ან რაიმე მნიშვნელოვანი გადასახადი შემოეღო: ყოველივე უახლოეს წელზე იქნა გადატანილი. გამოცხადებული იქნა საარჩევნო ხმის უფლების გაფართოება, ესაა ტრადიციული ღონისძიება ინგლისის კონსერვატორებისა გაჭირვების დროს. მაგრამ ასეთი ნაჩქარევი არჩევნებისათვის საჭიროა რაიმე გამომაფხიზლებელი „პატრიოტული“ ლოზუნგი. ამით აიხსნება სამხედრო ყიჟინი, ტყუილები და აგიტაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და „წითელი შეთქმულების“ ვითომ აღმოჩენა. უკანასკნელ თვეებში კაპიტალისტური პრესა იმაზე მუშაობდა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრობა გაეღვივებია: ამ საქმეში მას რეფორმისტების ბელადები შეელოდენ გულმოდგინეთ.

ლონდონში მომხდარი თავდასხმა არის ცდა ამ მდგომარეობის გამწვავებისა, უკმაყოფილების მიმართვისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ატმოსფერის და „დოკუმენტების“ მომზადებისა სომარი პოლიტიკისა და ურა-არჩევნებისათვის. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თავდასხმა ასეთ სენსაციურ და მელოდრამატიულ ფორმაში მოხდა, შეიარაღებული პოლიციელების ბრბოების შემწეობით, რომელნიც მუშაობის დროს თავს დაესხენ ჩვეულებრივ სავაჭრო ბიუროს.

რომ თავდასხმა წინასწარ განზრახული იყო, სჩანს იქიდან, რომ ავტორები ამტკიცებენ, „ბრიტანეთის სამხედრო და საზღვაო სამინისტროებიდან მოპარულ საბუთებს ვეძებდითო“. ეს მტკიცება ახასიათებს მთელს ამ საქმეს. განმანთავისუფლებელი მოძრაობის ძალები მსოფლიოში, რომელთა მოდრეკას ინგლისის იმპერიალიზმი სცდილობს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემწეობით, ისეთი ძალებია, რომ მათ ბევრათ უფრო მჭრელი იარაღი აქვთ, ვიდრე სამხედრო ჯაშუშობაა. ეს იარაღია მასსების განათლება და ორგანიზაცია დიდი ბრიტანეთისა, ჩინეთისა, ინდოეთისა, ბრიტანეთის კოლონიებისა და საბჭოთა კავშირში. და ტლანქი თავდასხმა, ტყუილები, სიყალბე და ძალმომრეობა, რომელთაც დიდი ბრიტანეთის გაბატონებული კლასები ხმარობენ თავიანთი შერყეული მდგომარეობის გასამტკიცებლად, ჩაგრულ მასსებს კიდევ უფრო შეაგნებინებენ, რომ მათი მჩაგვრელები მხოლოდ აღვირახსნილი და უსინდისო ავაზაკები არიან, რომ ამ ავაზაკების დამხობა მხოლოდ გაერთიანებული და გაბედული ბრძოლით შეიძლება.

ლონდონში მოკალთებული „მოჩხუბრები“ მთელი ქვეყნის წინაშე ნიღაბს იხდიან თავიანთი მოქმედების წყალობით. ახლა **მთელი დედამიწის მშრომელთა** ვალდებულება იმაში მდგომარეობს, რომ თავიანთი [illegible] დაუპირისპირონ აღვირახსნილ შემოტევას და პროვოკაციას, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არის მიმართული. მიტომ, რომ საბჭოთა კავშირის არსებობა და მშვიდობიანი წინსვლა საერთაშორისო მუშათა კლასის უძვირფასესი მონაპოვარია. უწინარეს ყოვლისა დიდი ბრიტანეთის მუშათა კლასის ვალდებულებაა მთელი ძალღონით შეებრძოლოს საერთაშორისო რეაქციის ცენტრს—ბოლდუინის კონსერვატიულ მთავრობას და დაამარცხოს მისი შეტევა საბჭოთა კავშირისა, ჩინეთის მასსებისა და თვით ინგლისელი მუშების წინააღმდეგ.

რ. დ.

ლონდონი, 16 მაისი.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

ცნობა პლენუმის მუშაობის შესახებ

მოსკოვი, 31 მაისი. გამოქვეყნებულია „ცნობა კომინტერნის აღმასკომის პლენუმის მუშაობის შესახებ“, რომელსაც ხელს აწერს კომინტერნის აღმასკომის პოლიტსამდივნო. ცნობაში ნათქვამია:

18-დან 30-მაისამდე სხდომები ჰქონდა კომინტერნის აღმასკომის პლენუმს. პლენუმის მუშაობას, რომელიც საერთაშორისო რევოლიუციის განვითარების გარდატეხის მომენტში შეიკრიბა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ყველა ქვეყნების რევოლიუციონური მუშებისათვის.

პირველ საკითხად პლენუმმა განიხილა კომინტერნის ამოცანები ომისა და სამხედრო საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში (ამხ. **კუუსინენის, ბელლას** და **ბუხარინის** მოხსენება). პლენუმმა აღნიშნა, რომ მთავარი საფრთხე ამჟამად არის კაპიტალისტური მსოფლიოს (რომელსაც ინგლისი მეთაურობს) ომი საბჭოთა კავშირის და რევოლიუციონური ჩინეთის წინააღმდეგ და რომ ამავე დროს მწიფდება სამხედრო კონფლიქტი თვით იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. მიცემულია მთელი რიგი დირექტივები, რომ ომის შემთხვევისათვის გაძლიერდეს კომპარტიების იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობა. პლენუმმა, ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის შეწყვეტის გამო, მიიღო მოწოდება.

ფართოდ იქნა განხილული ჩინეთის რევოლიუციის საკითხები ამხ. **ბუხარინის** მოხსენებით. პლენუმმა აიღო ისეთი კურსი, რომ გომინდანის უხანის მთავრობა მუშათა და გლეხთა რევოლიუციონურ - დემოკრატიულ დიქტატურად გადაიქცეს. ამასთან ერთად, გაკრიტიკებულ იქნა ჩინელი კომუნისტების მერყეობა და შეცდომები, რომელნიც მათ ჩაიდინეს მთელ რიგ შემთხვევებში—მასიური გამოსვლების შიში და მემარცხენე გომინდანელების არასაკმაო კრიტიკა.

ინგლისის კომპარტიის ამოცანების გამო (ამხ. **კემპბელის** მოხსენება) პლენუმმა შეაფასა მდგომარეობა ინგლისში და განსაზღვრა ინგლისის კომპარტიის ამოცანები ამჟამად.

პლენუმმა დაადგინა, მორიგი მე-6 მსოფლიო კონგრესი მოწვეულ იქნას 1928 წლის გაზაფხულში.

მიუხედავად განსაკუთრებული სერიოზული პოლიტიკური მდგომარეობისა, საკავშირო კომპარტიის ოპოზიციამ შესაძლოდ სცნო პლენუმზე დაეწყო მოურიდებელი იერიშები საკავშირო კომპარტიის და კომინტერნის წინააღმდეგ ტროცკიმ და ვუიოვიჩმა (ოპოზიციის მოთხოვნილება, რომ ზინოვიევს,—რომელიც კომინტერნის აღმასკომის მე-7 პლენუმის მიერ განთავისუფლებულ იქნა როგორც თავმჯდომარეობიდან, ისე ყოველგვარი მუშაობიდან კომინტერნში,—დაშვებული ყოფილიყო პლენუმის მორიგ მუშაობაში, უარყოფილ იქნა ყველა ხმებით, წინააღმდეგ ვუიოვიჩის ხმისა) დღის წესრიგის ძირითადი საკითხის შესახებ წარმოადგინეს თავისი კონტრ-თეზისები, დაარიგეს პლენუმზე თავისი ფრაქციული დოკუმენტები, აშკარად გამოდიოდენ ოპოზიციონური ბლოკის სახელით და სხ., ამასთანავე ყველა ეს დოკუმენტები შეიცავდენ საკავშირო კომპარტიის ცეკას და კომინტერნის წინააღმდეგ ბრალდებებს „ღალატში“, „გამცემლობაში“ და სხ.

ოპოზიციამ, აშკარა, ფრაქციის სახით გამოსვლით დაარღვია თავის განცხადებაში (16 ოქტომბრის თარიღით) აღნიშნული დაპირება იმის შესახებ, რომ იგი შესწყვეტდა ფრაქციულ ბრძოლას და მხარს აღარ დაუჭერდა კომუნისტური რიგებიდან გამორიცხულ მასლოვებს და კომპანიას. ინგლისსა და საბჭ. კავშირს შორის ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ ტროცკიმ პლენუმზე განაცხადა, რომ „უდიდესი საშიშროება ყველა საშიშროებათა შორის ამჟამად არის შინაპარტიული რეჟიმი, ე. ი. საკავშირო კომპარტიის და კომინტერნის ბოლშევიკური დისციპლინა“; ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ ოპოზიცია კომინტერნთან კავშირის შეწყვეტის წინაშე სდგას.

ამიტომ პლენუმმა განსაკუთრებული დადგენილება მიიღო ოპოზიციის შესახებ, რომელიც სასტიკად გმობს ოპოზიციას და აფრთხილებს მას, რომ თუ იგი კვლავ განაგრძობს ფრაქციულ მუშაობას, კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმმა ინტერნაციონალურ საკონტროლო კომისიასთან ერთად ფორმალურად უნდა გამორიცხოს აღმასკომიდან ამხ. ტროცკი და ვუიოვიჩი.

პლენუმმა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას წინადადება მისცა მიიღოს ენერგიული ზომები იმისათვის, რომ შეწყვეტილ იქნას ოპოზიციის ფრაქციული მუშაობა საკავშირო კომპარტიის (ბ) შიგნით.

პლენუმის არც ერთმა დელეგაციამ არ დაუჭირა მხარი ოპოზიციას, რომელმაც პლენუმის საქმიანი მუშაობა დაარღვია.

ყველა გადაწყვეტილებანი მიღებულ იქნა მხოლოდ ერთი—ვუიოვიჩის ხმის წინააღმდეგ“.

პლენუმის დადგენილება ოპოზიციის შესახებ

მოსკოვი, 31 მაისი. კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა 30 მაისს მიიღო რეზოლიუცია **ტროცკის** და **ვუიოვიჩის** გამოსვლის შესახებ პლენუმზე. რეზოლიუცია შეტანილ იქნა გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის და ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიების მიერ.

რეზოლიუციაში ნათქვამია:

„ტროცკიმ და ზინოვიევმა, წინააღმდეგ თავის თავზე მიღებულ ვალდებულებათა, წინააღმდეგ პარტიული მასების და მე-15 სრ. საკავშირო პარტკონფერენციის აშკარა დადგენილებათა, წინააღმდეგ კომინტერნის მე-7 გაფართოებული პლენუმის დადგენილებისა, არა თუ არ შესწყვიტეს თავისი ფრაქციული მუშაობა, არამედ განაგრძობდენ და აღრმავებდენ მას. რამდენადაც ზინოვიევს, რომელიც გადაყენებული იყო ყოველგვარ მუშაობიდან კომინტერნში, არ შეეძლო მონაწილეობის მიღება ეხლანდელ პლენუმზე, ოპოზიციონური ბლოკის ორატორად გამოვიდა ტროცკი, რომელმაც უმაგალითო სიმკაცრით განიმეორა ოპოზიციონური ბლოკის გალაშქრება ლენინური პარტიის წინააღმდეგ რევოლიუციის ყველა ძირითად საკითხებში.

პოლიტიკური ხაზი, რომელსაც ეხლანდელ პლენუმზე იცავდენ ტროცკი და ვუიოვიჩი, რომელთაც სავსებით თანაუგრძობდენ ზინოვიევი და რადეკი, მკაცრ და შეურიგებელ პრინციპიალურ წინააღმდეგობაში იმყოფება იმ პოლიტიკასთან, რომელიც ლენინის მიერ იყო დასაბუთებული.

ამ ოპოზიციონური ხაზის ძირითადი ნიშნები ასეთია:

1) დარღვევა და სახელის გატეხა იმ ბრძოლისათვის, რომელსაც კომინტერნი აწარმოებს ომის საფრთხის წინააღმდეგ. ტროცკისტებმა თავისი მთავარი იერიშები მიმართეს არა იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებიც ომს იწვევენ, არამედ ტროცკიმ განაცხადა, რომ „უდიდესი საშიშროება ყველა საშიშროებათა შორის არის პარტიული რეჟიმი“. ასეთი ლოზუნგით ტროცკი ნამდვილად ქადაგობს რეაქციონურ „პორაჟენცობას“. ამავე დროს იგი მიუხედავათ იმისა, რომ მას არა ერთხელ მიეცა წინადადება, ერთი სიტყვითაც არ ასცილდა თავის ცნობილ ანტი-ლენინურ პოზიციას რევოლიუციონური ტაქტიკის ძირითად საკითხებზე პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომში. წინააღმდეგ ლენინის დირექტივებისა, რომ მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს ნამდვილი პრაქტიკული მუშაობის ჩატარებას ომის საფრთხის წინააღმდეგ, ტროცკიმ პლენუმზე არავითარი პრაქტიკული წინადადება არ შეიტანა იმპერიალისტურ ომთან ბრძოლის შესახებ. იგი დაკმაყოფილდა მხოლოდ იმით, რომ წამოაყენა კომინტერნის მიერ არაერთხელ უარყოფილი მოთხოვნილება ინგლის-რუსეთის კომიტეტის დაშლის შესახებ, რაც ეხლანდელ მომენტში გაადვილებდა ინგლისის მუშათა კლასის რეფორმისტული გამცემლობის ზრახვათა განხორციელებას.

2) ჩინეთის რევოლიუციის რაობის შემცდარი შეფასება, რომელიც ეწინააღმდეგება ლენინის ყველა ძირითად იდეებს კომუნისტების ამოცანების შესახებ ბურჟუაზიული დემოკრატიული რევოლიუციის დროს ჩამორჩენილ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში.

3) სრული პოლიტიკური და საორგანიზაციო კავშირი გერმანიის კომპარტიიდან გამორიცხულ მასლოვ-ფიშერის ჯგუფის რენეგატებთან, რომელთა დაუყოვნებლივ აღდგენას კომინტერნში მოითხოვდა ტროცკი.

4) მოთხოვნილება, რომ კომინტერნმა ომის საფრთხესთან ბრძოლაში ორიენტაცია აიღოს ანარქო-სინდიკალისტურ ელემენტებზე.

ამგვარად, ძლიანი ფრონტის რევოლიუციონური ტაქტიკა და ბოლშევიკური კურსი პროლეტარული მასების დაპყრობაზე, შეცვლილია საერთაშორისო ანარქო-სინდიკალიზმთან დაახლოების სექტანტური პოლიტიკით, იმ ანარქო-სინდიკალიზმთან, რომელიც ბინძურ საშუალებებით თეთრგვარდიელებთან ერთად იბრძვის კომინტერნის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

5) შეგნებული ცილისწამება და სახელის გატეხა კომინტერნისათვის, რომელსაც ტროცკი ბრალდებათ უყენებს ჯალათურ მოქმედებას, ჩინეთის პროლეტარიატის მიმართ, რომლის (კომინტერნის) ხელმძღვანელობასაც იგი ახასიათებს, როგორც ბურჟუაზიულ-ლიბერალურ „მებაირახტრეთა ნაციონალური ბლოკის“ ორგანოს, და რომლის ხაზსაც იგი ებრძვის, როგორც „სამარცხვინო პოლიტიკას“.

ტროცკი და ვუიოვიჩი შეეცადენ პლენუმის მუშაობის ჩაშლას, ისინი განუწყვეტლივ ავრცელებდენ პარტიის საწინააღმდეგო ფრაქციულ მასალას, სცდილობდენ სისტემატიურად დაერღვიათ პლენუმის მუშაობა და მიმართავდენ სხვა დასხვა დეზორგანიზატორულ მოქმედებას.

პლენუმის სხდომები ხდება საერთაშორისო მდგომარეობის კრიტიკული გართულების მომენტში. სწორედ ამ მომენტში ტროცკი და მისი მომხრენი გამწვავებულ ბრძოლას იწყებენ კომინტერნთან და საბჭოთა კავშირთან. პლენუმი ტროცკის გამოსვლებს უპასუხებს მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ ბოლო მოეღოს გამთიშავ ცდებს.

პლენუმი ადგენს:

1) კომინტერნის აღმასკომი აღნიშნავს, რომ ტროცკის და ვუიოვიჩის პრინციპიალური ხაზი და მოქმედება არ შეეფერება მათი, როგორც კომინტერნის აღმასკომის წევრის და კანდიდატის მდგომარეობას.

2) კომინტერნის აღმასკომი კატეგორიულად უკრძალავს ტროცკის და ვუიოვიჩის ფრაქციული ბრძოლის ყოველგვარ გაგრძელებას.

3) კომინტერნის აღმასკომის პლენუმი რწმუნებას აძლევს კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმს, რომ ინტერნაციონალურ საკონტროლო კომისიასთან შეთანხმებით, ფორმალურად გამორიცხოს ტროცკი და ვუიოვიჩი კომინტერნის აღმასკომიდან, თუ ეს ბრძოლა არ იქნა შეწყვეტილი.

4) კომინტერნის აღმასკომი წინადადებას აძლევს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, მიიღოს გადამჭრელი ზომები იმისათვის, რომ საკავშირო კომპარტია დაცულ იქნას ტროცკის და ზინოვიევის ფრაქციული მუშაობისაგან.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით)

30 მაისის დეპეშები სავსებით ადასტურებენ ფინ-იუ-სიანის და ტან-შენ-ჩის ჯარების ბრწყინვალე გამარჯვებებს ხენანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში. გარდა დიდძალი სამხედრო მასალისა, რევოლიუციონურ ჯარებს ტყვედ წამოუყვანიათ 20 ათასზე მეტი. დეპეშის ცნობით მუკდენელების ჯარი თავზარდაცემული მირბის. ტან-შენ-ჩის ჯარს (უხანის მთავრობის ჯარი ხანკოუდან წამოსული) მიუღწევია მდინარე ხუან-ხემდე, ე. ი. იგი გამოსულა უკვე ფინ-იუ-სიანის ჯარის ხაზზე. სადაცაა უნდა გადაწყდეს კაი-ფინის ბედიც. გამარჯვებითვე მოქმედობენ ფინ-იუ-სიანის ჯარების ნაწილები სამხრეთ-დასავლეთით ნან-იანის და ი-ჩანის რაიონებში, პროვინცია ხუბეი და ხენანის დასავლეთი ნაწილი საბოლოოდ გაწმენდილია უ-პეი-ფუს მომხრე წვრილფეხა მილიტარისტებისაგან.

ჯერ-ჯერობით მოქმედება არ დაუწყია პროვინციას შან-სის მფლობელს იან-სი-შენს, ალბათ ელის რევოლიუციონურ ჯარების უფრო წინ ჩრდილოეთით წამოწევას.

ცოტა გაუგებარია დეპეშის ცნობა, რომ უხანის ჯარების მოწინავე ნაწილებმა ვითომ მიაღწიეს მდ. ხუან-ხეს. მდ. ხუან-ხე ლუნხაის რკინის გზის ჩრდილოეთით დის და აღნიშნულ ნაწილებს უსათუოდ უნდა გადაეჭრათ ეს რკინისგზა და გასულიყვნენ სადმე ჩენ-ჯოუ კაიფინის შუა, ანდა კაი-ფინის აღმოსავლეთით. აქ რაღაც გაურკვეულობაა და ალბად მალე გავიგებთ საქმის ნამდვილ ვითარებას.

არ არის ცნობები ჩან-კაი-შის ჯარების ფრონტის მხრით. მაგრამ სამაგიეროთ არის ცნობა, რომ იაპონია აპირებს ჯარების გაგზავნას შანდუნის პროვინციაში. ძნელი წარმოსადგენია, რომ იაპონიას სურვილი ჰქონდეს დახმარება გაუწიოს მთლად განადგურებულ ჩან-სუ-ჩანს, შანდუნის მფლობელს. უფრო დასაჯერებელია ის რომ იაპონია ლამობს შანდუნის ოკუპაციას, რადგანაც ამ პროვინციას თავისი მდებარეობით მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ პეკინის რაიონის დაცვისათვის. შანდუნის პროვინციას ეკუთვნის ჩინეთის ტერიტორიის ერთ-ერთი საუკეთესო ნავთსადგური ვეი-ხაი-ვეი, რომელიც ინგლისის ხელშია და შანდუნის პროვინციაში ფეხმოკიდებული იაპონია, რასაკვირველია, ამ ნავთსადგურისათვის მუდმივ საშიშროებას წარმოადგენს. ვეი-ხაი-ვეიზე კი მიდიან ყველა საზღვაო გზები ტიან-ძინ-პეკინისა და მანჯურიისაკენ მიმავალი. ვეი-ხაი-ვეი კარია ჩჟილის ყურესი და მდებარეობს პორტ-არტურის პირდაპირ. როდესაც დასმულია პეკინის საკითხი (და პეკინს აუცილებლად მოჰყვება მანჯურიის საკითხიც) იაპონია რა თქმა უნდა ნეიტრალური ვერ დარჩება. და აი სწორედ ასეთი მომავლისათვის ალბად იაპონია ამ თავითვე ცდილობს, რომ ახლო მომავალში ვინმე მესამე (იგულისხმე ინგლისი) არ ჩაერიოს საქმეში. ერთი სიტყვით რევოლიუციონურ ჯარების დაახლოება პეკინთან თავის თავად ართულებს და აღრმავებს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ქიშპობას და ჰბადებს უფრო მეტს შესაძლებლობას ახალი დიდი ომისა, რომლის სუნი დატრიალდა წყნარ ოკეანეს ნაპირებზე.

ი. გედევანიშვილი.

პილსუდსკის რესპუბლიკაში

„კანონიერ საფუძველზე“

ვარშავა, 30 მაისი. პოლონეთის სეიმის ფრაქციების პრეზიდიუმთა თათბირზე წარმოდგენილ იქნა პროექტი, რომლის ძალით საკანონმდებლო გზით აკრძალული უნდა იქნეს კომუნისტების სიების წამოყენება არჩევნებში. (ადს).

ფეიქართა გაფიცვა

ვარშავა, 30 მაისი. ბელოსტოკში ფეიქართა გაფიცვა გრძელდება. მუშების წარმომადგენლებმა უარყვეს მწარმოებელთა წინადადება, რომელიც გულისხმობდა სამუშაო ხელფასის გადიდებას მხოლოდ 12 პროცენტით, რაც უმნიშვნელოა სიძვირის ზრდასთან შედარებით.

უკრაინელი დეპუტატები

ვარშავა, 30 მაისი. ვილნოს საოლქო სასამართლომ გაამართლა უკრაინელი დეპუტატები ჩუმაიუ, კოზიცკი და ვასინჩუკი. (ადს).

ამნისტიისათვის

ნიუ-იორკი, 30 მაისი. ამერიკის ლიბერალურ ბურჟუაზიის გამოჩენილ წარმომადგენელთა ჯგუფმა პოლონეთის ელჩს ვაშინგტონში ცეხანოვსკის წარუდგინა შუამდგომლობა პოლონეთის მთავრობის წინაშე პოლონეთის პოლიტიკურ პატიმრებზე ამნისტიის გავრცელების შესახებ. (ადს).

ინგლისი და ეგვიპტე

ლონდონი, 30 მაისი. „დეილი მეილ“-ის ცნობით, ორმა სამხედრო გემმა „ბარხამ“-მა და „მალაია“-მ (ერთ-ერთი უძლიერესი გემი ინგლისის ფლოტში) მიიღეს სასწრაფო ბრძანება მალტიდან გასვლის შესახებ.

გაზეთების ცნობით, გემები წავიდნენ ეგვიპტისაკენ. ეს ბრძანება, გაზეთის სიტყვით, დაკავშირებულია ეგვიპტის პოლიტიკურ წრეებში მდგომარეობის გამწვავებასთან, რაც აიხსნება მით, რომ საპარლამენტო კომისიამ დაამტკიცა წინადადება ეგვიპტის არმიის ინგლისელ მთავარსარდლის თანამდებობის გაუქმების შესახებ. ინგლისის უმაღლესმა კომისარმა პრემიერ სარვატ-ფაშას აცნობა, რომ ინგლისის მთავრობა გადაჭრით მოითხოვს, რათა მთავარსარდლის თანამდებობა ეჭიროს ინგლისის ოფიცერს (ადს).

ინგლისის ნოტა ეგვიპტის მთავრობას

ლონდონი, 30 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობებით, არმიის სარდლობის რეორგანიზაციის გამო, ეგვიპტის პრემიერს გადაეცა ინგლისის ნოტა, რომელიც შედგენილია ენერგიული კილოთი, მაგრამ საზღვრავს გარკვეულ ვადას პასუხისათვის.

ნოტის გაგზავნა გამოიწვია ეგვიპტის მთავრობის გადაწყვეტილებამ, ეგვიპტის არმიის მთავარსარდლად ინგლისელის მაგივრად დაინიშნოს ეგვიპტელი (ადს).

მანიფესტაცია პარიზში

პარიზი, 30 მაისი. პარიზის კომუნის ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღო 100.000 მეტმა მუშამ. მანიფესტანტები 5 საათის განმავლობაში მწყობრი რიგებით „ინტერნაციონალის“ სიმღერით დადიან კომუნარების კედლის წინ და გაიძახოდენ: „გაუმარჯოს კომუნას“! „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს“!

კომუნისტური „ლიუმანიტე“ მანიფესტაციის შესახებ სწერს: „ამ მანიფესტაციაში პარიზის პროლეტარიატმა გვიჩვენა, რომ იზრდება მისი ერთგულება კომინტერნისა და რუსეთის რევოლიუციისადმი“.

ბურჟუაზიული პრესა სცდილობს დაფაროს მანიფესტაციის წარმატებით ჩატარება და აცხადებს, რომ მანიფესტაციის მონაწილეთა უმთავრეს მასას ვითომც „უცხოელები“ შეადგენდენ.

პარიზი, 30 მაისი. „პარი მიდი“ წერილს უძღვნის პარიზის კომუნარების დახვრეტის დღის აღსანიშნავად გამართულ კომუნისტურ დემონსტრაციას.

იგი სწერს:

„100.000-ზე მეტმა მანიფესტანტმა მოიყარა თავი კომუნარების კედელთან. მანიფესტანტებში სამაგალითო დისციპლინა და დიდი აღფრთოვანება იყო. ხალხიდან გაისმოდა ხმა: „ძირს მთავრობა“, „სიკვდილი ბურჟუაზიას“!

გაზეთი აღნიშნავს ანამიტების, აფრიკელების, მაროკოელების, ჯარისკაცების და მეზღვაურების მონაწილეობას მანიფესტაციაში და მოუწოდებს მთავრობას და პალატას, კომუნისტების წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლისაკენ.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ

ნორვეგიამ იკისრა ინგლისელ მოქალაქეთა დაცვა საბჭ. კავშირში

მოსკოვი, 31 მაისი. ნორვეგიის ელჩმა ურბიმ აცნობა გარეშე საქმეთა კომისარიატს, რომ ნორვეგიის საელჩომ იკისრა ინგლისის მოქალაქეთა ინტერესების დაცვა საბჭოთა კავშირში.

გერმანელ ნაციონალისტების ლიდერის განცხადება

ბერლინი, 31 მაისი. გუშინ საღამოს ბრემერჰაფენში გერმანელ ნაციონალისტების ლიდერმა გრაფმა ვესტარპმა ინგლის-საბჭოთა კონფლიქტის შესახებ განაცხადა: „შექმნილი მდგომარეობა უკარნახებს გერმანიას უაღრეს თავდაჭერილობას და უსასტიკესი ნეიტრალიტეტის დაცვას. თუ დიპლომატიური წესების თანახმად, გერმანიას არ შეეძლო უარეყო რუსეთის თხოვნა რუსეთის ინტერესების დაცვის შესახებ ლონდონში, მაშინ საჭიროა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ჩვენი ფორმალური ფუნქციები არ გასცილდენ აბსოლიუტური ნეიტრალიტეტის ფარგლებს. (ადს).

საფრანგეთი და იტალია ნეიტრალიტეტს იცავენ

პარიზი, 30 მაისი. მემარცხენე ბლოკის ორგანო „ევრ“-ი სწერს:

„ურთიერთობის ჩაშლა, რასაკვირველია, ვერ გააუმჯობესებს ინგლისის მდგომარეობას. მშვიდობიანობა საფრთხეში ჩავარდებოდა, რომ ამ უთანხმოებაში დაუფიქრებლად ჩარეოდენ სხვა სახელმწიფოები, მაგრამ საფრანგეთი და იტალია ნეიტრალური რჩებიან. გერმანია კი რაპალოს და ლოკარნოს ერთგულია. დროს მივანდოთ ინგლისის პარლამენტის არჩევნების გზით ინგლის-საბჭოთა კავშირის უთანხმოების მოგვარება“. (ადს).

ინგლისის წარმომადგენელი გაემგზავრა ვლადივოსტოკიდან

ვლადივოსტოკი, 31 მაისი. 31 მაისს ინგლისის წარმომადგენელი ვლადივოსტოკში პეტონი მივიდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სააგენტოში, სადაც განაცხადა, რომ ის მიემგზავრება საბჭოთა კავშირიდან და გამოსთქვამს მწუხარებას ურთიერთობის შეწყვეტის გამო. უახლოეს ხანში პეტონი საკონსულოს შტატით მიემგზავრება იაპონიაში (ადს).

ინგლისის მაგიერ—ბელგიასა და ჰოლანდიაში

ოდესა, 31 მ. ინგლ. ნავთსადგურებში საბჭოთა გემების რეგულიარულად შესვლის შეწყვეტის გამო, დაიწყო საქონლის მიღება ბელგიასა და ჰოლანდიაში გასაგზავნად. ივნისის პირველ რიცხვებში ანტვერპენსა და როტერდამში გაიგზავნება დიდძალი საქონელი. (ადს).

ხიქსი ზეიმობს

ლონდონი, 30 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ჯოინსონ ხიქსმა წარმოსთქვა ბრისტოლში სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ, მისი აზრით, უკანასკნელი კვირის ამბები ახლო წლებში დიდ გავლენას მოახდენს ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

„ინგლისი, — განაცხადა ხიქსმა, — ისევ ბატონია თავის სახლში. უცხოელი ელემენტები იძულებული გახდენ წაბრძანებულიყვენ. მე ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუშათა კლასის მდგომარეობა იმ ცუდი გავლენისაგან, თავის დაღწევის შემდეგ, რომელიც ემჩნეოდა ყოველ შემთხვევაში მის მცირე ნაწილს მაინც. მთელი ქვეყანა მხარს უჭერს იმ პრინციპებს, რომლებიც დაედო საფუძვლად კანონპროექტს პროფკავშირების შესახებ. მუშათა პარტია მადლობას უნდა სწირავდეს ღმერთს, რომ მთავრობა წრეულს არ ნიშნავს არჩევნებს და იმ დროს, როდესაც წითლები გარბიან მოსკოვში, კონსერვატორების საარჩევნო დროშას აწერია: „თავისუფლება მუშას“ (ადს).

გერმანია კისრულობს საბჭ. მოქალაქეების ინტერესების დაცვას ინგლისში

ლონდონი, 31 მაისი. როზენგოლცმა აცნობა ჩემბერლენს, რომ საბჭოთა კავშირის რწმუნებულის გამგზავრების შემდეგ ინგლისიდან, გერმანიის საელჩო იკისრებს ინგლისში დარჩენილ ყველა საბჭოთა მოქალაქეების ინტერესების დაცვას. (ადს).

უკომენტარიოთ

ტოკიო, 30 მაისი. იაპონიის ყველა გაზეთები ლიტვინოვის ნოტას ინგლისის მთავრობის სახელზე უკომენტარიოთ ათავსებენ.

მუკდენელები სტოვებენ ჩენ-ჩჟოუს

შანხაი, 31 მაისი. ტოხოს სააგენტო ტიან-ძინიდან იუწყება:

„მუკდენის ჯარებმა გადასწყვიტეს დასტოვონ ჩენ-ჩჟოუ და დაიხიონ ყვითელი მდინარის ჩრდილო ნაპირისაკენ“.

ბოიკოტი ინგლისურ საქონელს

შანხაი, 31 მაისი. ნინბოში (ჩჟე-ცზიანის პროვინცია) 1-ლ ივნისიდან გამოცხადებულია ბოიკოტი ინგლისურ საქონელზე (ადს).

სპარსეთის ახალი ელჩი საბჭოთა კავშირში

თეირანი, 30 მაისი. გოშვეროლ-მამალეაი დაინიშნა სპარსეთის ელჩად მოსკოვში. მასვე აქვს დავალებული მოლაპარაკების წარმოება საბჭოთა კავშირთან.

ინგლისის ჯარები — ჩრდილოეთ ჩინეთისაკენ

შანხაი, 31 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ხენანში შექმნილი მდგომარეობის გამო, ინგლისის სარდლობამ გადასწყვიტა გაგზავნოს ჩრდილოეთ ჩინეთში, ალბად ტიან-ძინში, ინგლისური ჯარების ერთი ბათალიონი მაინც.

სკანდინავიის მუშათა დელეგაცია ლენინგრადში

ლენინგრადი, 31 მაისი. ლენინგრადში ჩამოსულმა სკანდინავიის მუშათა დელეგაციამ დაათვალიერა რკინისგზის ხაზი. 31 მაისს საღამოს დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვში.

16 მილიონი მანეთი მომხმარებელს

მოსკოვი, 31 მაისი. მოსკოვის მრეწველობის მიერ გატარებულმა ფასების დაკლებამ უკანასკნელი 7 თვის განმავლობაში მომხმარებელს გადაურჩინა 16 მილიონი მანეთი. (ადს).

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

პარიზი, 30 მაისი. სახელმწიფო რკინის-გზების მუშა-მოსამსახურეთა რეფორმისტულ კავშირების კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია უნიტარულ (რევოლიუციონურ) პროფკავშირებთან ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ. კონგრესი რეზოლიუციაში მოითხოვს, რომ უნიტარულ პროფკავშირების წევრებს მიეცეთ იგივე უფლებები, რაც ჰქონდათ გათიშვამდე, თითქოს გათიშვას ადგილი არ ჰქონი. (ადს).

ომის საფრთხის წინააღმდეგ

ბერლინი, 30 მაისი. ზოლინგენის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა საერთო კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს რომ პროლეტარული ორგანიზაციები არ დაკმაყოფილდებიან მხოლოდ პროტესტებით, არამედ მოამზადონ საჭირო კონტრზომები საბჭოთა კავშირის დასაცავად და ახალი იმპერიალისტური ომის მზადების წინააღმდეგ.

იტალია-უნგრეთის შეთანხმების დამტკიცება

ვენა, 30 მაისი. უნგრეთის ზედა-პალატამ დაამტკიცა იტალია-უნგრეთის შეთანხმება.

მიწისძვრა აზერბეიჯანში

ბაქო, 31 მაისი. გუშინ საღამოს 7 საათზე აზერბეიჯანის სეისმოგრაფიულმა სადგურმა აღნიშნა ახლობელი მიწისძვრა.

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი, 31 მაისი. კომინტერნის აღმასკომმა მიმართა მოწოდებით ყველა ქვეყნის მუშებს, გლეხებს, ჯარისკაცებს, მეზღვაურებს და ყველა ჩაგრულ ერებს.

მოწოდებაში ნათქვამია:

„იმპერიალისტური სახელმწიფოები აღარ მალავენ ომისათვის მზადებას. მაგრამ იმპერიალიზმი ვერ მოემზადება ომისათვის, თუ არ აწარმოვა ბრძოლა მუშათა კლასის წინააღმდეგ. ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არის ომი კლასიური, ომი — მიმართული პროლეტარიატის წინააღმდეგ. იმ დროს, როდესაც მსოფლიო იმპერიალიზმი იკრებს ძალას, რომ მახვილი ჩასცეს მუშათა კლასს, სოციალ - დემოკრატიის ბელადები ღალატობენ მუშათა კლასის ინტერესებს და უწევენ სამსახურს იმპერიალიზმსა და სამხედრო რეაქციას. იმ მომენტში, როდესაც ჩემბერლენი ჰქმნის ერთიან ფრონტს პროლეტარული რუსეთის წინააღმდეგ, მეორე ინტერნაციონალი თავისი ჭორებისა და ცილისწამების კამპანიით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ხელს უწყობს ინგლისის რეაქციონური მთავრობის გამოსვლას. მშრომელი მასებისათვის მემარჯვენე სოციალ - დემოკრატიულ ბელადების აშკარა ცინიკურ ღალატზე გაცილებით უფრო საშიშია პაციფისტური ილიუზიები, რომელსაც სთესენ სოციალ - დემოკრატიის „მემარცხენე“ ლიდერები და ტრედიუნიონები. მოახლოებული საფრთხის წინაშე შეამჭიდროვეთ თქვენი რიგები დაუნდობელი ბრძოლისათვის ომისა და ამ ომის გამომწვევ ყაჩაღების წინააღმდეგ. შემჭიდროვდით მილიონებად თქვენს რევოლიუციონურ კომუნისტურ ორგანიზაციებში, კომპარტიებში; განდევნეთ თქვენი წრიდან სოციალ-პატრიოტი ბელადები და ემზადეთ დიადი ბრძოლისათვის!“ (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის გამარჯვება

პარიზი, 30 მაისი. დამატებით არჩევნებში წმინდა სას.-სამეურნეო დეპარტამენტში—ობეში ხმების შედარებითი უმრავლესობა მიიღო საფრანგეთის კომპარტიის კანდიდატმა პლიარმა; მან მიიღო 15.824 ხმა. რეაქციონერების კანდიდატმა შეაგროვა 14.465 ხმა. (ადს).

წითელი მანიფესტი

ბერლინი, 31 მაისი. წითელფრონტელების კავშირის ცეკამ გამოაქვეყნა „წითელი მანიფესტი წითელფრონტელების კავშირის აღლუმის შესახებ“. ომის საფრთხის მოახლოვების გამო, მანიფესტი მოუწოდებს რევოლიუციონური ბრძოლისაკენ მშვიდობიანობისათვის. „ჩვენ მთელი ჩვენი ძალღონითა და სიცოცხლით დავიცავთ საბჭოთა კავშირს — მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის სამშობლოს“, — ნათქვამია მანიფესტში (ადს).

რა ხდება უცხოეთში

საფრანგეთის მრეწველობის კრიზისი

საფრანგეთის მძიმე მრეწველობის პროდუქცია 1926 წ. სარეკორდო აღმოჩნდა. წარსულ წელს დამზადებულ იქნა 9.387.000 ტონა თუჯი ნაცვლად 9.077.000 ტონისა 1913 წ. და 8.494000 ტონისა 1925 წ. ფოლადის წარმოებაც შესაფერი წლებისათვის შეადგენდა: 8.482. 000 ტონას, 6.947.000 ტონას და 7. 446.000 ტონას.

წარსული წლის დეკემბერი იყო თვე, როცა დამზადებული იქნა თუჯისა და ფოლადის უდიდესი რაოდენობა: 827.000 და 741.000 ტონა. ამდენი თუჯი და ფოლადი არასოდეს არ დამზადებულა საფრანგეთის ტერიტორიაზე.

მაგრამ კრიზისმა უკვე მიმდინარე წლის იანვარში იჩინა თავი. ამ თვეში გამომუშავებულ იქნა 804.000 ტონა თუჯი და 673.000 ტონა ფოლადი.

იმავე თვეში საფრანგეთის მთელი მძიმე ინდუსტრიის დაკვეთები 30 პროცენტამდე შემცირდა.

მძიმე ინდუსტრიის ორგანო „მეტალურგია“ ასე ასწერს შექმნილ მდგომარეობას: „მძიმე ინდუსტრია დიდ დაბრკოლებებს განიცდის, რადგან ფასები რკინაზე, ფოლადზე და თუჯზე ომის წინა დროინდელზე ნაკლებია(მაგალითად რკინის მასალები მხოლოდ 3 ნახ. ჯერ უფრო ძვირად იყიდება, ვიდრე ომამდი, ფრანკის კურსი კი ხუთჯერ დაეცა ომის წინადროინდელ კურსთან შედარებით), პროდუქციის თვითღირებულებას კი დაკლების არავითარი ტენდენცია არ ემჩნევა; შრომის ხელფასი დარჩა ძველ დონეზე, და ცხოვრების სიძვირის გამო არ ხერხდება მისი დაკლება; ნახშირის ფასი შემცირდა ძლიერ მცირე რაოდენობით; საგადასახადო ტვირთი, ფრანკის კურსის განმტკიცების კამპანიასთან დაკავშირებით, უფრო და უფრო მძიმდება, რაც შეეხება სატრანსპორტო ტარიფებს, მათი დაკლება შეუძლებელია, რადგან გზები ისედაც დეფიციტს იძლევიან“.

დაახლოვებით ასეთივე მდგომარეობაა საფეიქრო მრეწველობაშიც, დეკემბრის პროდუქციამ თითეულ სართავზე მიაღწია 2.136 კილოგრამამდე დაკვეთები კი თითეულ სართავზე უდრიდა მხოლოდ 1.870 კილოგრამს, ნაცვლად 2.240 კილოგრამისა ივნისში და 2.060 კილოგრამისა მარტში (1926 წ.) თითეული საქსოვი დაზგის პროდუქცია დეკემბერში საშუალოდ შეადგენდა 626 მეტრს, ნაცვლად 595 მეტრისა იმავე წლის ივნისში და 573 მეტრისა 1925 წ. დეკემბერში.

ამავე დროს შემცირდა ნედლი მასალის შემოტანა საფეიქრო მრეწველობის საჭიროებისათვის. 1926 წ. დეკემბერში საფრანგეთში შეტანილ იქნა 531.000 ტონა ბამბა (1925 წ. დეკემბერში 645.000 ტონა). 1926 წ. დეკემბერში საფრანგეთში შეიტანეს 298.000 ტონა მატყლი, 1925 წ. დეკემბრის ციფრი კი ამავე ნედლეულზე უდრის 347.000 ტონას. აბრეშუმის ნედლეულის იმპორტი, იმავე პერიოდებისათვის უდრის 17.000 და 20.000 ტონას.

საფრანგეთის პრესა ცდილობს ისე დახატოს მდგომარეობა, როგორც „დროებითი შეფერხება საქმეებში“.

პრესა თავის ოპტიმიზმს შემდეგნაირად ასაბუთებს. ფასები საფრანგეთის ფაბრიკატებზე და ნახევარ-ფაბრიკატებზე რამდენიმედ ნაკლებია მსოფლიო ფასებზე.

უმუშევრების რაოდენობა, რომელიც იანვარ-თებერვალში 6—10 ათასით იზრდებოდა კვირაში, უკანასკნელ ხანებში მხოლოდ ორ-ორი ათასით მატულობს.

საფრანგეთის გლეხობის სყიდვითი უნარიანობა, მიუხედავად ცუდი მოსავლისა, უფრო დიდია, ვიდრე წარსულ წელში, რადგან სასოფლო-მეურნეობის პროდუქტებზე ფასები გაიზარდა.

პრესის აზრით, კრიზისი გამოწვეულია ფრანკის კურსის სწრაფი განმტკიცებით და უცხოელ ტურისტების გაქცევით, ფასების ზრდის გამო.

გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან მწარმოებლები ეძებენ შრომის ხელფასის შეკვეცაში.

ასე, მაგალითად პარიზის რაიონის მექანიკურმა ინდუსტრიამ სხვადასხვა ხრიკებით (მუშების მასიური დათხოვა და შემდეგ დათხოვნილთა ნაწილის უკან მიღება) მიაღწია მელითონეთა ხელფასის შემცირებას. ამჟამად სწარმოებს ენერგიული შემოტევა ნახშირის მრეწველობის მუშების ხელფასზე. საფრანგეთის ყველა საქვანახშირო რაიონების ნახშირის მრეწველებმა, რომლებიც მთავრობასთან ერთად აწარმოებენ ნახშირის დამუშავებას საარის ოლქში, გააუქმეს ძველი კოლექტიური ხელშეკრულებები და მოითხოვდენ შრომის ხელფასის შემცირებას 5—10 პროცენტით.

საფრანგეთის ნახშირის მრეწველები ამ შემოტევას მით ასაბუთებენ, რომ ინგლისის ნახშირის მრეწველობაში ხელფასის შემცირებისა და სამუშაო დღის გადიდების გამო, საფრანგეთის ნახშირს აღარ შეუძლია მეტოქეობის გაწევა ინგლისის ნახშირისათვის.

მზადდება საერთო შემოტევა საფრანგეთის მუშათა კლასის ხელფასზე.

მუშათა მოძრაობა

საგაფიცვო მოძრაობა ჩინეთში

ამერიკის შრომის სამინისტროს ორგანოში—ჟურნალ „მონზლ“-ში მოთავსებულია ჩინელ პროფესსორის ტა-ჩენის მეტად საინტერესო წერილი საგაფიცვო მოძრაობის შესახებ ჩინეთში 1918—25 წ. პერიოდში. წერილი იმით არის საინტერესო, რომ ოფიციალური სტატისტიკური ცნობები საგაფიცვო მოძრაობის შესახებ ჩინეთში სრულიად არ მოიპოება. ტა-ჩენის შრომა ემყარება კანტონის, ხანკოუს, ხან-ჩჟოუს, შანხაის, პეკინის, ტიან-ძინის და მუკდენის 17 გაზეთის მასალებზე. ავტორი შენიშნავს, რომ ის თავის შრომას არ თვლის სრულად. ეჭვს გარეშეა გაფიცვების ნაწილმა ვერ ჰპოვა გაშუქება გაზეთების ფურცლებზე და ამიტომ ტა-ჩენის შრომაშიც არ შესულა. მაგრამ ამ სახითაც ტა-ჩენის მიერ შეკრებილი მასალა უდიდესი ყურადღების ღირსია. შეგროვებულია მასალა 698 გაფიცვის შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 8 წლის პერიოდში (1918—1925 წ. წ.). როგორც გაფიცვათა, ისე გაფიცულთა რაოდენობა ძლიერ მერყეობს ცალკე წლების მიხედვით, ამას ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:

წლები	გაფიცვის საერთო რაოდენობა	იმ გაფიცვების რაოდენობა, [illegible]	გაფიცულთა რაოდენობა
1918	25	12	6.455
1919	66	26	91.502
1920	46	19	46.140
1921	49	22	108.025
1922	41	30	139.050
1923	47	17	35.835
1924	56	18	61.860
1925	318	198	784.821

ყურადღებას იპყრობს საგაფიცვო ტალღის განსაკუთრებით არაჩვეულებრივი ზრდა 1925 წ. ამ ფაქტს კავშირი აქვს ფართე საგაფიცვო მოძრაობასთან, რომელიც დაიწყო ჩინეთში 1925 წ. მაისში შანხაის მუშების დახვრეტის გამო. 318 გაფიცვიდან, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 1925 წ., 183, წერილის ავტორის სიტყვით, უშუალოდ მაისის ამბებით არის გამოწვეული. დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ პოლიტიკური გაფიცვების ხანგრძლივობა უფრო მეტია, ვიდრე ეკონომიური ხასიათის გაფიცვების. ასე მაგალითად, თითეული გაფიცვის საშუალო ხანგრძლივობა 1918—1924 წლის პერიოდში უდრის 5,65—9,27 დღეს; 1925 წელს კი თითეული გაფიცვის საშუალო ხანგრძლივობა 18,88 დღეს შეადგენს.

მრეწველობის ცალკე დარგებიდან გაფიცვების რაოდენობის მხრივ, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილი საფეიქრო მრეწველობას უჭირავს, საანგარიშო 8 წლის პერიოდში მრეწველობის ამ დარგზე მოდის 199 გაფიცვა. მეორე ადგილი უჭირავს ტრანსპორტს, სადაც გაფიცვების სიმრავლე გამოწვეულია ხშირი კონფლიქტებით ერთის მხრივ რიქშებსა (რიქშები—მუშები, რომლებიც ცხენების მაგიერობას ასრულებენ) და მტვირთავებს და მეორე მხრივ მათ დამქირავებლებსა და მუნიციპალურ ხელისუფლებას შორის. ტრანსპორტზე მოდის 124 გაფიცვა. შემდეგი ადგილი უჭირავთ: [illegible] მრეწველობას—70 გაფიცვა, საკვებ ნივთიერებათა დამამზადებელ მრეწველობას—50 გაფიცვა და სხ.

ტა-ჩენის წერილი შეიცავს აგრეთვე მეტად საგულისხმო ცნობებს გაფიცვების მიზეზების შესახებ. ეს მიზეზები ავტორს რამდენიმე ჯგუფად აქვს განაწილებული. ბრძოლა სამუშაო ხელფასის რაოდენობისათვის შეიქმნა 331 გაფიცვის მიზეზი. მუშების უკმაყოფილებამ შრომის პირობებით (სამუშაო დრო, დამქირავებლების მოპყრობა) გამოიწვია 111 გაფიცვა. „სახალხო მოძრაობამ“, რომლის ქვეშ ავტორი გულისხმობს პოლიტიკურ გაფიცვებს, გამოიწვია მუშაობის შეწყვეტა 179 შემთხვევაში. ათი გაფიცვა გამოცხადებულ იქნა პროფკავშირის ორგანიზაციის უფლების მოპოების მიზნით, 6 გაფიცვა გამოაცხადეს ნიშნად თანაგრძნობისა სხვა წარმოებებში გაფიცულ მუშებისადმი; სხვა მიზეზებზე მოდის 61 გაფიცვა.

წერილში მოყვანილია აგრეთვე ცნობები გაფიცვების შედეგების შესახებ. ეს ცნობები ნაკლებ საინტერესოა. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ 698 გაფიცვიდან ავტორს შეკრებილი აქვს ცნობები მხოლოდ 396 გაფიცვის შედეგების შესახებ. შემდეგ, ავტორის მიერ შედეგების დასახასიათებლად მიღებული კლასიფიკაცია ვერ ჩაითვლება სწორად და მეტად სუბიექტიურ ხასიათს ატარებს. ავტორი „წარმატებით“ დამთავრებულად თვლის იმ გაფიცვას, როცა დააკმაყოფილეს გაფიცულთა მოთხოვნილებების 60 პროც., ან როცა საქმე შეეხება ხელფასის გადიდებას, მუშებს მიეცა მომატება წარდგენილ მოთხოვნილების არა ნაკლებ 25 პროც. რაოდენობით. „ნაწილობრივ წარმატებით დასრულებულად“ ავტორი თვლის იმ გაფიცვებს, როცა დაკმაყოფილებულ იქნა მოთხოვნილებების ნაწილი, მაგრამ უფრო ნაკლების რაოდენობით, ვიდრე ზემოთ აღწერილ შემთხვევაში. წაგებულ გაფიცვების რიცხვშია შეტანილი ყველა ის გაფიცვები, როცა გაფიცულთა არც ერთი მოთხოვნილება არ იქნა დაკმაყოფილებული.

ამრიგად, ავტორის კლასიფიკაციის მიხედვით, 396 გაფიცვიდან „წარმატებით“ დასრულდა 284 გაფიცვა „ნაწილობრივ წარმატებით“—71 და დამარცხებით—41 გაფიცვა.

ზ. ჩ.

საბჭოთა კავშირში

„ასოშიეტედ პრეს“-ის დირექტორი

ლენინგრადი, 31 მაისი. ამერიკის დეპეშათა სააგენტოს „ასოშიეტედ პრეს“-ის გენერალური დირექტორი კუპერი გაემგზავრა ლენინგრადში, საიდანაც აპირებს წასვლას საზღვარგარეთ. (ადს).

ფასების დაკლება

მოსკოვი, 31 მაისი. საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს ცნობით, **მრეწველობამ მთავრობის დირექტივა ფასების დაკლების შესახებ შეასრულა უკვე პირველ მაისისათვის.** საცალო ფასების დაკლება გრძელდება. ჯერ-ჯერობით არასაკმაოა კოოპერატიულ და სავაჭრო აპარატის მიღწევები. კერძო ვაჭრებმა გაადიდეს ფასი ზოგიერთ საქონელზე, რომელიც ნაკლები რაოდენობით [illegible].

დოსტაქართა ყრილობა

ლენინგრადი, 31 მაისი. დაიხურა დოსტაქართა საკავშირო ყრილობა. ყრილობას დაესწრო 1.500 ექიმი, გაკეთებულ იქნა 70 მოხსენება ქირურგიის სხვადასხვა საკითხების შესახებ.

შემდეგი ყრილობა მოწვეულ იქნება მოსკოვში 1928 წლის მაისში. (ადს).

ამხ. ტომსკი ფასების დაკლების შესახებ

მოსკოვი, 31 მაისი. მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას, — განაცხადა ამხ. ტომსკიმ თავის სიტყვაში ფ.-ტ. მუშაკთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე, — წარმოადგენს ბრძოლა ფასების დაკლების საშუალებით რეალური სამუშაო ხელფასის ფაქტიური შენარჩუნებისა და შემდეგი გადიდებისათვის. საქონელ ჩვენია, მოსამსახურეები ჩვენია, მაგრამ მაინც სუსტად ტარდება დირექტივა ფასების დაკლების შესახებ. თუ ქვეყნის პატრონი — მუშათა კლასი არ ალაპარაკდება ენერგიული ენით, თუ ის არ მიაქცევს საჭირო ყურადღებას და არ გაუწევს კონტროლს, მაშინ ფასები ვერ დაიკლებს. ყველამ იცის, რომ ფასების დაკლების კამპანია ხვდება აპარატის ჩუმ წინააღმდეგობას. ამ დირექტივისათვის ათობით და ასობით გვერდის ამხვევი უკვე მიცემულია პასუხისგებაში. მუშათა კლასმა ბოლომდე უნდა მიიყვანოს დაწყებული ბრძოლა. საჭიროა კონტროლი თავიდან ბოლომდე, საჭიროა ფართე მასების ნამდვილი მონაწილეობა ფასების დაკლების კამპანიაში (ადს).

ფართლეული ამიერ-კავკასიისათვის

მოსკოვი, 31 მაისი. საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან მოწვეულმა თათბირმა დაადგინა ბამბეული ქსოვილის სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე წლის მესამე კვარტალისათვის მიაწოდოს ამიერ - კავკასიის აბრეშუმის პარკის დამმზადებელ რაიონებს 20 ვაგონი ფართლეული. ა.-კ. კოოპერატიულ კავშირს თათბირმა დაავალა ამ ფართლეულის განაწილება ამიერ - კავკასიის ცალკე რესპუბლიკების იმ კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც აწარმოებენ აბრეშუმის პარკის დამზადებას. სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატმა გადადებული ფართლეული უნდა მიაწოდოს ამიერ - კავკასიას არა უგვიანეს 1-ლი ივნისისა.

ციმბირელ თეთრგვარდიელთა საქმე

მოსკოვი, 31 მაისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აცნობეს, რომ წინასწარმა გამოძიებამ ციმბირის ყაზახთა ატამანის გენერალ **ანენკოვის** და მისი შტაბის უფროსის გენერალ **დენისოვის** საქმეზე, გამოარკვია მთელი რიგი გარემოებათა, რომელშიაც სწარმოებდა თეთრგვარდიელთა ბრძოლა ციმბირის მუშურ-გლეხურ ორგანიზაციების წინააღმდეგ. თუ რამდენად ძვირფასი იყო ემიგრაციისათვის ანენკოვი სჩანს იქედან, რომ შანხაის და ჩრდილოეთ ჩინეთის თეთრგვარდიელთა ორგანიზაციებმა, როცა გაიგეს, რომ ანენკოვი იმყოფება ჩინეთში, სადაც მან თავი შეაფარა ციმბირში თეთრგვარდიელების საბოლოო დამარცხების შემდეგ, რამოდენიმეჯერ მიმართეს მას თხოვნით ხელმძღვანელობა გაეწია შეიარაღებულ ბრძოლისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ასეთივე წინადადებით მიმართავდენ ანენკოვს ინგლისის და სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოების ქვეშევრდომნი, რომელნიც დახმარებას უწევდენ თეთრგვარდიელებს. **ასეთივე წინადადებით მისდიოდა მას უცხოეთის ზოგიერთ სახელმწიფოებისაგან, რომელთა ხარჯზე, ანენკოვის და დენისოვის სიტყვით; არსებობდენ თეთრგვარდიელთა ორგანიზაციები ჩინეთში.** (ადს).

საზეიმო სხდომა

აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში

მოსკოვი, 31 მაისი. აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში 70 კურსდამთავრებული მსმენელის გამოშვების გამო, გაიმართა საზეიმო სხდომა.

სტუმართა შორის სხდომაზე მიწვეული იყო, აგრეთვე ამხ. რიკოვიც, რომელმაც თავის მოკლე სიტყვაში მიესალმა კურსდამთავრებულ სტუდენტებს და აღნიშნა საბჭოთა კავშირის დღევანდელი საშინაო და საგარეო მდგომარეობის მნიშვნელოვანი მომენტები.

კრების თავმჯდომარემ გამოაქვეყნა წერილი ამხ. სტალინის, რომლის სახელსაც უნივერსიტეტი ატარებს.

„უნივერსიტეტი დღეს გზავნის ბრძოლაში, — სწერს თავის წერილში ამხ. სტალინი, — ლენინიზმით შეიარაღებულ მებრძოლთა ახალ კადრებს. ამხანაგები უერთდებიან ბრძოლას იმ მომენტში, როდესაც მსოფლიო და, პირველ ყოვლისა, ინგლისის იმპერიალიზმი სცდილობს დაარჩოს ჩინეთის რევოლიუცია და თავხედურად ემუქრება საბჭოთა კავშირს. მე იმედი მაქვს, რომ კურს დამთავრებულნი ბრწყინვალედ შეასრულებენ თავის მოვალეობას და მთელს თავის ძალას და ცოდნას შესწირავენ იმპერიალიზმისაგან აღმოსავლეთის მშრომელთა განთავისუფლების საქმეს“ (ადს).

აზერბეიჯანის მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა

მოსკოვი, 31 მაისი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა აზერბეიჯანის რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა 1927-28 წლიდან 1931-32 წლამდე. გეგმა ითვალისწინებს: საერთო პროდუქციის ზრდას ხუთი წლის განმავლობაში 49.524.000 მან.-დან 79.448.050 მან.-მდე. მთელი პროდუქცია 5 წლის განმავლობაში შეადგენს 300 მილ. მან., აქედან ახალ წარმოებათა პროდუქცია —95 მილ. მან. რაოდენობით. პროდუქციის ყველაზე უფრო დიდ ზრდას იძლევა ხე-ტყის, სამთო-ქიმიური, საფეიქრო და სილიკატური მრეწველობა.

კომისია აღნიშნავს, რომ წარმოების ზრდასთან ერთად მუშა ხელის რაოდენობა მრეწველობაში 5 წლის დასასრულში მიაღწევს 20.000 მდე. კომისია აღნიშნავს აგრეთვე, რომ პროდუქციის თვითღირებულების საშუალო დაკლებას ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს 20 პროც., ზედნადები ხარჯების დაკლებასთან ერთად, საშუალოდ კი აზერბეიჯანის მთელ მრეწველობაში 30 პროცენტამდე.

კომისიამ კაპიტალური სამუშაოებისათვის აზერბეიჯანის მრეწველობის ცალკე დარგებში დაადგინა თანხების შემდეგი რაოდენობა: საფეიქრო მრეწველობაში კაპიტალური ხარჯებისათვის ხუთი წლის განმავლობაში გადადებული უნდა იქნას 22.937.000 მან., ხოლო 1927—28 წელში კი—5.775.000 მან:, აბრეშუმის მრეწველობისათვის ხუთი წლის განმავლობაში გადადებულ უნდა იქნას—4.122.000 მან., 1927—28 წელში—543.000 მან., ხე-ტყის მრეწველობისათვის ხუთი წლის განმავლობაში— 3 მილ. მან., 1927—28 წ.—491.000 მან.; სამთო-ქიმიური მრეწველობისათვის 5 წ.განმავლობაში—8.930.000 მან. და 1927—28 წ.—1.789.000 მან.; სილიკატური მრეწველობისათვის 5 წლის განმავლობაში—2.145.000 მან. და 1927—28 წ.—625.000 მან:; თევზეულის მრეწველობისათვის 5 წ. განმავლობაში — 4.543.000 მან. და 1927—28 წ.—900.000 მ.; თამბაქოს მრეწველობისათვის 5 წ.განმავლობაში—700.000 მან. და 1927—28 წ.—200.000 მან.; ლითონის მრეწველობისათვის 5 წლის განმავლობაში—624.000 მან.; 1927—28 300.000 მან.; მევენახეობისათვის—400.000 მან.; გეოლოგიურ გამოკვლევითი მუშაობისათვის—950.000 მან. (ადს).

პარტიული ცხოვრება

საბჭოთა უჯრედების მდივნების თათბირის შესახებ

დღეს გაიხსნება ამ.-კავკასიის საბჭოთა დაწესებულებების უჯრედების მდივნების თათბირი. ამ თათბირს დღეს, როდესაც ჩვენი პარტია უმწვავეს ყურადღებას აქცევს სახელმწიფო აპარატის გამარტივებას, გაჯანსაღებას, ბრძოლას ბიუროკრატიზმთან და ვოლოკიტასთან, აპარატის გამუშურებას—დიდი მნიშვნელობა ეძლევა. უჯრედი დაწესებულების მუშაობაში დიდ როლს თამაშობს. იქ, სადაც უჯრედი თავის სიმაღლეზე სდგას, დაწესებულებაც კარგად მუშაობს.

მდივნების თათბირზე, სხვათა შორის, მოსმენილ იქნება მოხსენებები ადგილებიდან. ამ მოხსენებებიდან გამოირკვევა, თუ როგორ მუშაობდენ და როგორ ატარებდენ პარტიის ხაზს საბჭოთა დაწესებულებების უჯრედები ამიერ-კავკასიაში. საბჭოთა აპარატს ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ პარტია ყოველ ღონეს ხმარობს ამ ნაკლის გამოსასწორებლად. ჩვენს დაწესებულებებში გამეფებულია ბიუროკრატიზმი, რომელიც ღრღნის და ამახინჯებს ჩვენი აპარატის სახეს, სცემს საბჭოთა დაწესებულების გავლენას მუშებისა და გლეხების თვალში. ბიუროკრატიზმის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ჩვენს დაწესებულებებში ბლომად არიან დარჩენილი ძველი ჩინოვნიკები, რომლებსაც ათეული წლობით უმუშავნიათ თვითმპყრობელობის დროს, მოწამლული არიან ბიუროკრატიზმის შხამით და ჩვენთანაც მოიტანეს ეს სენი.

საჭიროა ამ ძველი ჩინოვნიკების თანდათანობით შეცვლა მუშებისა და გლეხების წრეებიდან გამოსული ამხანაგებით. ამ უკანასკნელთა წინ წაწევით ჩვენს სახელმწიფო აპარატში, შევძლებთ საბჭოთა დაწესებულებების გაჯანსაღებას და მშრომელთა მასებთან დაახლოვებას. მომხსენებლები ადგილებიდან შეეხებიან თავის მიღწევებსა და ნაკლოვანებებს საბჭოთა აპარატში გამეფებულ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში და აგრეთვე რა გააკეთეს მათ აპარატის გამუშურების საქმეში, რამდენი მუშა წამოაყენეს საპასუხისმგებლო ადმინისტრატიულ თანამდებობაზე და სხვ.

გარდა ამისა, ჩვენი სახელმწიფო აპარატი ბევრგან ზედმეტად გაბერილია; იქ, სადაც ადვილად შეიძლება დაკმაყოფილდეთ ოთხი-ხუთი მომუშავით, მუშაობს 10—12 კაცი. ეს ხელს უშლის აპარატის მუშაობას და მის შენახვას აძვირებს. ადგილებიდან მოხსენებები ამ საკითხის გამორკვევის საშუალებასაც მოგვცემს. პარტია გაეცნობა ჩვენი საბჭოთა უჯრედების მუშაობას ამ დარგში. ამის შემდეგ პარტიას საშუალება ექნება ჯამი გაუკეთოს მიღწევებს და ნაკლულევანებებს და სათანადო სამოქმედო გეგმა გამოიმუშავოს მომავალში მუშაობისთვის.

მოხსენებებში ადგილებიდან უთუოდ აღნიშნული იქნება, თუ რა მონაწილეობას იღებდენ უჯრედები ფასების დაკლების კამპანიის ჩატარებაში, როგორ მიმდინარეობს ეს კამპანია და რა ნაკლი და მიღწევები აქვთ ამ დარგში. ჩვენ ვიცით, რომ პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ კამპანიის სათანადოთ ჩატარებას. მაგრამ არიან ისეთი კოოპერატიული და სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებანი, რომელნიც გვერდს უვლიან პარტიის დირექტივებს და ყოველ ღონეს ხმარობენ ხელი შეუშალონ ფასების დაკლების გატარებას. მომხსენებლებმა ადგილებიდან დაწვრილებით უნდა აღნიშნონ ამ კამპანიის მსვლელობა, რა ეღობებოდა წინ კამპანიის მსვლელობას და საერთოდ 1 ივნისისათვის რამდენი პროცენტითაა დაკლებული ფასები. ეს საშუალებას მისცემს პარტიას სწორად გაეცნოს არსებულ მდგომარეობას ფასების დაკლების საქმეში და სათანადო ზომები მიიღოს ამა თუ იმ ნაკლის გამოსასწორებლად.

კიდევ ბევრი სხვა საჭიროროტო საკითხები გაირჩევა თათბირზე. საბჭოთა უჯრედების მდივნების თათბირი ხელს შეუწყობს საბჭოთა უჯრედების მუშაობის გაჯანსაღებას, ბიუროკრატიზმთან ბრძოლას საბჭოთა აპარატში, აპარატის გამარტივებას და ფასების დაკლების კამპანიის გაცხოველებას.

ა.

მუშაობა გაცხოველდა

(თიანეთი, თბილისის მაზრა)

ამჟამად თიანეთი აერთიანებს სამ თემს. თემკომი ოთხ უჯრედს ხელმძღვანელობს. პარტმუშაობა აქ თითქოს კარგ დონეზე უნდა ყოფილიყო დაყენებული, მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე როდია. ყოველ შემთხვევაში დღემდის პარტმუშაობა ძლიერ მოიკოჭლებდა.

პარტმუშაობის სისუსტის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ თემკომს არ ჰყავდა შესაფერისი ხელმძღვანელი. თემის ყოფილი მდივანი, გასული წლის სექტემბრიდან ერთსა და იმავე დროს თემკომის მდივნის მოვალეობასაც ასრულებდა და თბილისის მაზრის ერთ-ერთ თემ-აღმასკომის თავმჯდომარისაც, ის დაცილებული იყო ერთ სამსახურის ადგილიდან ცხრა ვერსით. ცხადია, მას გულითაც, რომ სდომებოდა მუშაობა ასეთ პირობებში, ვერაფერს გახდებოდა.

აპრილიდან თიანეთში პარტმუშაობას სათავეში ჩაუდგა ძველი მუშაკი ამხ. გოგია, რომლის დაუღალავი ენერგიით მუშაობამ შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო. ორგანიზაცია გაიწმინდა უცხო ელემენტებისაგან. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო პარტორგანიზაციის ავტორიტეტის განმტკიცებას უპარტიოთა შორის. გაუმჯობესდა აგრეთვე საბჭოს და მისი სექციების მუშაობაც, რადგან მასზე გაძლიერდა პარტიული ხელმძღვანელობა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში კიდევ უფრო გაუმჯობესდება პარტმუშაობა ჩვენს თემში.

მ—ლი.

სამზადისი ბიუროების გადარჩევისათვის

(ზუგდიდი)

კომუჯრედების ბიუროების გადარჩევის კამპანიას სამაზრკომი უკვე შეუდგა. ყველა რაიონებში მოწვეულ იქნა კომუჯრედების მდივნების თათბირი, სადაც გაკეთებული იქნა საინსტრუქციო მოხსენებები.

რაიონულ თათბირებზე საჭიროდ იქნა ცნობილი თემის პარტაქტივის კრების მოწვევა, სადაც უნდა გაშუქდეს მოსამზად. მუშაობის მნიშვნელობა. აქტივმა უნდა გამოიმუშაოს აგრეთვე არჩევნების დღისთვის დღის წესრიგი, შეიმუშაოს არჩ. ჩატარ. გეგმა და გამოყოს კომისია, რომელსაც დაევალება უჯრედის მუშაობის გამორკვევა.

კომისია საარჩევნო კრებაზე გამოვა თანამოხსენებით უჯრედის მუშაობის შესახებ.

მოსამზადებელი მუშაობა და თვით არჩევნებიც მაზრაში უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 15 ივნისისა.

ი. ლ—ვა.

სასამართლოს რეორგანიზაციის საკითხი ჩვენში *)

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიურ პირობებში საბჭოთა სასამართლოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური როლის თანდათანობით ზრდა, ჩვენი სოფლის კულტურულ და ეკონომიურ ძალების განვითარება,—ჩვენი ქვეყნის სასამართლო ორგანიზაციების წინაშე ამოცანად აყენებს მის შეფარდებას მშრომელთა ფართო მასების ყოველდღიურ მოთხოვნილებებთან.

რევოლიუციონური კანონიერების გატარება, განხორციელება ლოზუნგის—„პირი სოფლისაკენ“, საბჭოთა აპარატში (განსაკუთრებით სასამართლოში) ბიუროკრატიულ ტენდენციების აღმოფხვრის აუცილებლობა; აპარატის გამარტივება; გაიაფება და მასებთან დაახლოვება,—როგორც ჩვენი პარტიის და ხელისუფლების მთელი რიგი პოლიტიკური ამოცანები, აუცილებელს ხდიან ჩვენი სასამართლო ორგანიზაციის სისტემის გარდაქმნას,—მისი გამარტივებისა და მასებთან დაახლოვების მიზნით. ამიტომ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატმა შეადგინა სასამართლო სისტემის რეორგანიზაციის ახალი პროექტი, რომლის შინაარსი შემდეგს შეიცავს:

საბჭოთა სასამართლო, როგორც მშრომელთა ხელისუფლების და პროლეტარიატის დიქტატურის ორგანო, უმთავრესად უნდა ახასიათებდეს სიმარტივე, ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მშრომელთა ფართო მასებისათვის. სასამართლოს სისტემამ, რომელიც მუშაობს მშრომელთა მასების დახმარებით (სახალხო მსაჯულები) და თავის მუშაობაში ატარებს საბჭოთა მთავრობის კანონებს, ამავე დროს უნდა ჰქონდეს ერთიანი ხელმძღვანელი და კანონების სწორად გამოყენების მეთვალყურე ცენტრი, რომელიც ჰქმნის ერთიან პრაქტიკას და იცავს მტკიცე კლასიურ ხაზს. ასეთი ცენტრი უნდა იყოს ერთიანი უზენაესი სასამართლო. სასამართლოს ძირითად უჯრედსა (სახალხო სასამართლო) და უზენაეს სასამართლოს შორის არ უნდა იყოს კედელი: საქმე, რომელსაც განიხილავს სახალხო სასამართლო, გასაჩივრების შემთხვევაში, უშუალოდ უნდა გადაეცეს უზენაეს სასამართლოს. მაგრამ ზოგიერთ სასამართლოს სიშორე ერთიან ცენტრიდან ჰქმნის დიდ სიძნელეს, თითქმის შეუძლებელს ხდის ერთნაირ ხელმძღვანელობას სახალხო სასამართლოსადმი, რაც განსაკუთრებით საგრძნობია რ. ს. ფ. ს. რ-ში; სადაც ადგილობრივი თავისებური პირობების გამო უზენაეს სასამართლოსა და სახალხო სასამართლოს შორის სდგას საოლქო და საგუბერნიო სასამართლო.

საქართველოში რ. ს. ფ. ს. რ.-ის სასამართლო სისტემა სავსებით იქნა გადმოღებული, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ყოფილი ორი არა სრული გუბერნიის ტერიტორიაზე შეიქმნა საკუთარი უზენაესი სასამართლო, ორი საოლქო სასამართლო, რუსეთის საგუბერნიო სასამართლოების მსგავსად, და, ბოლოს, სახალხო სასამართლოების მთელი ქსელი. ჩვენი სინამდვილის პირობები სულ სხვა ნაირია: ტერიტორიის სიმცირის გამო ჩვენ არ გვიძნელდება სასამართლო დაწესებულებათა სისტემის ხელმძღვანელობა ერთიანი ცენტრიდან, საჭირო არ არის კანონების ერთნაირად გაგების და განმარტების აუცილებლობის ამოცანა,—ერთნაირი პრაქტიკის და ერთიანი კლასიური ხაზის გატარების ამოცანა გავყოთ ორ საკასაციო სასამართლოს შორის და უკანასკნელთა საშუალებით, მხოლოდ მეთვალყურეობის წესით, დაუმორჩილოთ სახალხო სასამართლო უზენაეს სასამართლოს. შემდეგ, სახალხო სასამართლოს მასებთან დაახლოვების ძირითად ტენდენციასთან დაკავშირებით, გაფართოვებულია სახალხო სასამართლოების ქვემდებარეობა და კიდევ სწარმოებს მუშაობა სახალხო სასამართლოების უფლებების გასაფართოვებლად საოლქო სასამართლოების, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოების, ხარჯზე. ამნაირად, საოლქო სასამართლოებს ჩვენ ვაქცევთ საკასაციო ცენტრებად, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოებს, შეკვეცილი ექნებათ უფლებები. აქ ბუნებრივად იჭრება საკითხი საქართველოს ფარგლებში, ორი საკასაციო ცენტრის არსებობის მიზანშეწონილობისა, ცენტრების, რომლებიც უსპობენ სახალხო სასამართლოებს უზენაეს სასამართლოსთან უშუალო და ცოცხალი კავშირის დაჭერის საშუალებას. საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ დღევანდელ სინამდვილეში ხშირ მოვლენას წარმოადგენს უზენაეს სასამართლოს მიერ საქმეების განხილვა ზედამხედველობის წესით, რასაც მისდევს საქმეების განხილვის გაჭიანურება და იქმნება ისეთი რწმენა, რომ თითქოს არსებობს კიდევ ერთი შესაკასაციო ინსტანცია, რომ სასამართლოს აქვს სამი ინსტანცია. არის შემთხვევები, როდესაც მხარეები საკასაციო ინსტანციას აძლევენ საჩივარს უკანასკნელის გამოსარკვევად და ამასთან ერთად თხოულობენ, რომ ეს საჩივარი გადაეცეს უზენაეს სასამართლოს ზედამხედველობის წესით. უზენაეს სასამართლოს დაახლოვება სახალხო სასამართლოებთან აღმოფხვრის ამ უარყოფით მოვლენას და ამით გაუქმდება უსარგებლო და საქმის გამაჭიანურებელი მუშაობა. ამიტომ, საქართველოს სასამართლო დაწესებულებათა სისტემის სერიოზული გაჯანსაღების აუცილებლობის გამო, საჭიროა სასამართლო დაწესებულებათა სტრუქტურების ზედმიწევნითი გადათვალიერება, მით უმეტეს, რომ ეს ნაკარნახევია პოლიტიკური მოსაზრებებითაც, რადგან ერთ-ერთ ჩვენს პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს ლოზუნგი: „პირი სოფლისაკენ“—განხორციელება, სასამართლოს მიახლოვება მოსახლეობის ფართე მასებთან, რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცება, საბჭოთა უფლებრივი შეგნების პოპულიარიზაცია და ჩანერგვა მოსახლეობის ფართე ფენებში.

აი, საბჭოთა სასამართლოს ამ ძირითად საფუძვლებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს საოლქო სასამართლო იმ სახით, როგორც ის ამჟამად არსებობს. საოლქო სასამართლო არ მოქმედობს მასთან ერთნაირ მასშტაბით მომუშავე აღმასკომის თანაბრად. საოლქო სასამართლო ჩამოშორებულია ფართე გლეხურ მასებს და ამ უკანასკნელთათვის ის წარმოადგენს არა სწრაფ სასამართლოს. მართალია, საოლქო სასამართლოებს, მათი მდებარეობის ადგილებში—თბილისსა და ქუთაისში—აქვთ საშუალება თავის დროზე გაარჩიონ ამ ქალაქების ფარგლებში აღძრული საქმეები, მაგრამ ეს გარემოება ხდის მათ სწრაფ სასამართლოებად არა გლეხური მასებისათვის, არამედ ამ ქალაქებისთვის. გაუვალი გზების მიზეზით მაზრების თითქმის ნახევარი ჩამოშორებულია საოლქო სასამართლო ცენტრებს, ხოლო ეს გარემოება აფერხებს ხშირად სრულიად სპობს კიდეც სასამართლოსთან საქმის დაჭერის საშუალებას.

მაგალითისათვის გავყვეთ მაზრაში აღძრულ სისხლის სამართლის საქმის მოძრაობას და აგრეთვე სამოქალაქო საქმის მსვლელობას საოლქო სასამართლოში. აღძრული სისხლის სამართლის საქმე გამოძიების მოსახდენად გადადის ადგილობრივი სახალხო გამომძიებლის ხელში, რომელიც მუშაობს პროკურორის ზედამხედველობის ქვეშ. სწარმოებს გამოძიება, რომელიც, როგორც ვიცით; თვეობით გრძელდება. თუ საქმე რთულია, მაშინ ის ეძლევა საოლქო სასამართლოს უფროს გამომძიებელს; ცხადია, რომ ასეთი საქმე მოითხოვს გამგზავრებას ადგილობრივ, რითაც კიდევ უფრო გვიანდება გამოძიება. გამოძიების შემდეგ, საქმე სამაზრო გამომძიებლის ხელიდან გადადის სამაზრო პროკურორის ხელში, ამ უკანასკნელისაგან საოლქო სასამართლოს პროკურორის ხელში; რომელიც შემდეგ საქმეს გზავნის საოლქო სასამართლოში. საქმის გადაგზავნის ეს პროცედურა აჭიანურებს ისედაც გაჭიანურებულ საქმეს. თუ საქმე იმყოფებოდა უფროსი გამომძიებლის ხელში, მაშინ, გამოძიების დასრულების შემდეგ, საქმე ეგზავნება ოლქის პროკურორს, ხოლო უკანასკნელი უგზავნის მას საოლქო სასამართლოს. თუ მაზრაში აღძრული საქმე მიღებულია წარმოებისათვის საოლქო სასამართლოს მიერ, და ამ საქმეზე რომ კიდეც ვინმე იყოს დაპატიმრებული, მაინც არ სწარმოებს საქმის დაუყოვნებლივი გარჩევა, არამედ ის ჯერ ინახება უჯრაში, და როდესაც დაგროვდება მაზრაში აღძრული 20-25 ან მეტი საქმე, მხოლოდ ამის შემდეგ იწყება მზადება გამსვლელი სესიისათვის. არის შემთხვევები, როდესაც სესიის მოლოდინში, თვეობით არიან უმოძრაოდ დაპატიმრებულთა საქმეები.

როდესაც საქმე სასამართლოს ხელში გადადის, ამ საქმესთან ერთად; მისივე ხელში გადადიან აგრეთვე პატიმარნიც, რის გამო არც გამომძიებელს და არც პროკურორს არა აქვთ უფლება დართონ ნათესავებს პატიმრის ნახვის ნებართვა და ყოფილა შემთხვევები, როდესაც გლეხები ნახვის ნებართვის მისაღებად შორეულ მაზრებიდან ჩამოსულან თბილისში, ან ქუთაისში. საჭიროა იმის გათვალისწინება, თუ მგზავრობის დღევანდელ პირობებში რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული გლეხების ჩამოსვლა ახალციხის, ახალქალაქის, რაჭის ან ლეჩხუმის მაზრებიდან და 2-3 დღით დარჩენა თბილისში ან ქუთაისში.

არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ისიც, რომ როგორც პრაქტიკიდან დავინახეთ, სესიისათვის დანიშნულ საქმეების საშუალოდ 25 პროცენტი გადაიდება ხოლმე სხვადასხვა მიზეზებით; გადადებული საქმეები უბრუნდება სასამართლოს და იქ დევს ახალ მორიგ სესიამდე, რომელსაც ელის პატიმარი. სესიისათვის დანიშნულ საქმეების უმეტესობა ძველდება, ჰკარგავს სიმწვავეს და, მასთან ერთად, თავის მნიშვნელობას. საჩვენებელი საქმეები, რომლებითაც დაინტერესებულია საზოგადოებრივი აზრი და რომლის გარჩევასაც ბოროტმოქმედების ადგილზე აქვს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, ირჩევა; უმთავრესად, სამაზრო ცენტრში, სადაც არ შეუძლიათ ჩასვლა მშრომელი გლეხობის ფართე ფენებს, საკუთარი თვალით ვერ ხედავენ თავის სასამართლოს და ვეღარ გებულობენ მის მნიშვნელობას. საქმეების განხილვა სესიაში განსაზღვრულია გარკვეული ვადით და ამიტომ ის უფარდდება ამ ვადას, რაც თავის მხრივ ცუდ გავლენას ახდენს სესიის მუშაობაზე. თვითეული სესიის გამართვა საშუალოდ ჯდება 500-600 მანეთი, ე. ი. ერთი საქმის გარჩევა ჯდება. 20-25 მანეთი, ხოლო თუ ამას კიდევ მოუმატებთ პატიმრის შენახვას მისი დაპატიმრების დღიდან სესიის დანიშვნამდე, აღმოჩნდება, რომ სახელმწიფოს საკმაოდ ძვირად უჯდება თვითეული საქმის განხილვა. უსახსრობის გამო იუსტიციის სახალხო კომისარიატს არა აქვს საშუალება, რომ ყოველ მაზრაში ყოველთვე მართოს სესიები, სახსრებიც, რომ იყოს მაინც საჭირო იქნებოდა დალოდება, რომ დაგროვდეს საქმეების სათანადო რაოდენობა, ხოლო ეს კი გამოიწვევდა პატიმრის ზედმეტ ჯდომას საპატიმრო ადგილებში. თანაც შეუძლებელია სესიების გაუქმება და მაზრაში აღძრული საქმეების გარჩევა თბილისსა და ქუთაისში, რადგან მაშინ საჭირო იქნებოდა მაზრებიდან ასობით გლეხის გამოძახება. ამიტომ იმის თქმა, რომ სესიების გამართვით შეიძლება გლეხობის მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილება, მხოლოდ თავის მოტყუილება იქნება.

საოლქო სასამართლოების მიერ სამოქალაქო საქმეთა გარჩევის დროს ხშირია შემდეგი მოვლენა: მრავალი მოქალაქე, რომელსაც არ უნდა გამოცხადდეს საოლქო ცენტრში, თუ სარჩელი აღემატება 1000 მანეთს, თავის ინტერესების საზარალოდ ამცირებს სარჩელის ჯამს მხოლოდ იმისათვის, რომ ის დატოვოს სახალხო სასამართლოს ქვემდებარეობაში, რადგან მას არა აქვს შორეულ მაზრებიდან მოწმეების მოწვევის საშუალება.

იუსტიციის სახალხო კომისარიატმა გაითვალისწინა ზემოჩამოთვლილი სიძნელეები საოლქო სასამართლოების მუშაობაში და შეეცადა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლას იმით, რომ რ. ს. ფ. ს. რ.-ის მაგალითის მიხედვით, საოლქო სასამართლოს ქვემდებარე საქმეები გადაეცა სამაზრო რწმუნებულებისათვის (მაზრის სახალხო სასამართლოსათვის). მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენი სამაზრო რწმუნებულები იმდენად დატვირთული არიან თავისი საქმეებით, რომ საშუალება არა აქვთ გაუძღვენ საოლქო სასამართლოს ქვემდებარე რთულ და დიდ საქმეებს. მაშასადამე, საჭიროა სხვა გამოსავლის ნახვა, და მხოლოდ მაშინ დავაღწევთ თავს შექმნილ მდგომარეობას, თუ ჩვენს სასამართლო სისტემას შეუფარდებთ ჩვენი სინამდვილის მოთხოვნილებებს.

სახელდობრ:

საუბნო სახალხო სასამართლოები უცვლელად უნდა დარჩენ.

თვითეულ სამაზრო ცენტრში შექმნილ უნდა იქნას სამაზრო სახალხო სასამართლო, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები (გარდა უზენაეს სასამართლოს, როგორც პირველ ინსტანციის სასამართლოს, ქვემდებარე საქმეებისა) ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლო, რომლის სათავეშიც იქნება ერთი მოსამართლე, სათანადო მაზრის სახალხო მოსამართლედ წოდებული. რადგან ახალია ასეთი სასამართლოების შექმნის აზრი, ამიტომ საჭიროა დაწვრილებით შევჩერდეთ მის ორგანიზაციაზე.

სასამართლოს სათავეში უდგას სახალხო მოსამართლე, რომელიც გაარჩევს საქმეებს განსაკუთრებული სიით მოწვეულ ორი სახალხო მსაჯულის მონაწილეობით. სამაზრო სახალხო სასამართლოს ქვემდებარეობაში შედის საოლქო სასამართლოს ქვემდებარე ყველა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები; უზენაეს სასამართლოს, როგორც პირველ ინსტანციის სასამართლოს, ქვემდებარეობას უნდა მიეკუთვნოს ის საქმეები, რომლებიც აღძრული არიან სისხ. სამ. კოდექ. 58-73, 74-77 მუხლებით გათვალისწინებულ ბოროტმოქმედების გამო.

ამ გზით უზენაეს სასამართლოს კოლეგიას საშუალება ეძლევა გაარჩიოს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე საქმეები; მასვე უნდა დაექვემდებაროს სისხლის სამართ. კოდექსის 448 მუხ. გათვალისწინებული საქმეები; გარდა ამისა, უზენაეს სასამართლოს უნდა მიეცეს უფლება, რომ საკუთარი ინიციატივით გაარჩიოს ის, სამაზრო სახალხო სასამართლოების ქვემდებარე საქმეები, რომლებიც განსაკუთრებული ყურადღების ღირსი არიან. სამაზრო სახალხო სასამართლოს კანცელარია შესდგება მდივნის, საქმის მწარმოებლისა და დარაჯისაგან. კანცელარიის ბინად და სასამართლო სხდომების დარბაზად სამაზრო სახალხო სასამართლო გამოიყენებს სათანადო სამაზრო ცენტრის სახალხო სასამართლოს.

ქალაქ თბილისსა და თბილისის მაზრაში იქნება სახალხო მოსამართლის ექვსი, ხოლო ქუთაისში, როგორც გამონაკლისი ორი თანამდებობა.

სამაზრო სახალხო მოსამართლის ურთიერთ დამოკიდებულება იმავე მაზრის საუბნო სახალხო მოსამართლეებთან ისეთივე უნდა იყოს, როგორც ურთიერთ დამოკიდებულება, გათვალისწინებული სასამართლო წყობის შესახებ დებულების 79, 80 და 81 მოქმედი მუხლებით, ე. ი. სამაზრო სახალხო მოსამართლეს ენიჭება ეხლანდელი რწმუნებულის უფლებები. სამაზრო სახალხო მოსამართლეს არ ეკისრება საუბნო სახალხო სასამართლოების საქმეებზე სასამართლო ზედამხედველობის ფუნქციები. ასეთი ზედამხედველობა მხოლოდ უზენაეს სასამართლოს ეკუთვნის.

იმ შემთხვევაში, როდესაც არ იქნება სამაზრო სახალხო მოსამართლე, მისი მაგიერობა უნდა გასწიოს სათანადო სამაზრო ქალაქის ან და მეზობელი მაზრის სახალხო მოსამართლემ.

ახალ სამაზრო სასამართლოს უნდა დაეკისროს თვალყურის დევნება მაზრის ფარგლებში დამცველთა კოლეგიასა და საკონსულტაციო ბიუროზე; უნდა გარდაიქმნას დამცველთა კოლეგია—ის უნდა ითვლებოდეს უზენაეს სასამართლოსთან არსებულად, განყოფილებებით თვითეულ მაზრაში.

განსახილველად საქმეების მიღების წესი ასეთი უნდა იყოს: საქმე, რომელზედაც დასრულებული იქნება წინასწარი ძიება, სამაზრო პროკურორის დასკვნით, იგზავნება სამაზრო სასამართლოში და გაირჩევა განმკარგულებელ სხდომაზე, რომელსაც, მოსამართლისა და მდივნის გარდა; დაესწრება კიდევ სპეციალური სიით მოწვეული ორი სახალხო მსაჯული და სამაზრო პროკურორი. სამაზრო სახალხო სასამართლოს განმკარგულებელი სხდომა სარგებლობს საოლქო სასამართლოს კოლეგიის განმკარგულებელი სხდომის ყველა უფლებებით. თუ განმკარგულებელ სხდომაზე დადგენილ იქნება, რომ საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაშვებულ იქნას ბრალმდებელნი და დამცველნი, მაშინ მათი მონაწილეობა შეიძლება გამოყენებულ იქნას მეტად ფართოდ, იმის გამო, რომ საბრალმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელი იმყოფება სასამართლოს ადგილმყოფელობის ადგილზე, და იმის გამო, რომ უშუალო კავშირი არსებობს ახალ სასამართლოსა და დამცველთა ადგილობრივ კოლეგიას შორის.

სამაზრო სასამართლოს და საუბნო სახალხო მოსამართლეების მიერ განხილული საქმეები უზენაეს სასამართლოში უნდა იქნას გასაჩივრებული საკასაციო წესით, ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ სამაზრო სახალხო მოსამართლის განაჩენი გაუქმებულ იქნა, საქმე ხელახლა უნდა იქნას განხილული ახალი შემადგენლობით, სამაზრო მოსამართლის მოადგილის და ორი მსაჯულის ან მეზობელი სამაზრო მოსამართლის მონაწილეობით.

სამაზრო სახალხო მოსამართლე ანგარიშს უნდა უდგენდეს სამაზრო აღმასკომს, როგორც თავის მუშაობაში, ისე მაზრის ტერიტორიაზე მომქმედი საუბნო სახალხო მოსამართლეების მუშაობაზე; ამიტომ, საუბნო სახალხო მოსამართლენი ვალდებული არიან სამაზრო მოსამართლეს, მისი მოთხოვნილებით, წარუდგინონ წერილობითი ანგარიშები. ამგვარად, სამაზრო სახალხო მოსამართლე დაკავშირებული იქნება ადგილობრივი ხელისუფლებასთან, ე. ი. შეიძენს ყველა იმ თვისებებს, რომელნიც აუცილებელია სასამართლოს განმტკიცებისათვის და მის დასაყენებლად სათანადო სიმაღლეზე, რაიც სწორედ აკლია საოლქო სასამართლოებს.

სამაზრო აღმასკომმა სამაზრო მოსამართლის საშუალებით კავშირი უნდა დაიჭიროს მაზრის სახალხო მოსამართლეებთან, და მათი საშუალებით უნდა გადასცეს ფული კანცელარიის მოსაწყობად, სესიების გასამართავად და სხვ. ამგვარად, ჩვენ ადგილებზე მივიღებთ საუბნო სახალხო სასამართლოს და სამაზრო სახალხო სასამართლოს, რომელნიც უყოველგვარ საშუამავლო ინსტანციების გარეშე მტკიცედ დაუკავშირდებიან ადგილობრივ, ხელისუფლებას და იქნებიან მთლიანი საკასაციო სასამართლოს, —უზენაეს სასამართლოს ზედამხედველობის ქვეშ.

თუ ეს ცვლილებანი განხორციელდა, მაშინ ბუნებრივია, უნდა გაუქმდეს საოლქო პროკურატურაც, რომელიც გადავა იუსტიციის სახალხო კომისარიატთან არსებულ პროკურატურის განყოფილებაში და რომელსაც უშუალო კავშირი ექნება სამაზრო პროკურატურასთან. უნდა გაუქმდეს აგრეთვე საოლქო სასამართლოს საგამომძიებლო ნაწილიც. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს ინსტიტუტი, როგორც ტრიბუნალის გამომძიებელთა მემკვიდრეობა, მშვიდობიან აღმშენებლობაზე გადასვლისთანავე, კანონიერების განმტკიცებისთანავე უკვე დრომოჭმული ხდება და საკითხი მისი გაუქმების შესახებ უკვე არა ერთხელ დასმულა გამომძიებელთა ნაწილი გამოყენებულ იქნება იუსტიციის სახალხო კომისარიატთან, დანარჩენები კი გადაყვანილ უნდა იქნან პროვინციაში სახალხო გამომძიებელთა კადრის გასაძლიერებლად.

უზენაესი სასამართლო შემდეგი შემადგენლობით უნდა შეიქმნას: თავმჯდომარე, ორი მისი მოადგილე — ერთი მათგანი სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე, საკასაციო კოლეგიის ორი თავმჯდომარე, სისხლის სამართლის სასამართლოს კოლეგიის ერთი წევრი, სამოქალაქო სამართლის კოლეგიის ერთი წევრი, სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიის 8 წევრი, სამოქალაქო - საკასაციო კოლეგიის 8 წევრი,—სულ 23 კაცი.

უზენაეს სასამართლოს ექნება გამსვლელი სესიები ქალ. ქუთაისში 6 წევრის და ერთი თავმჯდომარის შემადგენლობით — რწმუნებულის უფლებებით; მუდმივ სესიასთან იქნება უზენაეს სასამართლოს პროკურორის თანაშემწე.

ფინანსიური მხრივ ეს რეფორმა სავსებით მოთავსდება იმ კრედიტის ფარგლებში, რომელიც მიმდინარე საბიუჯეტო წელში არის გადადებული საოლქო სასამართლოს და უზენაეს სასამართლოს შესანახად.

ამგვარად, რეფორმის ჩატარებით ჩვენ გვექნება შემდეგი ძირითადი მიღწევანი:

სასამართლოს დაახლოვება მოსახლეობისათვის და გლეხთა მასების განთავისუფლება მძიმე მოვალეობისაგან, რომლის მიხედვითაც ისინი თავის სამოსამართლო საქმეებისათვის უნდა გამოცხადდნენ ცენტრში.

საქმეების განხილვის სისწრაფე და საქმეების განხილვის მომენტის მიახლოვება მისი წარმოშობის პირობებთან.

სამართლის წარმოების გამარტივება და ბიუროკრატიული ტენდენციების განდევნა. აქედან —ძალთა და საშუალებათა მომჭირნეობა.

მთლიანი ხელმძღვანელი საკასაციო ცენტრის შექმნა უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიის სახით.

მაზრების გაძლიერება კულტურული მუშაკების კადრით (მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი და დამცველი). აქედან — მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენის საქმის გაუმჯობესება.

ადმინისტრატიული ცენტრების შექმნა სამაზრო სასამართლოების სახით, რომელნიც მაზრის მასშტაბით გაატარებენ ყველა სასამართლო ორგანოების ადმინისტრატიულ - სამეურნეო მმართველობას.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ავტორიტეტის ამაღლება — სასამართლოს დაახლოვებით ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი მოუწოდებს სასამართლოს ყველა მუშაკებს და ამხანაგებს, რომელნიც საბჭოთა, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობენ, პრესაში გამოსთქვან თავისი აზრი ამ პროექტის შესახებ.

ი. ვარძიელი.

---

*) საკითხის განხილვის წესით.

რედ.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მუშათა საბინაო მშენებლობა

ტყიბული, 31 მაისი. ტყიბულის მაღაროებში სწარმოებს ენერგიული მუშათა საბინაო მშენებლობა. უკვე აშენებულია ორი სახლი, ხოლო ხუთი სახლის აშენება დასრულდება მიმდინარე წლის სამშენებლო სეზონის მიწურულში.

მეფუტკრეთა გამოშვება

გორი, 31 მაისი. 30 მაისს მოხდა მეფუტკრეობის ორკვირეული კურსების მსმენელთა გამოშვება. კურსები დაასრულა 25 გლეხმა. კურსების წარმატებით დამსრულებელ კურსანტებს დაურიგდათ სკები (ადს).

სეტყვა წინანდალის რაიონში

თელავი, 30 მაისი. წინანდალის რაიონის სოფ. კონდოლში სეტყვამ 30 პროც.-ით გააფუჭა ვენახები (ადს).

თელავი, 30 მაისი. ალაზნის ვადიდმა რაიონში ნიაღვრებმა გააფუჭეს საზამთროს და ნესვის ნათესები 150 დესეტ. სივრცეზე.

გლეხური ახალგაზრდობის სკოლები

გორი, 30 მაისი. მომავალ სამოსწავლო წლისათვის სოფ. წითელქალაქისა და ქარელის 7 წლედები გადაკეთებული იქნება გლეხური ახალგაზრდობის სკოლებად (ადს).

სამხრეთ ოსეთში

ზეთსახდელი ქარხანა

ცხინვალი, 30 მაისი. შედგენილია სპეციალური კომისია, რომელიც გამოარკვევს ზეთსახდელ ქარხნის ასაშენებელ ადგილს და მასშტაბს (ადს).

ადგილობრივი ბიუჯეტი

ცხინვალი, 30 მაისი. სამხრეთ-ოსეთის 1926—27 წლის ბიუჯეტი გამოიხატა შემდეგ ციფრებში: საოლქო ბიუჯეტი — 299.468 მან., სათემო — 40.650 მან. და საქალაქო — 31.024 მან. (ადს).

წერილები

სხვებმაც უნდა მიბაძონ

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ამხ. ა. კანდელაკის წერილი, რომელშიაც ის მოგვითხრობს, რომ სამტრედიაში ჩამოყალიბებულია მშრომელი ინტელიგენციის აქტივის წრე. ამ წრეს მიზნად დაუსახავს გააცხოველოს ხალხში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა—იკითხოს ლექციები, მოაწყოს გასამართლება, დისპუტი სხვადასხვა თემებზე და სხვ. წრე უკვე შედგომია საქმეს.

სამტრედიის ინტელიგენციის აქტივის ნაბიჯს უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ქვეყანა მდიდარია ინტელიგენტური ძალებით. არამც თუ ქალაქში, სოფლადაც ბევრია ინტელიგენტები. იშვიათად შეხვდებით ისეთ თემს, რომ რამდენიმე მასწავლებელი, ექიმი, აგრონომი არ იყვეს. ბევრი ამ ინტელიგენტებიდან უკვე დიდია ხანია აქტიურად მუშაობენ საბჭოთა საზოგადოებრივ ასპარეზზე: მონაწილეობენ საბჭოს მუშაობაში, კოოპერაციაში და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. განსაკუთრებით მეტ აქტივობას იჩენენ კულტურულ განმანათლებელ დარგში. რამდენად უფრო მტკიცდება ჩვენი შინაური და გარეშე მდგომარეობა, ჩვენი აღმშენებლობა სულ ახალ პოზიციებს იპყრობს, მშრომელი ინტელიგენცია რწმუნდება, რომ ჩვენ, ბოლშევიკებს, დანგრევაც გვეხერხება, მაგრამ ახალის აშენების უნარიც გვაქვს—მით უფრო გვიახლოვდება ინტელიგენცია და ისინი აქტიურად ებმებიან მშრომელთა სახელმწიფოს შენებაში. სამტრედიის მშრომელი ინტელიგენციის და სხვა ათასი ასეთი მაგალითები ამის უტყუარი დამამტკიცებელია.

მაგრამ არიან სოფლად ინტელიგენტები, რომლებიც არავითარ აქტიობას არ იჩენენ, საზოგადო საქმეებში არ იღებენ მონაწილეობას; მათ იციან მხოლოდ თავისი მოვალეობა და ამას იქით არაფერს არ დაეძებენ. დღეს რასაკვირველია, ასეთი ინტელიგენტები მცირე რიცხვს შეადგენენ, მაგრამ საჭიროა, რომ ეს ძალებიც სხვებთან ერთად ჩაბმული იქნან მუშაობაში. სოფლის კომუჯრედებმა და კომკავშირმა ამ მხრით მეტი სიფხიზლე უნდა გამოიჩინონ. სწორი მიდგომით, როგორც ამას გვიკარნახებს პარტია, ყველა ინტელიგენტები უნდა ჩავაბათ საზოგადო საქმეებში, როგორიცაა კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, საბჭო, კოოპერატივი და სხვ. უნდა განვამტკიცოთ მათზე ჩვენი გავლენა. მშრომელი ხალხის წრიდან გამოსული მშრომელი ინტელიგენცია აქტიურად უნდა ავამუშაოთ მშრომელი სახელმწიფოს საკეთილდღეოთ. ყოყოჩობას და მედიდურობას ადგილი არ უნდა ექნეს.

სწორი მიდგომით ჩვენ შევძლებთ მთელი ინტელიგენტური ძალების ამუშავებას. სამტრედიის ინტელიგენციის აქტივს ყველა ინტელიგენტებმა უნდ მიბაძონ.

ი.

წერილებიდან

— **ცუდი პური ცხვება.** (ს. უშაფათი, სენაკის მაზრა). აქ არის გლეხკომის ფურნე, რომელშიც ძლიერ ცუდი პური ცხვება. სოფელი 20 ვერსით არის დაშორებული ქალაქს და ამიტომ მცხოვრებლები იძულებული არიან იყიდონ გამოუმცხვარი პური. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამას, თუარა ავადმყოფობა გაჩნდება.

კარშია.

— **სუსტი კოოპერატივი.** (თიანეთი, თბილისის მაზრა). თიანეთის კოოპერატივი ერთობ სუსტად მუშაობს. აქ არ იშოვება გლეხობისათვის საჭირო საგნები. თიანეთი ძლიერ დაშორებულია ქალაქს და ამიტომ ნაყიდ საქონელს გვიან ღებულობს კოოპერატივი. გარდა ამისა, კოოპერატივის გამგეს ორი სხვა თანამდებობა უჭირავს. და ამიტომ ვერ იცლის კოოპერატივის მეტი ყურადღება მიაქციოს. კოოპერატივი უნდა გაჯანსაღდეს, ადგილობრივ ორგანიზაციებმა მას მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ.

ეკალი.

— **ყურადღება მოჯამაგირეებს.** (ს. კარდანახი, სიღ. მაზ.). ჩვენ სოფელში ბევრი მდიდარი გლეხი სარგებლობს მოჯამაგირით. მოჯამაგირეების მდგომარეობა უმწეოა. დღისით ყანებში მუშაობენ და ღამით კი ტყეში მიდიან. ამ საქმეს მოწესრიგება უნდა.

მათ.

— **ჩვენც ვიცით დაფასება.** (ზემო-სვანეთი, (ბეჩო). სვანეთი ძლიერ ჩამორჩენილია. ასეთ კუთხეში ყოველი მოსამსახურე პირი ზნეობრივად მაღლა უნდა იდგეს და კარგ მაგალითს უჩვენებდეს გლეხობას. ასეთ პიროვნებად ითვლება მასწავლებელი ამხ. კ. ქანიშვილი, რომელიც ზედმიწევნით მუყაითად ასრულებს თავის მოვალეობას. მას გლეხობაში კარგი ავტორიტეტი აქვს და პატივის ცემით ეპყრობიან. ის მუშაობს ბეჩოს ახალგაზრდა გლეხებში, აწყობს საუბრებს, მოხსენებებს და სხვ. სხვებმაც უნდა მიბაძონ ამხ. ქანიშვილს.

ადგილობრივი.

სოფლის ქრონიკა

— **მალარიის სამკურნალო წყარო.** ოზურგეთის სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებამ გადაწყვიტა მოაწყოს აკეთის თემში არსებული სამკურნალო წყარო—აბანო, რომელიც ძლიერ უხდება მალარიით დაავადებულებს.

— **სატყეო კულტურა.** თელავში მოეწყო ტყის სანერგე, მაზრაში სატყეო კულტურის გავრცელების მიზნით.

— **სამაგალითო სკოლა.** სვირის (შორაპნის მაზრა) შვიდწლედმა მოწაფეების საშუალებით გააშენა ვენახი, ხეხილის და კულტურულ მცენარეთა ბაღები.

— **გზის შეკეთება.** აკანის თემაღმასკომმა (ოზურგეთის მაზრა) გადაწყვიტა შეაკეთოს თემის დიდი შარა-გზა.

— **პირველ საექიმო დახმარების** საქმის შესასწავლად წითელი ჯვარი გორში აწყობს მოკლევადიან კურსებს მუშა-მოსამსახურეებისათვის.

— **ახალციხეში** დაიხურა კოხ-სამკითხველოს გამგეთა გადასამზადებელი კურსები, რომელიც დაასრულა ათ კაცმა.

— **გლეხთა სახლი.** ჩაქვში გაიხსნა გლეხთა სახლი ღამის გასათევ ოთახებით და სხვა მოწყობილობით.

— **ტყის გაშენება.** მანგლისში 20 დესეტინაზე გაშენებული იქნა ნაძვნარი.

— **ბაკურიანში** მოეწყო საექიმო პუნქტი. პუნქტს ყავს ერთი ექიმი და ერთი ფერშალი.

— **ხიდი.** სოფ. ხაცუბანში (აჭარა) მდ. კანტრიშზე აგებული იქნა ქვის ხიდი.

ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მეორე პლენუმი

პირველი დღე

30 მაისს დილის 10 საათზე განათლების კომისარიატში გაიხსნა ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მე-2 პლენუმი. პლენუმს დაესწრნენ ავტონომიურ რესპუბლიკების, პროფ. და პარტორგანიზაციების და საქართველოში მოსახლე სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენელნი სულ 37 კაცი. პლენუმს თავმჯდომარეობდა ამხ. **მარია ორახელაშვილი**. პლენუმის პირველ დღის სხდომას დაესწრო ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე.

ამხ. მარია ორახელაშვილის მისალმება

პლენუმის გახსნისას ამხ. მ. ორახელაშვილი მიესალმა რა დამსწრეთ, აღნიშნა პლენუმის შეკრების მიზანი და ამოცანები და ამავე დროს აღნიშნა, თუ რა გააკეთა ეროვნულ უმცირესობათა განყოფილებამ განათლების კომისარიატის უშუალო დახმარებით პირველი პლენუმის (რომელიც შარშან შესდგა) აქეთ და რა უნდა გააკეთოს. შემდეგ სიტყვა ეძლევა განათლების კომისარიატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა განყოფილების გამგეს ამხ. **ნინა მახარაძეს.**

განათლების კომისარიატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა განყოფილების მუშაობა

(ამხ. ნინა მახარაძის მოხსენება)

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა განყოფილების მუშაობაზე ერთი წლის განმავლობაში და აღნიშნა, როგორც მისი მიღწევები, ისე ნაკლი. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მცირე ეროვნებათა შორის გათვალისწინებულ მუშაობის გეგმის შესრულებას აძნელებდა სხვათა შორის ზოგიერთ მცირე ეროვნებათა ენებზე სათანადო შრიფტისა და ანბანის უქონლობა. მიუხედავათ დიდი დაბრკოლებისა, ამ მხრივაც გვაქვს მიღწევები. მაგალითად ეზიდების ენაზე შედგენილი იქნა ანბანის წიგნი. საერთოდ ეს მდგომარეობა აბრკოლებს მუშაობას. ამის გამო განყოფილების ინიციატივით, იმ მცირე ეროვნებათათვის, რომლებსაც ჯერ-ჯერობით არ მოეპოვებათ მშობლიურ ენაზე შრიფტი და სახელმძღვანელოები, მათთვის დაარსებულ სკოლების პირველ ორ ჯგუფში და ზოგან მესამე ჯგუფშიაც, მეცადინეობა სწარმოებს მშობლიურ ენაზე, ხოლო შემდეგ ჯგუფებში მოწაფეებს (მშობლების სურვილისამებრ) ასწავლიან რუსულსა ან ქართულ ენაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თურქთა შორის მუშაობას, ვინაიდან ისინი ჩამორჩენილი არიან კულტურულად, ხოლო დანარჩენ ეროვნებებს, როგორც არიან სომხები, რუსები, გერმანელები, პოლონელები, ბერძნები და სხვ. როგორც უფრო კულტურულად დაწინაურებულებს, შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა. შემდეგ მომხსენებელმა დახატა მცირე ეროვნებათა შორის მომავალი მუშაობის საერთო სურათი და ხაზი გაუსვა, რომ განყოფილება ეცდება მომავალში მცირე ეროვნებათა შორის კულტურულ მუშაობის საქმეს სათავეში ჩაუყენოს მათივე წრიდან გამოსული პირები. მომხსენებელი აგრეთვე შეჩერდა ამჟამად არსებულ მცირე ეროვნებათა სკოლების მდგომარეობაზე და მომავალში ამ სკოლების ქსელის გაფართოების შესაძლებლობაზე.

პროფგანათლება ეროვნულ უმცირესობათა შორის

(ამხ. ხ. ღლონტის მოხსენება)

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა პროფგანათლების მთავარ მმართველობის წარმომადგენელი ამხ. **ხ. ღლონტი**, რომელმაც ვრცლად გააშუქა პროფგანათლების საქმის მდგომარეობა მცირე ეროვნებათა შორის და აღნიშნა, რომ დღემდე მცირე ეროვნებათათვის საშუალო სასწავლებლის გახსნის გარდა, მოეწყო პედაგოგიური ტეხნიკუმები: 1 სომხურსა და 1 თურქულ ენაზე. მომავალ სასწავლო წლიდან კი იმ ადგილებში, სადაც საკმაო რიცხვია უცხო ეროვნებათა მოსახლეობისა, გახსნილი იქნება დაბალი საფეხურის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები. მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მცირე ეროვნებათა სკოლებ კურს დამთავრებულებს უმაღლეს სასწავლებლებში დათმობილი აქვს ადგილები საჭირო რაოდენობით.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ამხ. **ფილიპე მახარაძე**, რომელმაც მცირე ეროვნებათა შორის მუშაობა მიიჩნია დამაკმაყოფილებლად, მაგრამ ამავე დროს აღნიშნა, რომ მცირე ეროვნებათა შორის პროფგანათლების მუშაობა უნდა სწარმოებდეს განსაკუთრებული ენერგიითა და დაკვირვებით. ამ მხრივ ყურადღება უნდა მიექცეს არა ამა თუ იმ მცირე ეროვნებათა რაოდენობას, რიცხვს, არამედ მათ შორის მუშაობა უნდა სწარმოებდეს მოთხოვნილებისა და საჭიროების მიხედვით და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშაობას კულტურულად ჩამორჩენილ ეროვნებას შორის.

პოლიტ-განმანათლებელი მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა შორის

(ამხ. შუშანიას მოხსენება)

სხდომის დასასრულ მოხსენებით გამოვიდა პოლიტგანათლების გამგე ამხ. **შუშანია.** მომხსენებელი ვრცლად შეეხო მცირე ეროვნებათა შორის პოლიტგანათლების საქმის მდგომარეობას და ამავე დროს პლენუმს გააცნო შემდეგი მუშაობის გეგმა.

მეორე დღეს 31 მაისს სწარმოებდა კამათი მოხსენების გარშემო.

სოცდაზღვევა

თბილისის დამზღვევ სალაროს და სოც. დაზღვევის რესპუბლიკანურ კომიტეტის გაერთიანება

30 მაისს საქართველოს პროფსაბჭოს წითელ დარბაზში შესდგა ახლად არჩეულ სოცდაზღვევის რესპუბლიკანურ კომიტეტის სხდომა, რომელზედაც მიღებული იქნა დადგენილება—გამოიყოს კომისია ამხ. ჭელიძის, ნარჩემაშვილის, ცომაიას, ელბაქიანის, ფირალიშვილის, მაშკევიჩის, თუშიშვილის და სიტნიკოვის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ორი კვირის განმავლობაში შეისწავლოს და დაამუშაოს პროექტი თბილისის დამზღვევ სალაროს და სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ კომიტეტის გაერთიანების შესახებ; პროექტი დამუშავების შესახებ დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს რესპუბლიკანური კომიტეტის პლენუმს. ამის და მიხედვით უნდა იქნეს არჩეული პრეზიდიუმი და განყოფილებების გამგეები.

აღნიშნული პროექტის დამტკიცებამდე ყველა თანამშრომლები რჩებიან თავიანთ ადგილებზე.

მიმდინარე მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა დაევალა რესპუბლიკანური კომიტეტის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს განყოფილებების გამგეებთან ერთად.

ბორჯომის დამზღვევ სალაროს ახალი გამგე

რესპუბლიკანურმა კომიტეტმა ბორჯომის დამზღვევ სალაროს გამგედ წამოაყენა ამხ. შალუტაშვილი, როგორც დაზღვევის საქმის კარგი მცოდნე.

შაქრის ქარხანა

საქართველოს მთავრობის შუამდგომლობის თანახმად, უმაღლესმა საკავშირო ხელისუფლებამ მიზანშეწონილად სცნო შაქრის ქარხნის მოწყობა საქართველოში. ვინაიდან ჩვენში განსაკუთრებით ხარობს შაქრის დასამზადებელი ჭარხალი. ჭარხლის მოსაყვანად საუკეთესო პირობებია გორის მაზრაში. საკითხის საბოლოოდ გამოსარკვევად გორის მაზრაში—გომის რაიონში უკვე დაითესა საცდელად ჭარხალი 36 დესეტინა მიწაზე. ნათესებს, მიუხედავად ცუდი ამინდებისა, კარგი პირი უჩანს. ამას გარდა ამავე რაიონში ჭარხალი საცდელად დაითესა აგრეთვე გლეხების მამულებშიაც.

თუ ცდებმა სასურველი შედეგები გამოიღო, მაშინ საბოლოოდ გადაწყდება საქართველოში შაქრის ქარხნის აგების საკითხი.

421,000 მან. დაზღვეულთათვის

მოსკოვიდან დაბრუნდა ა.-კ. საგზაო დამზღვევ სალაროს თავმჯდომარე ამხ. დიკი, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

ცენტრმა ა.-კ. დამზღვევი სალაროს დეფიცი-

ცენტრმა ა.-კ. დამზღვევი სალარო დეფიციტიანად სცნო და ამის გამო მოგვცა დოტაციის სახით 123.000 მანეთი.

ამასთან ერთად ცენტრის მიერ გადადებულია ამიერ-კავკასიის რკინისგზელთათვის სანატორულ-საკურორტო დახმარების აღმოსაჩენად 106.000 მანეთი.

მივიღეთ აგრეთვე 4.000 მანეთი ლენინაკანში მიწისძვრისაგან დაზარალებულ სალაროს თანამშრომლებისათვის ბინების ასაშენებლად.

ლიბანის სანატორიუმის დასამთავრებლათ გაცემულია 180.000 მანეთი. ამის გამო ეხლა სამშენებლო მუშაობა ფართოდ მიმდინარეობს და 15 ივლისისათვის სანატორიუმის შენება საბოლოოდ მოთავდება; იმავე თვის დამლევს შევსძლებთ იქ ავადმყოფების პირველი პარტიის გაგზავნას.

სანატორიუმებისათვის საჭირო ყველა მოწყობილობები უკვე მიღებულია. ნაწილი ამ მოწყობილობებისა ჩამოტანილია. ეხლა გვაკლია ზოგიერთი წვრილმანები, რომლებსაც შევიძენთ ადგილობრივ. წვრილმან მოწყობილობათა შესაძენად ცენტრის მიერ გადადებულია 8.000 მანეთი.

ამხანაგობა „საერო"

(საქ. მუშა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა ამხანაგობა „საეროს" გამოკვლევა; გამოირკვა, რომ ეს ამხანაგობა თავისი ხასიათით კულაკური ორგანიზაცია იყო. ამ ამხანაგობაში წევრად შესვლისათვის საჭირო იყო საპაიო გადასახადის შეტანა 500 მანეთის რაოდენობით. ამავე დროს ეს ამხანაგობა სარგებლობდა კოოპერაციისათვის მინიჭებულ ყველა შეღავათებით, რაც გამოიხატა, უმთავრესად, მისთვის ფართო კრედიტების მიცემაში, როგორც ბანკების, ისე სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ.

იმის გამო, რომ „საქართველოს ღვინო"-მ უარი სთქვა „საეროს" თავის წევრად მიღებაზე, მას კრედიტს აღარ აძლევდენ, თამასუქები გასაჩივრებული იქნა და „საეროს" ქონება გაყიდული იქნა საჯარო ვაჭრობით. თვითონ ამხანაგობა გაუქმდა; ამასთანავე გამოირკვა, რომ მისი დავალიანება სახელმწიფო ორგანოებისადმი უდრიდა 78.956 მანეთს, კერძო პირებისადმი კი—13.434 მანეთს. ზარალი გამოიწვია არა მარტო კრედიტების შეწყვეტამ, არამედ „საეროს" გამგეობის საქმისადმი გულგრილად მოპყრობამაც. გამოკვლევამ გამოარკვია აგრეთვე მთელი რიგი უკანონო ხარჯები, როგორც, მაგალითად, დახმარების მიცემა გამგეობის თავმჯდომარე ჩინგიშვილისათვის ცოლის დასაფლავების ხარჯების დასაფარავად.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოკვლევის მასალები გადასცა პროკურატურას დამნაშავეების პასუხისგებაში მისაცემად. ამხანაგობის სალიკვიდაციო კომისიას დაევალა, წესდების თანახმად გადაახდევინოს ამხანაგობის წევრებს დავალიანება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისადმი.

ჩვენი ეკონომიური ურთიერთობა სპარსეთთან

საუბარი ამ.-კავკ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. შირვანსკისთან.

სპარსეთიდან დაბრუნდა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. **შირვანსკი**, რომელმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს სპარსეთთან ურთიერთობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— სპარსეთის ვაჭრობის არამეგობრულ დამოკიდებულებას ჩვენდამი და ჩვენი საქონლისადმი, რომელიც ხელოვნურად გამოწვეული იყო ინგლისის მიერ, ამ ჟამად აღარ აქვს ადგილი. უკანასკნელი თვეების განმავლობაში მოხდა გარდატეხა ჩვენი საქონლის სასარგებლოდ, რასაც საგრძნობლად ხელი შეუწყო:

1) ჩვენმა ფასების პოლიტიკამ, 2) ჩვენი საქონლის, განსაკუთრებით მანუფაქტურის (ჩითი) ღირსებამ, 3) ბაქოს ბაზრობამ, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია სპარსელ ვაჭრებში და 4) სავაჭრო წარმომადგენლობის პოლიტიკამ საქონლის შემოსატანად საჭირო ლიცენზიების გაცემის დარგში და სხვა.

ჩემი თავრიზში ყოფნის დროს ჩვენს საკონსულოს ეწვიენ ადგილობრივი ვაჭრები გარორის, ბუდაგიანის, ისფაგანის, კაზვინის და სხვების მეთაურობით, და აგრეთვე ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ აუცილებელია სპარსეთის და საბჭოთა კავშირის ეკონომიური დაახლოვება და აგრეთვე სპარსეთ-საბჭოთა ხელშეკრულების დაჩქარებით დადება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სწორი პოლიტიკა ფასების დაკლების დარგში და ჩვენი იაფი საქონელი, როგორიც არის ბამბეული მანუფაქტურა, ნავთის პროდუქტები და შაქარი, რომელთა ექსპორტი თანდათან იზრდება, დიდ შესაძლებლობას ქმნიან ჩვენს საექსპორტო-საიმპორტო გეგმაში, ხელს შეუწყობენ სპარსეთის მოსახლეობის ეკონომიურ დაახლოვებას ჩვენთან და გააძლიერებენ განახლების გზაზე დამდგარ სპარსეთის და საბჭოთა კავშირის მეგობრობას.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გასული წლიდან ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ სპარსეთში შემოიღო ხილის გახმობის კალიფორნიული სისტემა, რომელმაც ხელი შეუწყო ხილის ღირსების გაუმჯობესებას და ფასების დაკლებას.

რაც შეეხება სპარსეთში მომუშავე სხვა ორგანიზაციებს, უნდა ითქვას, რომ ახლო მომავალში „სპარსეთის ბამბა" საბოლოოდ გაუქმებული იქნება და ყველა მისი საქმეები გადაეცემა ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს. იგივე უნდა ითქვას „შარკ"-ისა და „ცენტროხლოპოკ"-ის შესახებ. ყველა ეს ღონისძიებები ამტკიცებენ და აძლიერებენ ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მდგომარეობას სპარსეთის აზერბეიჯანში.

სპარსეთში ასეთი პოლიტიკის წარმოება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ინგლისის პროვოკაცია, რომელიც მიმართულია საბჭოთა საქონლისათვის ბოიკოტის გამოცხადებისაკენ, სასტიკად დამარცხდება და საბჭოთა კავშირს, კერძოდ ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მდგომარეობა კიდევ უფრო გაძლიერდება.

ქალთა ყოფა-ცხოვრების და შრომის გაუმჯობესება

საქართველოს ცაკთან არსებულ ქალთა ყოფა-ცხოვრების და შრომის გამაუმჯობესებელი კომისიის მუშაობა 1927 წ. 1-ლი იანვრიდან 15 მაისამდე

კომისიის ცნობებით, მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან 15 მაისამდე კომისიამ სამუშაოზე გაგზავნა 173 ქალი, შრომის ბირჟაში ჩაწერა 40 ქალი, სამშობლოში გაგზავნა თავის ხარჯზე 57 ქალი, საავადმყოფოში მოათავსა—35, ერთდროული დახმარება მისცა—89 ქალს. აღნიშნული დროის განმავლობაში კომისიამ სულ სხვადასხვაგვარი დახმარება აღმოუჩინა 1502 ქალს.

საანგარიშო ხნის განმავლობაში დროებითი თავშესაფარ სახლში გაიგზავნა საცხოვრებლად 104 ქალი. სახლთან არსებობს საკერავი, საფეიქრო, ქუდების საკერავი, ტომრების დასაკეთებელი და სხვა სახელოსნოები, რომლებიც შეკვეთებს იღებენ და განუწყვეტლივ მუშაობენ.

8 მარტისათვის კომისიამ ერთდროული დახმარების სახით მაზრებს მისცა: სიღნაღის მაზრას—240 მანეთი, სოხუმის—376, დუშეთის—300, ლეჩხუმის—300, თბილისის—300, ახალქალაქის—405, აჭარისტანს—600, სენაკის—250, ქუთაისის—300, ზუგდიდის—100, ოზურგეთის—200, თელავის—100, ფოთის—200, შორაპნის—200, გორის—100 და რაჭის—100 მან., სულ—3971 მანეთი.

კომისია თავის მუშაობას უფრო ფართოდ დააყენებდა და მეტ სახელოსნოებს და წარმოებებს დააარსებდა, მაგრამ მუშაობის გაფართოებას ხელს უშლის თანხების ნაკლებობა.

მიუხედავად იმისა, რომ კომისია დატვირთულია მრავალი სხვადასხვა ხასიათის მუშაობით, იგი მაინც სცდილობს აწარმოოს კულტურული მუშაობა ქალთა შორის; ამ დარგში ჩატარებულია შემდეგი მუშაობა: კომისიის ყველა თანამშრომლები, რომელთა რიცხვი უდრის 293 კაცს, ირიცხებიან საშეფო საზოგადოების წევრებად. მრავალ მათგანს აქვს სურვილი პარტიის რიგებში ყოფნისა, მაგრამ ამას წინ ელობება მათი მოუმზადებლობა, რომელსაც კომისიამ შესაფერი ყურადღება მიაქცია და გამოჰყო დელეგატი ქალები, რომლებიც მიამაგრა სხვადასხვა წრეებზე და ჯგუფებზე.

ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა შორის

თბილისის ყოფ. ახ. მარქსისტთა აქტივის თათბირი

გუშინ, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნა თბილისის ყოფ. მარქსისტთა აქტივის პირველი გაფართოვებული თათბირი.

თათბირმა საპატიო პრეზიდიუმში აირჩია ამხ. **ცხაკაია, ორახელაშვილი, მახარაძე** და **კახიანი**, საქმიან პრეზიდიუმში:—**გ. კეკელია, კ. კობახიძე, ან. შავგულიძე, ი. ნიკოლაიშვილი** და **ხოფერია**, (სამდივნოში) **გ. კომახიძე, შ. გოგუა** და **ლ. ხუციშვილი.**

მიღებულ იქნა დღის წესრიგი შემდეგი კითხვებით: ა) პოლიტიკური მოხსენება, ბ) ც. ბ. წარსული მუშაობის ანგარიში და ვ) მიმდინარე საკითხები.

პირველად მოსმენილ იქნა პოლიტიკური მოხსენება ამხ. **ტალახაძისი** და ანგარიში ც. ბ. მუშაობის შესახებ ამხ. **გრ. კეკელიასი.**

თათბირი გააგრძელებს თავის მუშაობას დღეს 5 საათიდან.

პროფკავშირებში

სურსათ გემო-კვების კავშირში.

სახლი მუშებისათვის

სურსათ-გემოვნების კავშირს განზრახული აქვს აგოს მუშებისათვის საცხოვრებელი სახლი. სახლი დაიტევს დაახლოვებით 300 კაცს. საჭირო მიწის ნაკვეთი კავშირს უკვე დაუთმო თბილისის აღმასკომმა.

კავშირის ც. გამგეობამ გამოჰყო აღნიშნული სახლის ასაგებად კომიტეტი, სადაც შედიან კავშირის და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მუშები აგარაკებზე

სურსათ-გემოვნების კავშირის ცენტრალური გამგეობა 1 ივლისიდან თავის საკუთარ აგარაკებზე ბორჯომში აგზავნის მუშა-მოსამსახურეებს. ამ სეზონში აღნიშნულ აგარაკზე დაახლოვებით გაიგზავნება 500 კაცამდე. იმ მუშებს, რომლებიც იღებენ ხელფასს 40 მანეთამდე მიეცემათ დახმარება კავშირიდან 12 მან., იმათ, რომლებიც იღებენ 50 მანეთამდე მიეცემათ დახმარება ათი მან., ვინც 60 მან. იღებს 7—50 კაპ. მიიღებს; ხოლო ისინი; ვინც იღებს 70 მან. 5 მან. მიიღებენ.

ის მუშები, რომლებიც ღებულობენ ხელფასს 70 მან. 100 მანეთამდე დახმარებას არ იღებენ, ხოლო ის მუშები, რომლებიც 125 მანეთამდე ხელფასს იღებენ დახმარების ფონდის სასარგებლოდ იხდიან ხუთ მან., ისინი კი ვინც აღნიშნულ თანხის ზევით იღებს ხელფასს—იხდიან ათ მან.

მუშათა ცხოვრება.

რკინის-გზის პროფკავშირებში

— **საბარგო განყოფილება.** სამტრედიის საუბნო პლენუმმა დაადგინა გაიხსნას სადგურ იანეთში საქონლის მიღების და გაგზავნის საბარგო განყოფილება.

— **სპეც-ტანთსაცმელი.** ვინაიდან ზოგიერთ მუშა-მოსამსახურეს აქამდე არ მიუღიათ წარსული დროის სპეც-ტანთსაცმელი, სამტრედიის საუბნო კომიტეტის პლენუმმა დაადგინა დაკმაყოფილებულ იქმნან ასეთები ფულადი კომპენსაციით. ამავე დროს საჩქაროთ იქმნას მიცემული სათანადო შეკვეთა ახალი სპეც-ტანთსაცმელის ნორმის მიხედვით.

— **სტუდენტები პრაქტიკაზე.** სტუდენტ რკინისგზელებს მიმდინარე ზაფხულის სეზონისათვის საბჭოთა კავშირის რკ. გზებზე დაეთმობათ 184 ადგილი. მათ შორის წევის დარგში 73 ადგილი, სალიანდაგო დარგში 73 ადგილი, ელექტრო-ტეხნიკურ დარგში 14 ადგილი, კომერციულ სამსახურში 19 ადგილი და სამეურნეო მატერიალურ სამსახურში 5 ადგილი. მათ შორის ა.-კ. რკ. გზებზე პრაქტიკანტებს დაეთმობათ 26 ადგილი.

— **მოწაფეები წარმოებებზე.** სამტრედიის საუბნო პროფკავშირმა მიმართა წევის დარგს გადაიყვანოს კურსდამთავრებული მოწაფეები ზეინკლის თანაშემწეებად წარმოებებში.

— **აბანო მუშებისათვის.** ბათუმის საუბნო პროფკავშირმა მიმართა სალიანდაგო სამსახურს—დაუყონებლივ შეაკეთოს უბანში აბანოები მუშებისათვის.

მუშათა ცხოვრება

დღეს, საღამოს სრულ ხუთ საათზე, შესდგება სალიტერატურო წრის მეცადინეობა ექვსი საათიდან იმუშავებს საგაზეთო წრე.

მუშკორებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

სრულ 4 ნახევარ საათზე შესდგება საექსკურსიო კომისიის სხდომა. უნდა გამოცხადდენ ამხ. **ჯაბაური, ტორიკაშვილი** და **ჯავახიშვილი** იაგორ.

ექსკურსია ბროდსკის სურათის გამოფენაზე

კვირას, 29 მაისს კოლოფების ქარხნის „ინტერნაციონალის" კულტკომისიამ მოაწყო მუშების ექსკურსია მხატვარ—ბროდსკის, 26 ბაქოელ კომისარის დახვრეტის ორიგინალურ სურათის სანახავად, რომელიც გამოფენილია პროფსაბჭოს შენობაში.

ექსკურსანტებმა, 60 კაცის შემადგენლობით, თავი მოვიყარეთ დანიშნულ ადგილას დილის 11 საათზე. ჩვენს გარდა, იქ დიდძალ ხალხს მოეყარა თავი სურათის სანახავად. შესვლა ფასიანი იყო.

ჩვენმა რიგმაც მოაწია. შევედით დარბაზში, სადაც გამოფენილი იყო უზარმაზარი სურათი. ყველას ყურადღებას იპყრობს ეს შემაძრწუნებელი სანახაობა. სურათზე ცოცხლად გადმოსცემს ბროდსკი იმ ფაქტს, თუ როგორ მხეცურად დაიხვრიტნენ—26 ბაქოს კომისრები.

იწყება ლექცია. ამ სურათის ახსნა-განმარტებისათვის. ლექტორი ეხება 26 კომისრის დახვრეტის გარშემო მოკლე ისტორიას; ის აცნობს ექსკურსანტებს კომისრების ბიოგრაფიას და მასთან, ხსნის სურათზე. დახვრეტის დროს მონაწილე—მოწმეების, მუშების სისხლის მწოველების როლს ამ საქმეში. მუშა-ექსკურსანტები კმაყოფილნი დარჩნენ ამ ახსნა-განმარტებით.

არ შეიძლება არ ითქვას, რომ ამ სურათის მნახველი პირველად შედრკება, ტანში ჟრუანტელი გაურბენს და შესაბრალისად მიაპყრობს თავის თვალებს დასახვრეტად გამომზადებულ რევოლიუციისათვის მებრძოლ კომუნარებს, რომლებიც, გულ-გაღეღილნი, თმა აწეწილნი სისხლში მოსვრილნი, ფერმიხდილნი; მაგრამ, სულით მაგარი და ჯალათებისადმი ზიზღით აღვსილი მოელოდებიან ბაქოს მოძალადეების, ინგლისის იმპერიალისტების კარნახით, გამოსროლილ ტყვიებს განსაგმირავად.

სურათში გამოხატულნი არიან აგრეთვე ისინი, ვინც დაესწრნენ ამ დახვრეტას. ინგლისელი ოფიცრები, რომლებიც გულდამშვიდებულად უყურებენ ამ შემაძრწუნებელ სურათს. ეს გასაგები არის, კომისრების დახვრეტა, ხომ მათი „ლოცვა-კურთხევით მოხდა?

მნახველი აუცილებლათ ქებას შეასხამს ამ სურათის ავტორს ბროდსკის, რომელსაც ზედმიწევნით კარგად აქვს შესრულებული სურათი.

ამ სურათმა ექსკურსანტ მუშებზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

ვანო.

რა გააკეთა ჩვენმა ქარხკომმა

(ლენინის სახელობის თუთუნის ქარხანა)

ჩვენი ქარხკომი აერთიანებს 275 მუშა-მოსამსახურეს. ყველა პროფკავშირის წევრები არიან. ქარხკომთან არსებობს შემდეგი კომისიები. საწარმოო, შრომის დაცვის, შემფასებელი საკონფლიქტო, კულტკომისია, შეგირდების გამომცდელი კომისია. და აგრეთვე ურთი-ერთ დამხმარე სალარო.

როგორც გამოირკვა გამომცდელი კომისიის გარდა, ყველა კომისიები ნაყოფიერად მუშაობენ. საწარმოო თათბირი საანგარიშო პერიოდში მოწვეული იყო სამჯერ. ქარხანაში არსებობს კლუბი, სადაც კულტ-კომისია აწარმოებს მუშაობას. კულტკომისიასთან არსებობენ წრეები: დრამ-წრე, პროფწრე, სალექციო და საბიბლიოთეკო და ფიზკულტურის. ყველა ზემოდ აღნიშნული კომისიების ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებენ. თვეში ოთხჯერ სისტემატიურად ეწყობა საღამოები.

საწევრო გადასახადის 75 პროცენტი გროვდება წესიერად. კოლხელშეკრულების ყველა პუნქტებს ადმინისტრაცია ცხოვრებაში წესიერად ატარებს. ხელფასი ურიგდებათ მუშებს თავის დროზე. თვეში ორჯერ.

წინასწარ გათვალისწინებული იყო, რომ მაისში უნდა მომხდარიყო ქარხკომის გადარჩევა, მაგრამ ვინაიდან ქარხანა კოლექტიურ შვებულებაში მიდის ოთხ ივნისიდან გადარჩევა ქარხკომის გადადებული ექნება.

ლ. ჯავახიშვილი.

რა აფერხებს მუშაობას

(მთავარი სახელოსნოები)

ჯერ-ჯერობით რემონტიდან რონოდების გამოშვება ფრიად ჭიანურდება მუშაობის არა წესიერი დაყენების გამო საამქროში მასალის ცუდი აღრიცხვისა და აგრეთვე იმის გამოც, რომ სათანადო საამქროები თავის დროზე არ იმარაგებენ საჭირო მასალებს. ზოგიერთი საწყობების და საკუჭნაოების გამოკვლევამ დაგვანახა, რომ მასალათა აღრიცხვა არ იყო დაყენებული სათანადოდ. მასალების მიღება და გაცემა სწარმოებდა უწესოდ. სანარდო მომუშავეთაგან მასალებს ღებულობდენ პრიმიტიულ წესით სამუშაოს შესრულების შემდეგ მუშა სახელოსნოდან ეზიდება მასალას საწყობში და სტოვებს იქ მას წონისა და ზომის აღუნიშნავად.

არის შემთხვევები, როცა მასალები რონოდებით შემოდის მაგრამ შემოსავალში თვეობით შეუტანელი რჩება. გაცემა სწარმოებს როგორც მოხდება ისე, ხან ადმინისტრაციის პატარა ბარათით, ხან მოთხოვნილების წარდგენით აუწონლად, გაუზომავად და სხვ.

მასალების ასეთი აღრიცხვა ქმნის დიდ გაუგებრობას და უწესრიგობას. ამას გარდა, საწყობში საქმის ცუდი დაყენების შედეგია ის, რომ საწყობი უმეტეს შემთხვევაში მასალის მოთხოვნილებაზე უარს ეუბნება მიუხედავად ამისა რომ ზოგჯერ მას საჭირო მასალა საწყობში მოეპოვება.

წევის დარგის უბნების გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ რონოდების რემონტი (განსაკუთრებით კონვენციური) გვიანდება მთავარ სახელოსნოდან მასალების თავის დროზე მიუღებლობის გამო. მაგალითისათვის ავიღოთ სადგ. შორაპანი. იმის გამო, რომ აქ არ არის გამძლე საყელურები, ყუნწები დგარები და საბორტო ძელები, რონოდების კონვენციური გასინჯვა გვიანდება 14 დღეს. არ იქნება გადამეტებული, თუ დავუმატებთ იმასაც, რომ მასალები ხშირად იგზავნება არა თანაბარი ზომის, მაგალითად წევის კრიუკები, რომელიც გაგზავნეს განჯაში 40 დიუმის მეტი აღმოჩნდა საჭიროზე.

ახალი.

ოჯახურ მომჭირნეობის უჯრედები *)

წარმოებებში ამ ბოლო დროს გახშირდა სამუშაო დროის მოცდენა ან სამუშაოზე დაგვიანება. რასაკვირველია უმეტეს შემთხვევებში სამუშაო დროის გაცდენა ლოთობის შედეგია ზოგიერთ წარმოებებში ორშაბათობით მუშების საკმაო რიცხვი არ ცხადდება სამუშაოზე. ჩვეულებრივ ფულის მიღება შაბათობით სწარმოებს. ფულის მიღების შემდეგ ზოგიერთები ლოთობენ და უმეტეს შემთხვევაში თავის ხელფასს სამიკიტნოებში ტოვებენ.

ბრძოლა, რომელიც სწარმოებდა ამ ბოროტების წინააღმდეგ და ეხლაც სწარმოებს არ არის საკმარისი. მარტო ადმინისტრატიული ზეგავლენით და პროფორგანოთა აგიტაციით ვერას მივაღწევთ. ბრძოლა სამსახურში არ გამოსვლასთან, როგორც ლოთობის შედეგთან უნდა სწარმოებდეს უფრო ფართოდ და თვით მუშა-მოსამსახურეთა ფართე მასების მონაწილეობით.

ამ მიმართულებით ბრძოლის საინტერესო ცდად უნდა ჩაითვალოს რიაბუხინის სახელოსნოებში (უკრაინა) თვით მუშათა ფართე ფენების და კავშირის ინიციატივით შექმნილი „ოჯახურ მომჭირნეობის" უჯრედების დაარსება; რომელშიაც ჩაეწერა მრავალი მუშები.

ოჯახური მომჭირნეობის უჯრედი ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა. წარმოებებში ლოთობის წინააღმდეგ გაძლიერებული აგიტაციის მეოხებით მუშები ხალისით ეწერებიან უჯრედში. მუშებიდან შემოსული ფული (რომელიც წინეთ დუქნებში მიდიოდა) გროვდება და ინახება სახელმწიფო შემნახველ სალაროში. „ოჯახური მომჭირნეობის" უჯრედი მუშებს აჩვევს ფულის დაზოგვას და გონიერი მომჭირნეობის შედეგი აშკარაა: მრავალი მუშა, რომელიც წინედ თავის ჯამაგირს დუქნებში სტოვებდა. ეხლა მას სალაროში ინახავს. უმთავრესი კი ის არის, რომ მუშებში გაიზარდა ლტოლვა კლუბებისადმი.; წრეებისადმი და სხვა. ლოთობა მცირდება, შრომის ნაყოფიერება იზრდება. ღვინის მოყვარულ მუშების ცოლებისა და ბავშვებისათვის ასეთი უჯრედების შექმნა—ბედნიერებაა.

„ოჯახური მომჭირნეობის" უჯრედი უდიდეს როლს ითამაშებს სამუშაო დროის გაცდენისა და ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კარგი იქნებოდა ჩვენც მიგვებაძა რიაბუხინის სახელოსნოების მუშების მაგალითისათვის და შეგვექმნა უჯრედები „ოჯახური მომჭირნეობისა" ცდისათვის საკმარისი იქნებოდა უჯრედის დაარსება დეპოში ან მთავარ სახელოსნოში.

რ. არ—ი.

—:—

საყურადღებო წვრილმანი

— **მოგვაშორეთ ავარები.** არსენალის წინ არის პატარა მოედანი—სადაც ახლო-მახლო უბნის ბავშვები თამაშობენ. ამ ბოლო დროს კი ბავშვებს ვერ გაუვლიათ ამ მოედანზე, რადგან იქ ქუჩის ავარებმა მოიყარეს თავი, იგინებიან ჩხუბობენ და ვინ იცის რას არ სჩადიან. სამწუხაროდ მილიციის პოსტი ამ ადგილიდან შორს არის. მეეზოვე კი ხმასაც არ იღებს. კარგია შერვე რაიონის კომისარი თუ მიიღებს ამ გარემოების მხედველობაში და გასწმინდავს ამ მოედანს ავარებისაგან.

გამვლელი.

— **საჭიროა კოოპერატიული განყოფილება.** ლენინის უბანში ხუდადოვის ქუჩის ბოლოს იყო კერძო ვაჭრების დუქანი. ეს დუქანი დაკეტეს. კარგია თუ უბანში „მუშკოოპი" ან „ზაკტეპეო" გახსნის პატარა განყოფილებას.

ლანტკურელი.

— **საჭიროა გამორკვევა.** 22 მაისს თბილისის რკინის გზის საავადმყოფოში ადგილი ქონია შემდეგ მოვლენას: საავადმყოფოში მოიყვანეს მძიმე ავადმყოფი, რომელიც დაუყონებლივ უნდა გაესინჯა მორიგე ექიმს. მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფი ძლიერ ცუდად იყო, დარაჯმა მაინც არ აცნობა მორიგე ექიმს.

სრულიად შემთხვევით მორიგე ექიმი ტყაბაძე თვით გამოვიდა ავადმყოფთან. როდესაც მას შესჩივლეს დარაჯის საქციელზე, ექიმმა შემდეგნაირი პასუხი გასცა: მე მოსვენება მჭირდება. არავის არა აქვს უფლება ჩემს კაბინეტში შემოვიდეს. ვანა მორიგე ექიმი იმისთვის არის, რომ საავადმყოფოში დაისვენოს?

საჭიროა ამ საქმის გამორკვევა.

ლიაპისი.

—:—

— **ნათლიმამობა.** თბილისის აღმასკომის საბავშვო ახალშენს, რომელიც დუშეთში იმყოფება განაგებს მოქ. მელიქიშვილი. ის ნაცნობ-მეგობრობით იღებს სამსახურში თანამშრომლებს.

აი მაგალითი. ახალშენის მასწავლებლის თანამდებობაზე ამას წინად მან მიიღო ქსენია დოლიძე, რომელიც არ არის პროფკავშირის წევრი. ეს კიდევ არაფერი. ბავშვების აღზრდის რომ რამე მაინც ესმოდეს ამ ადამიანს. მიღებული იქნა ის იმიტომ, რომ ნათლიმამობას ბევრი შეუძლია. ამ ჟამად ახალშენში დოლიძების თბილი ოჯახია თავმოყრილი. ამ ქალის მამა მსახურებს ახალშენის საწყობის გამგედ, ხოლო დედა სამკერვალოში მუშაობს. უნდა დაუმატოთ, რომ კავშირიდან გამოგზავნილი მასწავლებელი სამუშაოზე არ იქნა მიღებული.

ახალშენელი.

ჩვენი მიწერ-მოწერა

— **მორფი.** არ დაიბეჭდება. მოათავსეთ აღმასკომის კედლის გაზეთში.

— **ზოდილს** „ყურადღებას არ აქცევენ" თქვენი ეს შენიშვნა მოათავსეთ საყუდის კედლის გაზეთში.

— **გ. შ. ნ-ს** თქვენი წერილი გადაეგზავნა აღმშენებელთა კავშირის ცენტრალურ გამგეობას.

ფასების დაკლება 1-ლი ივნისისათვის

როგორ მიმდინარეობს ფასების დაკლება თბილისში.—ფასების დაკლების გატარების შემოწმება მუშათა რაიონული კომისიების მიერ.—შემოწმების პროცესში შემჩნეული დეფექტები.—მდგომარეობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე.—რა აბრკოლებს სასოფლო პროდუქტების გაიაფებას.—რატომ უფრო იაფია ბოსტნეული „მეტაჩკეებთან"—ფართლეულობის მიმართ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება თითქმის სავსებით შესრულებულია.—ზოგიერთი ჯგუფების მანუფაქტურაზე ფასების დაკლება გადამეტებით არის შესრულებული.—ფასების დაკლება სოფლის კოოპერატივებში სუსტად მიმდინარეობს.—განზრახულია პურის ფასების დაკლება.—რა ზომები იქნება მიღებული შაქრისფასის დასაკლებად

ფასების დაკლების გატარების შემოწმება

რა გააკეთეს მუშათა რაიონულმა კომისიებმა

საცალო ფასების დაკლების შემამოწმებელმა მუშათა სარაიონო კომისიებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შემცირდა ფასები 1 ივნისისათვის ცალკე მაღაზიებში. ამ მუშაობის შედეგები ჯერ კიდევ არ არის სისტემაში მოყვანილი, ამას შეუდგება ვაჭრობის სახალხო კომისარიატი. მაგრამ ჩვენ ჯერ-ჯერობით გვქონდა საშუალება გავსცნობოდით იმ ცალკე აქტებს, რომელნიც ამ კომისიებმა შეადგინეს მაღაზიების გამოკვლევის დროს.

მუშკოოპის „პასაჟი"

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ბევრი საქონელი ამ მაღაზიაში მოდის საქონლის სხვადასხვა ბაზიდან.. ამავე დროს, ამ ბაზებში საქონლის გაწერის დროს არ აღნიშნავენ დაკლებულ ფასს.

დაკლებული ფასების სავალდებულო პრეისკურანტი, 1 იანვრის დონესთან შედარებით, მაღაზიებში არ არის. და როგორც გამოირკვა „პასაჟს" არც კი მიუღია დირექტივები ასეთი პრეისკურანტების გამოკვრის საჭიროების შესახებ.

საქონლის საერთო გადაფასების დროს, ზოგი ხარისხის გალანტერეია არ გადაუფასებიათ. დაკლებული ფასები ზოგიერთ საქონელზე არ გაუკრავთ.

საჩივრების წიგნი ჩაკეტილია ყუთში, რომლის გასაღები აქვს სადუქნო კომისიის თავმჯდომარეს, თვითონ თავმჯდომარე კი მაღაზიაში არ იმყოფება.

მაღაზიაში საკმაოდ არ მოიპოვება ფართო მოხმარების საქონელი. არ არის ლურჯი ბოსტონი, ლურჯი შევიოტი, არ აქვთ იაფი ჭიქები და თეფშები.

ერთ წყვილ ფეხსაცმელზე გამოკრული იყო ძველი ფასი. ფასები საქონელზე დაწერილია ადვილად წასაშლელი ფანქრით. კომისიის აზრით უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა იარლიკების შემოღება.

„ტიფტორგის" საცალო მაღაზია

ეს მაღაზია იმყოფება შუა ბაზარში.

კომისიამ გამოარკვია, რომ ფასების დაკლების საერთო რაოდენობა ამ მაღაზიაში უდრის 3,61 პროცენტს. ფასების ასეთი უმნიშვნელო დაკლება აიხსნება იმით, რომ მაღაზია გაიხსნა 1 იანვრის შემდეგ და მაშინვე დაიწყო ვაჭრობა დაკლებულ ფასებში, იანვრის შემდგომ შეფასების მიხედვით; გარდა ამისა, მისი წინანდელი ზედნადები ხარჯები საქონელზე ძალიან მაღალი იყო. 10 პროცენტის დაკლების მიღწევა ასეთ მდგომარეობაში შეუძლებელი გახდა.

მაღაზიაში არ აქვთ მთელი რიგი საქონლის, რომელიც მეტად აუცილებელია მომხმარებელთათვის: მაგალითად, სალესი ქვები, ავსტრიული ცელები, საზღვარგარეთის საქონელი, ჯაჭვი გასაღებისათვის და სხვ.

„ტექსტილტორგის" მაღაზია

საჩივრები საჩივრის ყუთში არ აღმოჩნდა. მომხმარებელთა დაკითხვიდან გამოირკვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ დიდხანს უხდებათ დგომა რიგში და ვერ იღებენ საქონლის საჭირო რაოდენობას. ეს აიხსნება იმით, რომ ის საქონელი, რომელზედაც მოთხოვნილება დიდია, განსაზღვრული რაოდენობით აქვთ მაღაზიაში.

ხშირია ზეპირ ხასიათის საჩივარი სპეკულიანტების მხრივ, რომელნიც მზად არიან ყოველგვარ ზომებს მიმართონ საქონლის მისაღებად. იყო შემთხვევები, როცა გადამყიდველები—სპეკულიანტები გლეხებს აძლევდენ ფულს და აგზავნიდენ მაღაზიაში საქონლის საყიდლად, რისთვისაც მათ ჰპირდებოდენ გასამრჯელოს. გამორკვეული იქნა ორი შემთხვევა, როცა მუშებმა მაღაზიაში იყიდეს საქონელი და შემდეგ ეს საქონელი მიჰყიდეს სპეკულიანტებს.

მაღაზიაში არ აქვთ შალის და ნახევრად შალის საქონელი და ჩითი. მაღაზიაში თითქმის საკმაოდ არის სელის საქონელი. მაღაზია აკმაყოფილებს საქონელზე მოთხოვნილების 80 პროცენტამდე.

არაკეთილსინდისიერებაში ეჭვის შეტანის გამო დაპატიმრებულ იქნა „ტექსტილტორგის" 8 მუშაკი, მაგრამ ვინაიდან დასამტკიცებელი საბუთი არ აღმოჩნდა, ისინი აღდგენილ იქნენ თავის უფლებებში. ამას წინედ დაპატიმრებულ იქნა ერთი გამყიდველი, რომელსაც ბრალი ედებოდა იმაში, რომ მას კავშირი ქონდა გადამყიდველებთან და საქონელს აწვდიდა მათ. წინედ ამავე ბრალდების გამო დაპატიმრებულ იქნა 11 კაცი; ექვს მათგანს ბრალდება დაუმტკიცდა.

ეხლანდელი და იანვრის ფასები გამოკრულია, მაგრამ დაწერილია ხელით, მხოლოდ რუსულ ენაზე. ეს ყველასათვის არ არის გასაგები. აუცილებელია ფასები დაწერილ იქნას მსხვილი ასოებით და სასურველია ოთხ ენაზე.

ფასების დაკლება ბამბეულის საქონელზე შესრულებულია 7,28 პროცენტით, შალეულის—12,8 პროცენტით, სელის საქონელზე—5,1 პროცენტით.

მდგომარეობა სოფლის პროდუქტების ბაზარზე

„ფასების დაკლების საერთო რაოდენობაზე დიდ გავლენას ახდენს,—როგორც აღნიშნა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **პიჩიკიანმა**,—ის გარემოება, რომ ფასების დაკლების რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე საგრძნობლად ჩამორჩება სამრეწველო საქონელზე ფასებს დაკლებას". „ზაკტპოს" გამგეობაში ამას აფასებენ, როგორც „ყველაზე უფრო მტკივნეულ ადგილს ფასების დაკლების საერთო ფრონტზე". ამხ. ერისთავი, მუშკოოპის გამგეობის წევრი, ამბობს რომ მომწესრიგებელმა ორგანოებმა სწორედ ამ ადგილს უნდა მიაქციონ უდიდესი ყურადღება.

მრეწველობა ჩვენში სავსებით არის დამოკიდებული სახელმწიფოსაგან; სასოფლო-სამეურნეო სტიქია ჯერ კიდევ არ დამორჩილებია მას. და ის გარემოება, მაგალითად, რომ თბილისის მუშები იძულებული არიან საკვებ პროდუქტებზე თავისი მოთხოვნილების 85 პროცენტი დაიკმაყოფილონ კერძო ვაჭრის საშუალებით, მოწმობს იმას, რომ კოოპერაცია ვერ დაეუფლა ამ ბაზარს.

ფასების დაკლება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე მეტად საძნელო საქმეს წარმოადგენს. თუ არაფერს ვიტყვით 10 პროცენტის შესახებ, ამ დარგში 1 ივნისისათვის ძნელი იქნება ფასების საგრძნობლად დაკლება. ამას წინედ „მიასოტორგი" იძულებული გახდა აღეძრა საკითხი კოოპერაციასთან დადებული ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ, რომ რამდენადმე აეწია ფასები ხორცზე. მუშკოოპის მაღაზიაში ფასები ხორცზე 25 მაისისათვის 1 იანვრის დონესთან შედარებით დაკლებულ იქნა 5,4 პროცენტით და ამაზე უფრო მეტად დაკლება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. ფასების დაკლება ადგილობრივი ცხვრის ხორცზე ვერ მოხერხდა: როგორც იყო 1 იანვრისათვის, ეხლაც ისევე რჩება—90 კაპ. კილო.

ძველ დონეზეა ფასები კართოფილზე (7 კაპ. კილო) და ლობიოზე (11 კაპ.). ფასები ერბოზე შემცირდა ციმბირიდან მოტანილი ერბოს ხარჯზე, მაგრამ იყო მომენტი, როცა შემოტანა შეჩერდა და მუშკოოპი იძულებული გახდა არ გაეყიდა ერბო თავის მაღაზიებში, ვინაიდან ადგილობრივი გლეხები სრულიად შეუსაბამო ფასებს აწესებდენ. ფასების დაკლება ერბოზე გამოიხატა მხოლოდ 1,6 პროცენტში,—იყო 2 მან. 44 კაპ., ეხლა არის 2 მ. 40 კაპ.

„ზაკტპო" დიდი ხანია იძულებული გახდა გაედიდებია ფასი ყველზე 4 კაპ.-ით კილოზე. წინედ იგი ყველს ამზადებდა ორთეშუას (ბორჩალოს რაიონი) ფერმაში და ყიდულობდა გლეხობისაგან. მაგრამ ეხლა ეს ფერმა დარჩენილი ყველის მარაგთან ერთად გადაეცა ბორჩალოს აღმასკომს და „ზაკტპო" იძულებული გახდა ყველი შეესყიდა „მწყემსისა" და „ბირლიკისაგან", რომლებსაც მაღალი ფასები აქვთ ამ პროდუქტებზე. საქმეს აბრკოლებს აგრეთვე ის გარემოება, რომ სამრეწველო საქონლის დამზადების დროს კოოპერაცია სარგებლობს კრედიტით 3—4 თვით, სასოფლო სამეურნეო საქონლის ყიდვის დროს კი მაშინვე უნდა იქნას გადახდილი ნაღდი ფული. რუსეთში ამ მხრივ რამდენადმე უკეთესი მდგომარეობაა: იქ არსებობს მნიშვნელოვანი რიცხვი ფერმებისა, საცდელ მეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სხ., რომელნიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთგვარ ფაბრიკებს წარმოადგენენ და დამოკიდებულნი არიან სახელმწიფოსაგან.

ჩვენს განკარგულებაში მყოფი ზომები დიდ ზეგავლენას ვერ ახდენენ ბაზრის საერთო მდგომარეობაზე. და ეს გარემოება მოითხოვს უდიდესი ყურადღების მიქცევას ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლაში მონაწილეობა უნდა მიიღოს არა მარტო ქალაქის მრეწველობამ, არამედ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ. ეხლა კი საქმე მიდის კურიოზებამდე: „მდელოსი", მაგალითად, მწვანეულობას დილით შედარებით მაღალ ფასებში აძლევს კოოპერატივებს, მაგრამ საღამო ხანს მიდიან „მეტაჩკეები", რომელნიც იმავე მწვანილეულს ყიდულობენ დაბალ ფასებში და ყიდიან მას უფრო იაფად, ვიდრე კოოპერატიული დუქნები. შეღავათი საღამო ხანს მათ ეძლევათ იმიტომ, რომ მწვანილეულობა მეორე დილით შეიძლება გაფუჭდეს.

აქედან დასკვნა, რომელზეც დაეყნებით მიუთითებენ ყველა ჩვენ მიერ დაკითხული ორგანიზაციები: ფასების დაკლების გატარებაში აუცილებელია მაქსიმალური ყურადღება მიექცეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, ვინაიდან მათზე მაღალი ფასების არსებობა ამახინჯებს ფასების დაკლების მთელ სურათს, რამდენადაც ის გამოხატულობას პოულობს თუნდაც საბიუჯეტო ნაკრებში. ზეგავლენის მოხდენა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე არ შეიძლება მხოლოდ განკარგულებებისა და ცირკულიარების საშუალებით; საჭიროა ხანგრძლივი, სისტემატიური და მრავალმხრივი მუშაობა.

ფართლეულობის ფასები დაკლებულია

საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ამიერ-კავკასიის განყოფილების მმართველმა ამხ. რადოშმა საუბრის დროს შემდეგი ცნობები მიაწოდა ჩვენს თანამშრომელს 1 ივნისისათვის ფასების დაკლების შესახებ.

ფასების საშუალო დაკლება კამვოლის ქსოვილებზე სინდიკატში უდრის 7—17 პროცენტამდე; სელის—5 პროცენტამდე; ბამბის—5 პროც.; ძაფზე—7.10—8,9 პროც., ტრიკოტაჟზე—5,1—30 პროცენტამდე.

კოოპერაციის განცხადება იმის შესახებ, რომ ფასების დაკლება არ შეეხო ჩამოთვლილი ჯგუფების ყველა საქონელს, სავსებით სწორია. მაგალითად, ფასების დაკლება ტილოზე, (სელის ქსოვილების ჯგუფი) თითქმის შეუმჩნეველია; საცალო საქონელზე კი, მაგ. მაგიდის საფარი, ბრეზენტი და სხვ., ფასები მნიშვნელოვანად არის დაკლებული, მაგრამ ეს არის დამოკიდებული არა „სელის ქსოვილების მრეწველობის" სამმართველოსაგან ან სრ. საკავშირო საფეიქრო სინდიკატში შემავალ ტრესტებისაგან, არამედ ამ საკითხის შეთანხმებისაგან საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან. საქონლის ყველა ამ ჯგუფებში აღებულია ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ფასების დაკლებაში საშუალო პროცენტი. ცხადია, რომ შეუძლებელია საკითხის დასმა ისე, როგორც ამას სჩადიან ზოგიერთები, ვითომც სრ. საკავშირო საფეიქრო სინდიკატის განყოფილება ამიერ-კავკასიაში არ ასრულებს დირექტივებს ფასების დაკლების შესახებ; ჩვენ ვაკეთებთ იმას, რასაც გვეუბნება ცენტრალური გამგეობა, ფასების დაკლებაში იძულებული ვართ ვიხელმძღვანელოთ ფასების დაკლების იმ პროცენტით, რომელსაც მიაღწიეს ტრესტებმა, რომლებიც ჩვენ საქონელს გვაწვდიან. სხვათა შორის, ამიერ-კავკასიის განყოფილება, თავის მხრივაც ზრუნავს ზედნართი ხარჯების შემცირებისათვის, თავისი აპარატის რაციონალიზაციისათვის და თანამშრომლების დატვირთვის გადიდების გზით. მაგალითად, მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ კვარტალში ჩვენი ბრუნვა იყო 12.804.000 მან., ხოლო ზედნართი ხარჯები—117.482 მან. (0,92 პროც.); მეორე კვარტალში, მიუხედავად ბრუნვის შემცირებისა, (11.614.782 მან). ზედნართი ხარჯები ჩვენ შევამცირეთ 107.000 მანეთამდე.

წინეთ ჩვენ გვქონდა საქონლის თვითღირებულებაზე 3,5 პროცენტის ზედნადების (наценка) უფლება.—ეს ზედნადები ხმარდებოდა გამგეობის, ჩვენი აპარატის და სხ. ხარჯებს, ეხლა ჩვენ ეს ზედნადები შევამცირეთ 2,45 პროცენტამდე. ეს შემცირება არ შედის ზედნადების იმ დაკლებაში, რომელიც თავის მხრივ გაატარა მრეწველობამ.

ფასების დაკლების საკითხთან პარალელურად ეხლა ისმება საკითხი საქონ. ღირსების შესახებ—ხომ არ გაუარესდა საქონლის ღირსება ფასების დაკლების შემდეგ. იგივე კოოპერატივები, რომლებთანაც გვიხდება საქმის დაჭერა, კერძო საუბარში აღნიშნავენ, რომ ვითომც საქონლის ხარისხი გაუარესდა. ეს აშკარა გაუგებრობაა. საქონელი ეხლა გაცილებით უკეთესია წინანდელზე, მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ ახლად დამზადებულ საქონლის კიპაში ხვდება იმავე საქონლის ძველი, ცუდი ხარისხის ნაწარმოები, რომელიც მიდის იმავე არტიკულით, იმავე სახელწოდებით. ტრესტებმა, გაითვალისწინეს რა ის საყვედურები, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ამ გარემოებამ, დაგვავალეს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ჩვენ მიერ მიღებული საქონლის ხარისხს,—აი, მაგალითად, „კოსტროტკანი" გვაუწყებს, რომ დღეიდან ტილო დამზადდება ძველ ფასებში, მაგრამ გაუმჯობესებული ხარისხით, და გვიგზავნის რა ამ ახალი ტილოს ნიმუშებს, გვავალებს დაუყონებლივ ვაცნობოთ ყოველი ისეთი შემთხვევა, როცა კიპაში აღმოჩნდება არადამაკმაყოფილებელი ხარისხის საქონელი. რასაკვირველია, საჭიროა განსაზღვრული დრო, რომ ძველი ნაწარმოები გასაღდეს ბაზარზე, მაგრამ ჩვენ აქვე ვხედავთ რომ ყოველი ახლად მიღებული საქონელი უფრო უკეთესი ხარისხის არის.

საქონლის ხარისხის შემოწმება და საქონელზე მოთხოვნილების ხასიათის გამორკვევის მიზნით ჩვენ განყოფილებასთან დავაარსეთ სპეციალური სასორტიმენტო ბიურო, რომელიც თვალყურს ადევნებს ყველა მოვლენებს ამ დარგში. ბიურო შეისწავლის საქონელს და ბაზარს. და უნდა ითქვას, რომ ბაზარს მისი საშუალებით ჩვენ ვხედავთ ისე, როგორც ხელის გულზე. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ კოოპერატიულმა ორგანიზაციებმაც, რომელნიც საქონელს უშუალო ტრანზიტით, გენხელშეკრულებებით იღებენ, და არა ჩვენგან, მიიღონ მონაწილეობა საქონლის ხარისხის საკითხის გაშუქებაში, თუნდაც ჩვენი ბიუროს დახმარებით: აცნობონ ამ ბიუროს თავისი შენიშვნები. შენიშვნები დღემდე ჩვენ მათგან არ მიგვიღია და მათ საჩივრებს მხოლოდ და მხოლოდ გაზეთებიდან ვიგებთ.

საქონლის ხარისხის გაუმჯობესება იმდენად წავიდა წინ, რომ „სელის სამმართველო" ეხლა სელის ჩითს უშვებს ჩითის ფასში, რომელიც გაცილებით უმჯობესია ძველ ბამბის ქსოვილზე; მისი გარეგნული სახე ძველი ჩითის ასლს წარმოადგენს, მაგრამ მისი გამძლეობა და სიმაგრე ისეთია, როგორც მომხმარებელს ჯერ არასოდეს არ უხილავს.

ფასების დაკლება სასოფლო კოოპერაციაში

სასოფლო კოოპერაციაში ფასების დაკლება ნელის ტემპით მიმდინარეობს

როგორც ჩვენს თანამშრომელს აცნობეს საქ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში, ფასების დაკლება პროვინციაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება ცენტრს. სრული ცნობები ფასების დაკლების კამპანიის შესახებ რწმუნებულის სამმართველოს ჯერ არ მოეპოვება, მაგრამ არსებული ცნობები მოწმობენ, რომ ადგილები ცენტრს ამ მხრივ ჩამორჩებიან 3 პროცენტით მაინც.

ეს ხდება არა რაიმე „ბოროტი განზრახვის" გამო, არამედ სავსებით აშკარა ობიექტიური მიზეზების ზეგავლენით. იმ დროს, როცა ქალაქის დიდი კოოპერატიული გაერთიანებები საქონელს უმთავრესად იღებენ პირდაპირ სამრეწველო ცენტრებიდან, ადგილობრივი მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოებები ამ საქონელს იღებენ ცეკავშირის საშუალებით, რამაც არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს თვითღირებულებაზე. გარდა ამისა, ადგილობრივ სამომხმარებლო საზოგადოებათა აპარატის (გამგეობა და სხვა) შენახვა, მიუხედავად იმისა, რომ კოოპერატივების ბრუნვა შედარებით უმნიშვნელოა, გაცილებით მეტი ჯდება, ვიდრე იმ დიდ კოოპერატივების აპარატის, რომელთაც ფართოდ განვითარებული ქსელი აქვთ.

მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ ადგილობრივ მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებათა საჩივარი იმ „კონკურენციის" შესახებ, რომელსაც უწევენ მათ ეს დიდი გაერთიანებანი. მაგალითად მოვიყვანთ თუნდაც სარვანის მთლიან სამომხმარებლო საზოგადოების საჩივარს „ზაკტპოს" წინააღმდეგ, რომელიც საქონელს უფრო იაფად ყიდის, ვიდრე ეს ადგილობრივი კოოპერატივი და „ართმევს" მას მომხმარებლებს. მთლიან სამომხმარებლო საზოგადოების განცხადება თავდება იმ სურვილის გამოთქმით, რომ „ზაკტპოს" ან აეკრძალოს ვაჭრობა ამ რაიონში, ან საქონელი გაჰყიდოს სარვანის მთლიან სამომხმარებლო საზოგადოების პრეისკურანტის ფასებში. ცხადია, რომ ორივე ეს გამოსავალი მიუღებელია. რამდენადაც სარვანის რაიონში არის საკმაოდ დიდი რაოდენობა რკინისგზელებისა. იმდენად „ზაკტპო" ვალდებულია დააკმაყოფილოს თავის წევრთა მოთხოვნილებები, საქონლის შეფასება თავის მაღაზიებში უნდა მოახდინოს თავისი შესაძლებლობებთან შეფარდებით და იზრუნოს ფასების არა აწევისათვის, არამედ დაკლებისათვის.

დღის წესრიგში სდგას საკითხი ადგილობრივ მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებათა გაერთიანებისა, მათი რიცხვის შემცირების შესახებ, საკითხი მათი უფრო ფართო და ძლიერ საორგანიზაციო ფორმაში ჩამოყალიბების შესახებ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მათი მდგომარეობის განმტკიცება და ფასების დაკლების ნამდვილად გატარება ადგილობრივ.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ამ ჟამად ამუშავებს ღონისძიებებს ამ საკითხის გადასაწყვეტად.

რატომ არ არის დაკლებული შაქრის ფასები

კოოპერატივები და სავაჭროები აცხადებენ, რომ ფასების დაკლებას შაქარზე ისინი ამ ჟამად ახდენენ საკუთარ ხარჯზე, ვინაიდან შაქრის ტრესტი ფასებს არ უკლებს. ჩვენმა თანამშრომელმა ამის შესახებ განმარტებისათვის მიმართა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ შაქრის ტრესტის წარმომადგენლობას თბილისში, სადაც მას შემდეგი განუცხადეს:

წარსული წლის 15 დეკემბერში, საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, მოხდა ფასების დაკლება ყველა ხარისხის რაფინადზე 4. მან. 80 კაპ. რაოდენობით 100 კილოზე (ცენტნერი), ფხვნილ შაქარზე ფასი უცვლელი დარჩა. ფასების შემდგომი დაკლება შაქარზე ცენტრში აღარ მომხდარა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დასავ. საქართველოში მაინც მოხერხდა შაქარზე ფასის დაკლება კიდევ 50 კაპ.-ით, იგი შეუფარდდა ეგრედ წოდებულ „ნავთსადგურის ფასებს". ეს დაკლება გატარდა გორში, ხაშურში, სამტრედიაში, ქუთაისში, ზესტაფონში.

ამ ჟამად ირჩევა საკითხი იმის შესახებ, რომ ფასები შაქარზე შავი ზღვის სანაპიროებზე გაუთანაბრდეს ოდესაში არსებულ ფასებს. იქ შაქრის ფასი ისეთი დაბალია, რომ კერძო ვაჭრებისათვის, მაგალითად, ხელსაყრელია ორმაგი ფრახტის გადახდა ოდესიდან ბათომამდე და ფოთამდე შაქრის გადატანაში; ეს შაქარი კერძო პირის სავაჭროებში უფრო იაფად იყიდება, ვიდრე ადგილობრივ კოოპერატივებში: კერძო სავაჭრო ჰყიდის 57 კაპ. კილოს, ხოლო კოოპერატივი—81 კაპ. კილოს.

პურის ბაზარზე

განზრახულია პურის ფასების დაკლება

ამ ჟამად ვაჭრობის სახალხო კომისარიატში სდგას საკითხი ფქვილზე ფასების დაკლების შესახებ. განზრახულია ფასის დაკლება 1 კაპ. რაოდენობით გირვანქაზე.

ამასთან ერთად სწარმოებს კოოპერატიული და კერძო ფურნების გამოკვლევა ფასების დაკლების შესაძლებლობის გამოსარკვევად. ამ მიზნით შედგენილ კომისიაში მონაწილეობას იღებენ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, მუშკოოპის, „ზაკტპოს", აღმასკომის, სახელმწიფო ბანკის, „ხლებოპროდუქტის", „კავხლების" და სხ. წარმომადგენელნი.

მუშაობა ამ კომისიამ დაიწყო შაბათიდან. იგი დეტალურად იკვლევს მუშკოოპის „ზაკტპოს"-და სხ. იმ ორგანიზაციების კალკულიაციას, რომელნიც გამომცხვარ პურს ჰყიდიან. გამოირკვა, რომ მეორე ხარისხის ჩვეულებრივი პური, რომელიც „ზაკტპოში" 8 კაპ. იყიდება, ჯდება 7,93 კაპ. სხვა ხარისხის პურზეც განსხვავება თვითღირებულებასა და მის გასასყიდ ფასს შორის უდრის 0,07 კაპ. გირვანქაზე.

ფასების დაკლება და პროფკავშირები

(საუბარი საბჭოთა სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირის სატარიფო-ეკონომიური განყოფილების გამგე ამხ. ნ. ღლონტთან)

საბჭოთა-სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირის მონაწილეობა საცალო ფასების დაკლების კამპანიაში საკმაოდ აქტიური იყო. ეს დაიწყო იმით, რომ მოწვეულ იქნა მთელი რიგი თათბირები სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებების და კოოპერატივების მოსამსახურეთა თანადასწრებით: ამ თათბირებმა ძალიან ბევრი დადებითი შედეგები მოგვცა. ვის უნდა სცოდნოდა ჩვენი „მტკივნეული" მხარეები, ჩვენი ვაჭრობის დეფექტები, რომელნიც გავლენას ახდენდენ ფასების დაკლების კამპანიის ჩატარებაზე, თუ არა კოოპერაციის მუშაკებს.

იმის შემდეგ, როცა დამთავრდა ამ თათბირების სერია, შესდგა საერთო-საქალაქო კონფერენცია, რომელზედაც ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა გააკეთა მოხსენება ფასების დაკლებისა და იმ როლის შესახებ, რომელიც უნდა ითამაშონ ამ კამპანიაში ჩვენი კავშირის წევრებმა. მოხსენებამ აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია; კამათიდან ნათლად გამოირკვა, რომ პროფკავშირის მასას საუცხოვოდ აქვს შეგნებული ამოცანის სირთულე და კარგად ერკვევა მისი განხორციელებისათვის ბრძოლის ხასიათში. აქვე იქნა გამოთქმული ბევრი პრაქტიკული შენიშვნები, რომლებმაც გამოხატულება ჰპოვეს რეზოლიუციაში.

ფასების დაკლების საკითხს ყურადღება მიაქცია სრ. საქართველოს პროფკავშირთა მე-6 ყრილობამ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ამ საკითხის ფართო პოპულიარიზაციის აუცილებლობის შესახებ, და აღნიშნა მიღწეული შედეგები და ფასების დაკლების სრული განხორციელებისათვის შემდგომი მუშაობის ხასიათი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ფასების დაკლების კამპანიის არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა პროფკავშირთა მასის აქტიური მონაწილეობის გარეშე, რომელიც ძალიან უწყობდა ხელს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მოხდენილ გამოკვლევებს; პროფკავშირთა მასამ ენერგიული მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ფასების დაკლების შემამოწმებელი მუშათა კომისიების მუშაობაში. ამ კომისიებმა ძირითადი გამოკვლევანი ამ ჟამად უკვე დაამთავრეს და მათი შედეგები აქტების სახით, რომელიც შედგენილია ყოველი კოოპერატიული დუქნის, სახვაჭრობის ყოველი მაღაზიის მიხედვით, გადაეცემა ვაჭრობის სახ. კომისარიატს, რომელმაც მოკლე ხანში უნდა დაამუშაოს ეს მასალა და ამ ცნობების მიხედვით განსაზღვროს თავისი მუშაობის შემდგომი ნაბიჯები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფკავშირთა მასის მონაწილეობა არაკეთილსინდისიერ გამყიდველებთან ბრძოლაში, რომელნიც თავიანთ სასარგებლოდ არღვევენ დირექტივას ფასების დაკლების შესახებ. ასეთი სუბიექტები აღმოჩენილ იქნენ მუშკოოპში, „ტექსტილტორგში"; ისინი მოხსნილ იქნენ სამუშაოდან, გამორიცხულ იქნენ კავშირიდან და ამ დღეებში მოხდება მათი საჩვენებელი გასამართლება.

---

*) წინადადების წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრამვაის ტარიფის
შემცირება

თბილისის საბჭოს 17 მაისის პლენუმის დადგენილების თანახმად დღეიდან, 1 ივნისიდან, ტრამვაის ტარიფი შემცირებულია შემდეგნაირად:

—სააბონიმენტო თვიურ წიგნაკებზე 1 მან. 50 კაპეიკის ნაცვლად წესდება 1 მან. 20 კაპეიკი, წლიურ სახელობით წიგნაკებზე 220 მანეთის ნაცვლად—120 მანეთი, წლიურ უსახელო წიგნაკებზე—440 მანეთის ნაცვლად—180 მანეთი.

მე-3, მე-4, მე-11, მე 12 და მე 16 მარშრუტებზე 15 კაპიკის მაგივრად დაწესებულია 10 კაპიკი.

გარდა ამისა, დაწესებულია წითელარმიელებისათვის 5 კაპიკიანი სამგზავრო ტარიფი გასავლელი მანძილის მიუხედავათ. დადგენილებით შეღავათიანი ბილეთები ეძლევათ აგრეთვე მუშებს დილის სამუშაოებზე წასასვლელად და იქიდან დასაბრუნებლად.

ფლორიდინის მადანი

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დავალებით, გეოლოგმა **კონიუშევსკიმ** მოახდინა გამოკვლევა იმ რაიონში, სადაც ამას წინად პროფესორ **თვალჭრელიძის** მიერ ქუთაისის მაზრაში აღმოჩენილი იქნა ფლორიდინის მადანი. (ფლორიდინი არის თიხა, რომელსაც ხმარობენ ნავთის გასაწმენდათ; ფლორიდინი საბჭოთა კავშირში შემოაქვთ ფლორიდიდან).

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ფლორიდინის მარაგი ქუთაისის მაზრაში იმდენია, რომ ივი დააკმაყოფილებს საბჭოთა კავშირის მრეწველობის ყველა იმ დარგების მოთხოვნილებას, რომლებსაც ესაჭიროებათ ფლორიდინი. სხვათა შორის, მარტო აზერბეიჯანის ნავთის სამმართველოს ყოველ წლიურად შემოაქვს ფლორიდიდან მილიონ მანეთის ფლორიდინი.

ფლორიდინის მარაგი უფრო სისწორით გამორკვეული იქნება შემდგომ დაწვრილებით გამოკვლევის დროს.

რაც შეეხება ქუთაისის ფლორიდინის ღირსებას, ნიმუშების გამოკვლევამ აზერბეიჯანის ნავთის სამმართველოს მიერ სავსებით დადებითი შედეგები გამოიღო.

საგურამოს აუზი

წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ დანიშნულმა სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. **მიკულინი,** დაათვალიერა და მიიღო საგურამოს წყალსაცავი აუზი.

აღნიშნული აუზი აშენებულია წყალთა სამმართველოს მიერ საგურამოს მიდამოების მოსარწყავათ. აუზი დაიტევს 50 ათას ვედრო წყალს; წყალის მარაგი გამოყენებული იქნება დიდი გვალვების დროს, როდესაც მახლობლად ყველა ღელეები დაშრება.

სულ ამ რაიონში მორწყული იქნება 100 დესეტინა მიწა. აუზი აგებული იქნა 2 თვის განმავლობაში, ინჟ. **ანტ. ჯაფარიძის** ხელმძღვანელობით.

სააღმშენებლო სეზონი
ახალქალაქის მაზრაში

გაზაფხულის დამდეგიდან ახალქალაქში (ჯავახეთის) დიდი მუშაობა სწარმოებს საამშენებლო სეზონის მოსამზადებლად. წელს უმთავრესად ქალაქში იწარმოებს კერძო პირთა სახლების აგება. სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებებში შედის მრავალრიცხოვანი განცხადებები შენობის ასაგებად თავისუფალ მიწის ნაჭრების დათმობის შესახებ. სამაზრო აღმასკომი მიწას სცემს იჯარით 60 წლის ვადით და ავალებს კერძო მშენებლებს სახლის აგების დროს დაიცვან სანიტარულ - ტეხნიკური პირობები. ზოგიერთ შემთხვევაში კერძო მშენებლებს კრედიტს აძლევს ქალაქის ბანკი, რომელსაც ამ სეზონისათვის მომარაგებული აქვს სამშენებლო მასალა—ცემენტი, დახერხილი ხე-ტყე, სახურავი რკინა, ლურსმანი და სხვა. კერძო მშენებლობის გაძლიერებას ახალქალაქში ხელი შეუწყო აგრეთვე ამიერ-კავკასიის ცაკის დადგენილებამ, რომლის ძალით მოქალაქეებს რამოდენიმე წლის განმავლობაში ენიჭებათ დიდი შეღავათები. მიმდინარე სეზონში მუშაობას აფართოებს აგრეთვე სამაზრო აღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებაც, რომელმაც თბილისის კომუნალურ ბანკიდან მიიღო სესხი ელექტროსადგურის გასაფართოებლად, ხე-ტყის მასალის დასამზადებლად და სადარაბო შენობების დასამთავრებლად.

აგრო-კულტურ. მუშაობა
სამხრეთ-ოსეთში

სამხრეთ-ოსეთიდან დაბრუნდა მიწათმოქმედების კომისარიატის საცდელ-სამეცნიერო განყოფილების გამგე დ. სამადაშვილი, რომელიც მივლინებული იყო სამხრეთ-ოსეთის სოფლის მეურნეობის გამოსაკვლევად.

მის მიერ შეკრებილი ცნობებით, სამხრეთ ოსეთის აგროკულტურული მუშაობა უმთავრესად სწარმოებს ცხინვალის რაიონში, სადაც მოწყობილია სახალხო მამული მშვენიერი ბაღებით, გამართულია საჯიშო და ღორების მოსაშენებელი სადგური.

საკურორტო სეზონისათვის
დასასვენებელ სახლებში გაგზავნის წესი

დასასვენებელი სახლები გაიხსნება პირველი ივნისიდან.

თბილისის დამზღვევ სალაროს მიერ მუშა-მოსამსახურეთა დასასვენებელ სახლებში გასაგზავნად შემუშავებულია შემდეგი წესი:

მუშა-მოსამსახურენი, რომლებსაც სურთ გაგზავნილი იქნენ დასასვენებელ სახლებში, უნდა გატარდნენ შემრჩევ კომისიაში. მათ უნდა ჰქონდეთ ხელზე თავიანთი ადგილკომის ცნობა, რომ ამა და ამ დროიდან ამ დრომდე შვებულებაში ითვლებიან. თან უნდა იქონიონ აგრეთვე კავშირის საწევრო წიგნაკი, ურომლისოდაც არც ერთი მუშა-მოსამსახურე კომისიაში არ იქნება დაშვებული.

მუშამოსამსახურენი უნდა გატარდნენ კომისიაში არა უადრეს 15 დღისა და არა უგვიანეს 5 დღისა შვებულებაში წასვლის დღემდე.

კომისიაში ვისაც სურს გატარება, ჩაწერა შეიძლება ცენტრალური პოლიკლინიკის შენობაში (პუშკინის ქუჩა № 10) მიღება სწარმოებს საღამოს 5—8 საათამდე.

ქრონიკა

ამხ. ფრუნზეს სახელობის დივიზია

თანახმად საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს ბრძანებისა მეორე ქართულ მსროლელ დივიზიას ეწოდა „ამხ. ფრუნზეს სახელობის მეორე დივიზია“.

შრომის სახკომისაგან.

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ ხუთშაბათი, 2 ივნისი, უქმე დღე არ არის.

ამხ. ყამარაულის გამგზავრება

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში ამხ. ყამარაული სამსახურის საქმეების გამო დღეს მიემგზავრება მოსკოვში.

ა.-კ. ორგთათბირი

ამიერ-კავკასიის პროფკავშირების საორგანიზაციო თაბირი, რომელიც უნდა შემდგარიყო ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოში 7 ივნისს, შესდგება ივნისის მეორე ნახევარში.

თათბირის დღის წესრიგი რჩება წინანდელი.

12 მილიონი მანეთი კომუნალურ მშენებლობისათვის

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული გეგმით, 1928 წელში ქალაქსა და მის მაზრაში კომუნალურ მშენებლობის საქმეზე დაიხარჯება 12 მილიონი მანეთი

ხანძარის წინააღმდეგ

ამ დღეებში ლენინგრადიდან მიღებული იქნება ახალი ელექტრო-აპარატები, რომლის საშუალებით მეხანძრეთა რაზმს ავტომატიურათ შეატყობინებენ ამა თუ იმ ადგილზე ცეცხლის გაჩენის შესახებ. ეს აპარატები დაიდგმება ქალაქის ქუჩებში.

თბილისის აღმასკომში

◆ **ფინგანყოფილება** შეუდგა მიწობრივი საბინაო გადასახადის აკრეფას.

◆ **ახალი ვაგონები.** ტრამვაის მთავარ სახელოსნომ დაამზადა და გამოუშვა ორი ახალი ვაგონი.

◆ **ლურსმანის ქარხანა.** თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა შეაკეთოს და აამუშაოს ლურსმანის ქარხანა.

◆ **კერამიკული სახელოსნო.** ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას გადაეცა კერამიკული სახელოსნო. სახელოსნო გაფართოვებული იქნება.

◆ **საკონსერვო ქარხანა.** ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებამ გადასწყვიტა მაზრის მეხილეობის ერთ-ერთ უმთავრეს პუნქტში მოაწყოს ხილის კონსერვის ქარხანა.

◆ **ახალი ქარხნების** ასაგებათ თბილისს და მის მაზრაში, წელს დაიხარჯება 650.000 მანეთი.

◆ **მზის აბაზანები.** საკურორტო სექციამ მანგლისში მოაწყო მზის აბაზანები და შეაკეთა ყველა საგარაკო სახლი.

სახალხო განათლება

◆ **რუსული ენის სწავლების** მეთოდების გამოსამუშავებლად განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა მოიწვიოს რუსული ენის მასწავლებელთა კონფერენციები.

◆ **9 წლედების მერვე ჯგუფებთან** მომავალ სასწავლო წელიდან აღარ გაიხსნება პარალელური ჯგუფები.

◆ **ქოხ-სამკითხველოების გამგეებს** განათლების განყოფილებამ დაავალა მაზრაში მოაწყონ დრამ-წრეები.

◆ **გადასამზადებელი კურსები.** 1 ივლისს მანგლისში გაიხსნება მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები.

სხვადასხვა

ს. მ. უ. ს. საბჭოს მიერ ლითონის ტრესტის მმართველად დანიშნულია ამხ. **ივ. დადუნოვი,** მის მოადგილეთ —**ვ. ლამბაშიძე.**

საამშენებლო საზ-ბა „სამშენი“ ს. მ. უ. ს. წარმომადგენლათ დანიშნულია ინჟ. **ანდრონიკაშვილი.**

◆ **ახალი საკრედიტო ამხანაგობა.** ქალ. ზესტაფონში დაარსდა შინ მრეწველ ხელოსანთა საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობა.

◆ **ადგილკომის ასარჩევათ.** დღეს, საღამოს 8 საათზე ქალ. აღმასკომის დარბაზში მოწვეულია ქალ. ჯანმრთელობის განყოფილების თანამშრომელთა საერთო კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს ადგილკომი.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ახალციხიდან—კისელიოვს, ნუხიდან—მამედოვს, ბაქოდან—ტერ-ტკვაიძეს, კარაკლისიდან—ტერ-ნიკოღოსიანს, ზუგდიდიდან—ბერვიანს, ტაშკენტიდან—მელუაას. ბაქოდან—რაბინოვიჩს, წნორისწყალიდან—ძამიაშვილს, ზუგდიდიდან—სევრიან ჯეკიას, ბაქოდან—ცარეგსკის, ნოვოროსიისკიდან—ჭკადუას, მოსკოვიდან—რიტევსკის.

სატყეო სამმართველო

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ შეადგინა დებულება სატყეო სამმართველოს დაარსების შესახებ. ამ დებულების მიხედვით, კომისარიატის სატყეო განყოფილება გადაკეთდება სატყეო სამმართველოდ, რომელსაც ექნება შემდეგი 4 განყოფილება: 1) საორგანიზაციო, 2) ტყის მოწყობის, 3) კულტურულ-საცდელ-სამელიორაციო და 4) საექსპლოატაციო. ამავე სამმართველოსთან დაარსებული იქნება სამეცნიერო საბჭო, რომელშიაც სამუშაოთ მოწვეული იქნებიან სპეციალისტები.

ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო სახელგამის შემდეგი გამოცემები: **ი. ნიკოლაიშვილი**—ქართული ენის გრამატიკა—სავსებით გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა; **ჯელილ მამედ-კული ზადე**—„მიცვალებულნი“—კომედია 5 მოქმედებად აზერბეიჯანულიდან თარგმნილი მამედ აბაშიძის მიერ: პროფ. **სიმონ გოგიტიძის**— „ბავშვის კვება“.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **კინო-მრეწველობა.** სახკინმრეწვმა გადასწყვიტა ინჟ. ბუზ-ოღლის პროექტის თანახმად, ააგოს ახალი ატელიე.

◆ **„სტიქიონზე ძლიერი“.** ახლო ხანში სახკინმრეწვი გამოუშვებს ახალ საბავშვო სურათს: „სტიქიონზე ძლიერი“. დადგმა მარჯანიშვილის.

◆ **სამხატვრო აკადემიაში** მოწაფეთა სურათების გამოფენა დაიხურება 5 ივნისს.

◆ **„სამის სიყვარული“.** 2 ივნისიდან კინო „არფასტო“- და „სოლეი“-ში წავა ახალი სურათი „სამის სიყვარული“.

◆ **ქართვ. მხატვართა საზოგადოების ახალი საგამოფენო დარბაზი.** საქ. სახალხო კომისართა საბჭომ ქართველ მხატვართა საზოგადოებას დაუთმო ორი დარბაზი სასტუმრო „ორიანტის“ შენობაში მორიგ გამოფენათა მოსაწყობად.

◆ **„ჩემი ტფილისი“.** ს. რემონიძემ დასწერა რომანი „ჩემი ტფილისი“. წიგნი ამ დღეებში გამოვა.

შემთხვევები
ოთხი ბავშის დაკარგვა

სისხლის სამართლის მილიციას 30 მაისს განიკამ ისაკოვმა განუცხადა, რომ 27 მაისს სახლიდან გავიდა მასთან მცხოვრები მისი ბიძაშვილი რუბენ საკიანი (13 წ.) და დღემდე უკან აღარ დაბრუნებულა.

მოქ. ვარვარა ბელოვამ მილიციას განუცხადა რომ 28 მაისს სახლიდან (ელისაბედის ქ. № 72) გავიდა მისი შვილიშვილი გიორგი ანიშენკო 14 წლის და შემდეგ შინ აღარ დაბრუნებულა.

მოქ. ანასტასია ბოგდანოვიჩმა აცნობა მილიციას, რომ 28 მაისს სასწავლებელში წასული მისი ქალიშვილი ვალენტინა 14 წლის დღემდე არ დაბრუნებულა.

მოქ. დავით პაპიაშვილმა მცხ. როსტოვის ქ. № 1 განუცხადა მილიციას, რომ 28 მაისს სახლიდან გავიდა მისი შვილიშვილი მარიამ იოსების ასული პაპიაშვილი 13 წლის და დღემდე აღარ დაბრუნებულა.

◆ **სკოლის გაქურდვა.** 30 მაისს ვერის დაღმართი № 12 მორგებული გასაღების საშუალებით სახელოსნო სკოლიდან მოიპარეს 70 მან. ნივთები.

◆ **საბეჭდი მანქანის მოპარვა.** 30 მაისს რუსთაველის გამზირი № 12 საბჭოთა სავაჭრო ფლოტის კანცელარიიდან მოიპარეს საბეჭდი მანქანა.

◆ **გვამის პოვნა.** სოფ. სოღანლუღში 29 მაისს მტკვარში იპოვეს ნიკოლოზ ფირალოვის გვამი.

◆ **კომუნალურ ქუჩაზე** მდებარე თბ. აღმასკომის ბაღიდან მოიპარეს 800 ცალი ყვავილების ნამყენი და სხვა ნერგები.

◆ **უეცარი სიკვდილი.** პლეხანოვის სახელობის კლუბის ახლოს გულის სიგანიერით უეცრათ გარდაიცვალა მე-11 სამილ. რაიონის მილიციონერი გიორგი ხუჩიძე.

◆ **გვამის აღმოჩენა.** სოფ. არგის უბნის ტყის მახლობლად (ასურეთის რაიონი) აღმოჩენილი იქნა ცივი იარაღით მოკლული გოგლა გობეჯიშვილის გვამი. მკვლელები გიორგი და ერვანდ ვართანოვები დაპატიმრებული არიან.

◆ **თავის ჩამოხრჩობა.** სოფ. პოსელიანის მცხოვრებმა (აღბულაღის რაიონი) მარუსია ლავრენტიევისამ ბერში ჩამოკიდებულ თოკზე ჩამოიხრჩო თავი. მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **ნაქურდალი ნივთების** შესყიდვისათვის დააპატიმრეს მამადი ბაგირ რიბაევი და ასკერ ახაზ-ოღლი.

◆ **ქურდობა.** 30 მაისს ბაზრის ქ. № 8 გაქურდეს ვლადიმერ ივანეს ძე გეგეშიძის ბინა.

ახალი ექიმები

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცნობებით, წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოუშვებს 86 კურსდამთავრებულ ექიმს. ჯანმრთელობის კომისარიატი აქედანვე შეუდგა სამზადისს ექიმების ახალი კადრების გამოსაყენებლათ.

კურსდამთავრებული ექიმები მოვალენი არიან გაიარონ ორი წლის პრაქტიკა, შესაფერი სპეციალობის კლინიკაში, ხოლო შემდეგ ისინი გაგზავნილ იქნებიან სამკურნალო დაწესებულებებში სამუშაოთ.

ახალი ექიმების მომზადების მიზნით, გადაწყვეტილია ზაფხულის განმავლობაში ისინი მიამაგრონ ზოგიერთ სამკურნალო დაწესებულებებს და შემდეგ კი გაგზავნონ სოფლებში სამუშაოთ.

საექიმო ფაკულტეტზე დამთავრდა სახელმწიფო გამოცდების გაზაფხულის სესია. ექიმის ხარისხი მიიღეს შემდეგმა კურსდამთავრებულმა სტუდენტებმა: **გრიგოლ ასათიანმა, მარიამ ბოკერიამ, ფილარეტ ლაბაძემ, შაქრო მირიანაშვილმა, ქეთო ნასყიდაშვილმა, ოლია ფხალაძე-სადოვსკისამ.**

დახმარება
ადგილობრივ მრეწველობას

ადგილობრივი მრეწველობისათვის ფინანსიური დახმარების აღმომჩენმა განსაკუთრებულმა კომისიამ მიიღო და დაამტკიცა ჭიაურის (სიღნაღის მაზრა) სახერხი ქარხნის გაფართოების პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა.

თანახმად ს. მ. უ. ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების მიერ წარმოდგენილი ცნობებისა, აღნიშნული ქარხნის გაფართოება დაჯდება 21.573 მან. წელს ქარხნის გასაფართოებლათ დადგენილია გაცემულ იქნეს 5 ათასი მანეთი გრძელვადიანი სესხის სახით. სესხის სახით. სესხის დაბრუნების ვადათ დანიშნულია 1929 წელი.

სამტრედიაში აგურის ქარხნის შენების დასასრულებლათ, კომისიამ გადასწყვიტა გადასდოს 6.500 მანეთი, ხოლო ქარხნის საბრუნავი კაპიტალის გასაძლიერებლათ—5.500 მანეთი.

ეთეროვანი მცენარეები

ეთეროვან მცენარეთა გასაშენებლად მიწ.-მოქ. კომისარიატმა ინჟენერ **ზელენსკის** გადასცა 20 დესეტინა მიწა ჭკადუაშის მამულში (ყოფ. მიურატის მამული სამეგრელოში) ინჟ. ზელენსკი უკვე შეუდგა ეთეროვან ჯიშის მცენარეთა გაშენებას, რომელთაგან დამზადებულ იქნება სურნელოვანი ზეთი. ნერგები გამოწერილია რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან. შემოდგომაზე ლაბორატორიაში ვამოცდიან ამ ნერგებს, იმის გამოსარკვევათ, თუ რომელი მცენარე უფრო შეეგუება ადგილობრივ პირობებს.

რკინის გზებზე
სამი ორთქლმავლით

გზის გამგეობას განზრახული აქვს ცდების სახით შემოიღოს უღელტეხილზე მატარებლების სამი ორთქლმავლით ტარება, ან ყოველ მატარებელს გააყოლოს მიმწოლი ორთქლმავალი.

ამჟამად მიმწოლი ორთქლმავლები მიჰყვებიან მხოლოდ სამარშრუტო მატარებლებს.

მატარებლის დაჯახება

30 მაისს ბაქოს მეორე სადგურში სამანევრო მატარებელი დაეჯახა ორთქლმავალს.

ამის გამო ლიანდაგს ასცდა ორთავე ორთქლმავალი. ორთქლმავალს გარდა დაზიანდა აგრეთვე ორი ვაგონი. მოძრაობა არ შეფერხებულა.

სასმელი წყალი

ა.-კ. რკ. გზის ზოგიერთ სადგურებზე არ მოიპოება სასმელი წყალი. ამის გამო გზის სალიანდაგო დარგმა მიიღო ზომები და ასეთ სადგურებს სისტემატიურად მიაწოდებენ სასმელ წყალს.

მივლინების ხარჯები

მივლინებაში გაგზავნილ თანამშრომლებს დღიური ხელფასი აქამდე ეძლეოდათ თვიური ხელფასის ერთი-მეოცდაათედის სახით.

სამივლინებო ხარჯების შემცირების მიზნით, ეხლა ეს წესი იცვლება; ამიერიდან მივლინებაში გაგზავნილი რკინისგზელები მიიღებენ დღიურ გასამრჯელოთ ჯამაგირის ერთ-მეოცდაათედს.

სასამართლო

ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს თანამშრომელთა პროცესი.
მხარეთა კამათი

გუშინდელ სხდომაზე დაიწყო მხარეების კამათი.

სახელმწიფო ბრალმდებელმა ამხ. **ლევან ყულენტმა** თავის ვრცელ სიტყვაში დაახასიათა ბრალდებულების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება და დაწვრილებით შეეხო ბრალდებულების „საქმიანობას“—„ემსში“.

პროკურორი უკეთებს რა ანალიზს საქმეში დართულ მასალებს და მოწმეების ჩვენებას, აღნიშნავს, რომ ბოროტმოქმედება დიდ ხანია მზადდებოდა, მონაწილეთა როლები განაწილებული იყო.

პროკურორს დამტკიცებულად მიაჩნია ის გარემოება, რომ ბრალდებული **ქავთარაძე, ბაქრაძე** და **გრიშაშვილი** წინასწარ შემუშავებული გეგმით მუშაობდნენ სახაზინო თუღლების მისათვისებლად.

ბრალდებულის სიტყვით ქავთარაძემ, ბაქრაძემ და სხ. ისარგებლეს „ემსის“ ადმინისტრაციის სისუსტით და ამის გამო უშიშრად აწარმოებდნენ სახაზინო ქონების განიავებას. ემყარება რა მოწმეთა ჩვენებას—პროკურორი ამბობს,—ბრალდებულების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას სისტემატიური ხასიათი ჰქონდა.

ბრალდებული **მელიავა** კი დამოუკიდებლად მოქმედებდა.

ბრალმდებელს დამტკიცებულად მიაჩნია ის გარემოება, რომ ბრალდებულების მიერ მითვისებულია და გაფლანგული—22.000 მან.

შეეხო რა ბოროტმოქმედების კვალიფიკაციას პროკურორმა სთქვა: ბრალდებული ქავთარაძე, ბაქრაძე, გრიშაშვილი და მელიავა უნდა დაისაჯონ სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის მიხედვით რომლითაც გათვალისწინებულია გაფლანგვა და თანამდებობის ბოროტათ გამოყენება.

პროკურორმა **პავლიაშვილმა** მხარი დაუჭირა ბრალდებას და მოითხოვა ბრალდებულების დასჯა.

შემდეგ ილაპარაკეს ბაქრაძის დამცველებმა: **ა. ტატიშვილმა და გუბელაძემ.**

განაჩენის გამოტანა მოსალოდნელია ხვალ.

მცხეთაში საქონლის დახოცვის საქმე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ლაზხის** თავმჯდომარეობით დაიწყო მიწათმოქმედების სახკომისარიატის ლაბორატორიის ყოფილ გამგის **ალექსანდრე რედკოს** და ბეითალ ექიმის **რაჟდენ სანაკიძის** საქმის გარჩევა.

როგორც ვსწერდით, რედკოს და სანიკიძის სამსახურისადმი გულგრილად მოპყრობისათვის წ. წ. მაისში, მცხეთაში დაიღუპა 167 სული საქონელი.

ბრალს სდებს პროკურორი **კიკაბიძე,** ბრალდებულებს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრები: **შ. მესხიშვილი, ჟორდანია; ელიავა და პოლუმორდვინოვი.**

გამოწვეულია ექსპერტები და მოწმეები.

გუშინ დაკითხულ იქნა ბრალდებულები, რომლებმაც თავი არ სცნეს დამნაშავედ.

სასამართლოს სესიის გამგზავრება

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესია ამხ. **ი. სიჭინავას** თავმჯდომარეობით გამგზავრა გორის მაზრაში. სესია იქ დაჰყოფს ორ თვეს და გაარჩევს 62 საქმეს.

პავლე კალატოზიშვილის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში შემოვიდა პავლე ანტონისძე კალატოზიშვილის საქმე.

კალატოზიშვილი 1923 წლიდან მსახურობდა მონაგარიშეთ პოლიგრაფ ტრესტის პირველ სტამბაში. მის მოვალეობას შეადგენდა სალაროს წიგნების წარმოება, მუშებისათვის ხელფასის დარიგება და სხვა.

1925 წ. 1 სექტემბრიდან კალატოზიშვილმა ხელი მიჰყო სახაზინო ფულების მითვისებას და 1926 წ. აგვისტომდე გაფლანგა 2.655 მანეთი.

გარდა ამისა, მან სამსახურისადმი გულგრილად მოპყრობით ტრესტს მიაყენა 768 მან. და 77 კაპ. ზარალი.

ამჟამად კალატოზიშვილი დაპატიმრებულია.

მცირე-წლოვანი დამნაშავე

თბილისის მესამე საცდელ-საჩვენებელ სკოლის მეექვსე ჯგუფის მოწაფე **ფრიდონ ჟორჟოლიანი** (15 წლისა) ა. წ. 11 მაისს, დასვენების დროს სკოლის ეზოში ამხანაგებთან თამაშობდა ბურთს. თამაშის დროს ჟორჟოლიანს მისმა ამხანაგმა **არჩილ დადიანმა** (14 წლისა) ხუმრობით ბურთს გაუკრა ხელი. ეს „შეურაცყოფად“ მიიღო ჟორჟოლიანმა და სილა გააწნა დადიანს ეს უკანასკნელიც გაბრაზდა და დაიწყო მათ შორის ხელჩართული ბრძოლა. ბოლოს ჟორჟოლიანმა ამოიღო დანა და მოკვლის განზრახვით დასჭრა დადიანი.

დადიანი სასწრაფო საექიმო დახმარების აღმოჩენით სიკვდილს გადაარჩინეს.

ჟორჟოლიანი შეიპყრეს.

საქმე გადაეცა ოლქის სასამართლოს.

ოზურგეთელ თავდამსხმელების საქმე უზენაეს სასამართლოში

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. **თუმანოვის** თავმჯდომარეობით, ოზურგეთში გაარჩია **შალვა გრიგოლისძე ებრალიძის, ეტიფანე ეგნატესძე ტრაპაიძის** და **ნოე გიგოსძე დოლიძის** საქმე.

ზემოთ ჩამოთვლილ პირებს ბრალდებოდათ წინასწარ შეთანხმებით თავდასხმა მოქ. **ნიკ. კალანდარიშვილზე,** რომელსაც სიკვდილის მუქარით მოსთხოვეს ფული, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს. გარდა ამისა, ბრალდებულებმა გაქცეულ **დ. ბ-თან** შეთანხმებით წ. წ. 24 მაისს, მუქარის წერილი გაუგზავნეს მოქ. ნ. კალანდარიშვილს და მოსთხოვეს მას 2.000 მანეთი ფულად და 100 მანეთის თამასუქის მიცემა, მაგრამ აქაც მათი ოინები გამომჟღავნდა და ისინი დაპატიმრებული იქნენ

სასამართლომ დოლიძეს, ტრაპაიძეს და ებრალიძეს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი დახვრეტა.

მსჯავრდადებულებმა საკასაციო საჩივარი შეიტანეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, სადაც ეს საქმე გაირჩა გუშინ ამხ. **რ. შომახიას** თავმჯდომარეობით.

უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ ოლქის სასამართლოს განაჩენი გააუქმა და საქმე გადასცა დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს პროკურორს დამატებითი გამოძიების მოსახდენად.

ჩულქების მოპარვისათვის

30 მაისს, მეორე უბნის სახალხო სასამართლომ გაარჩია საქმე ს. ბაბალიკაშვილისა, რომელსაც ბრალდებოდა ი. ფიჩხაძის მაღაზიიდან ორი წყვილი ჩულქის მოპარვა, სასამართლომ დამტკიცებულად სცნო მისდამი წაყენებული ბრალდება და მიუსაჯა მას სამი თვით დაპატიმრება.

ბოროტმოქმედება აჭარისტანის ფინსახკომში

ა. წ. მარტის თვეში მოხდა აჭარისტანის ფინსახკომის საქციზო სამმართველოს საფუძვლიანი რევიზია. რევიზიით გამოირკვა, რომ ფინანსთა ინსპექტორები ღებულობდნენ ქრთამს და მათ კავშირი ჰქონდათ კერძო ვაჭრებთან.

აჭარისტანის რესპუბლიკის პროკურორის და საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის შეთანხმებით, აჭარისტანში მივლინებული იქნა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს უფროსი გამომძიებელი ამხ. **დ. აბაშიძე,** რომელმაც აწარმოვა ამ საქმეზე გამოძიება.

გუშინ, ამხ. აბაშიძე დაბრუნდა თბილისში, მან ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი,

აჭარისტანის ფინანსთა სახალხო კომისარიატში დიდი ხანია, რაც ადგილი ჰქონია ბოროტმოქმედებებს. საქციზო სამმართველოს ზოგიერთი თანამშრომლები, ფინინსპექტორები მათი ბუხჰალტერები 1925 წ. დასაწყისიდან სისტემატიურად იღებდნენ ქრთამებს. მოქმედებდნენ წინასწარი შეთანხმებით, მტკიცე კავშირი ჰქონდათ ვაჭრებთან.

საქციზო სამმართველოს უფროსი ინსპექტორი **ისაკ დიასამიძე** და მისი თანაშემწე **ილია რუხაძე** წინასწარ შეთანხმებულ გეგმით მუშაობდნენ. ისინი ნაკლებ გადასახადს აწერდნენ კერძო ვაჭრებს, განსაკუთრებით კი ღვინით მოვაჭრეებს. სამაგიეროდ ვაჭრებისაგან ღებულობდნენ „გასამრჯელოს“. მიღებულ ფულებით კი დიასამიძე და რუხაძე ქეიფს მართავდნენ და ბოლო მხიარულად ატარებდნენ გარდა ამისა ისინი ქეიფობდნენ ვაჭრების ხარჯზე. ერთ დღეს, დიასამიძემ და რუხაძემ იქეიფეს სახადლო „რურში“ ერთი ღვინის მოვაჭრესთან. მეორე დღეს კი მეგობარ ვაჭარს გადასახადი შეცირებული რაოდენობით შეაწერეს.

ფინანსთა სახალხო კომისარიატში მიიღეს ცნობა, რომ დიასამიძემ იქეიფა ვაჭართან და აღუთქვა მას დახმარება „წარმოების გაფართოების საქმეში“. დაკითხვისას დიასამიძემ უარჰყო ეს გარემოება და განაცხადა, რომ ყოველივე ეს კერძო ინტერესებზე აგებული ცილისწამებაა. მან კომისარიატს წარუდგინა სახადლო „რურ“-ის მეპატრონის ყალბი ცნობა, რომ თითქო მან (დიასამიძემ) ნახარჯი გადაიხადა.

ამ პირებს გვერდს უმშვენებდა აგრეთვე საქციზო სამმართველოს ბუხჰალტერი **ნიკოლოზ ანდღულაძე** და ფინინსპექტორი **გიორგი მურაძე** ამ უკანასკნელმა ვაჭრების დავალებით ადგილობრივ სტამბას შეუკვეთეს საბუხჰალტრო წიგნები. მიიღეს ვაჭრებისაგან 700 მანეთი, კომისარიატს განუცხადეს, რომ მათ ესაჭიროებათ თანხა საბუხჰალტრო წიგნების შესაძენად. ამ მიზნით მიიღეს კომისარიატისაგან 228 მანეთი. სინამდვილეში გადიხადეს 272 მანეთი. დანარჩენი თანხა მიითვისეს. კომისარიატისათვის კი ერთი საბუხჰალტრო წიგნი არ შეუძენიათ.

პასუხისგებაშია აგრეთვე მიცემული საგადასახადო ინსპექტორები **ს—ძე** და **ბ—ძე.** ისინი სისტემატიურად ართმევდნენ ვაჭრებს ფულს „სესხის სახით“ და აღარ უბრუნებდნენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ფინინსპექტორის ბუხჰალტერების, **ილია დუდუჩავას, ევგენი გედენიძის და ნიკიფორე სადრაძის** ოინები. სამთავე მოქმედებდნენ წინასწარი შეთანხმებით და „ნადავლს ძმურად“ ინაწილებდნენ. ართმევდნენ ვაჭრებს ფულებს და სამაგიეროდ მათი სავაჭრო ბრუნვის შესახებ ადგენდნენ ყალბ ცნობებს. რითაც ვაჭრები იხდიდნენ შემცირებულ გადასახადს. ასე მაგ. მოვაჭრე ქერიმ-ოღლისაგან მიიღეს 400 მანეთი, მიკროპულისაგან 200 მანეთი, კობახიძისაგან 75 მან., გუნიაძემ 100 მან. საკუთრად სადრაძემ ვაჭარ ვაიშენბლატისაგან მიიღო 80 მანეთი. მექრთამეები იმდენად დაწვრილმანდენ, რომ ფულის ანგარიშში ღებულობდნენ სახილე ვაზებს, ჭიქებსა და სხვა.

სადრაძე უფრო მსხვილ კომბინაციას იყო დაჩვეული. მან ვაჭარ მაშვეჩის და აბრამოვის სავაჭრო ბრუნვის შესახებ შეადგინა ყალბი ცნობა. ამ ვაჭრების წლიური სავაჭრო ბრუნვა უდრიდა 250.000 მანეთს, ხოლო წიგნებში გაატარა 25.000 მან. ამით მათი გადასახადი მნიშვნელოვნად მცირდებოდა.

ამჟამად: ისაკ დიასამიძე, რუხაძე, სადრაძე, დუდუჩავა; გედენიძე, ანდღულაძე და მურაძე დაპატიმრებული და მოთავსებული არიან ბათომის გამასწორებელ სახლში.

პასუხისგებაშია აგრეთვე მიცემული ქრთამის გამცემი პირებიც.

ბიბლიოგრაფია
მოსე გოგიბერიძე

„ისტორიული მატერიალიზმი“ — ქრესტომატია. სახელგამი. გვ. 810—ფასი 2 მან. და 60 კაპ.

ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ამ უკანასკნელ წლებში შედარებით მოწესრიგდა მარქსისტული მეცნიერების შესწავლის საქმე. კერძოთ, ისტორიული მატერიალიზმი მარქსიზმის უმთავრესი შემადგენელი ნაწილია, რომლის ცოდნის გარეშე შეუძლებელია შესწავლა არა თუ საფუძვლიანად არამედ თვით ზერელეთაც იმ რთული და დიდი მეცნიერული სისტემის, რომელსაც მარქსიზმი ეწოდება. მით უმეტეს, ყოველი ახალგაზრდისათვის, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში იზრდება, ისტორიული მატერიალიზმი უნდა გადიქცეს ყველაზე საყურადღებო და ძირითად დისციპლინათ, რადგან პროლეტარულ წყობილებაში არ ცოდნა ისტორიულ მატერიალიზმისა, ნიშნავს არ ცოდნას დღევანდელი სოციალური სინამდვილისას, არ ცოდნას იმისას, თუ რანი ვართ ჩვენ და რას წარმოადგენს ჩვენი მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი სისტემა, არ ცოდნას ბურჟუაზიული საზოგადოების ისტორიული ბედისას და სოციალიზმის აუცილებლობისას.

ისტორიული მატერიალიზმი — როგორც ლაპარაკობს მერინგი არის მუშათა კლასის ისტორიული თვალსაზრისის მეთოდი, წინააღმდეგ ისტორიული იდეალიზმის, რომელიც ყველა თავის შესაძლებელი განშტოებით — თეოლოგიური, რაციონალისტური თუ ნატურალისტური - ბურჟუაზიული კლასის ისტორიული მეთოდია.

მაგრამ სწორედ ისტორიული მატერიალიზმის შესწავლა ყველაზე მეტად მივიწყებული იყო ჩვენი უნივერსიტეტის მიერ და მხოლოდ გასული წლიდან იქნა დაყენებული ის სათანადო ნიადაგზე. საჭირო სახელმძღვანელოების თითქმის უქონლობა ქართულ ენაზე მეტად აძნელებს ამ სერიოზული მეცნიერების შესწავლას. ამხ. ბუხარინის ცნობილი სახელმძღვანელოს და პლეხანოვის რიოდე ნარკვევის გარდა სხვა მასალებს დაინტერესებული მკითხველი ქართულ ენაზე მოკლებულია. ამხ. გოგიბერიძეს განუზრახავს ამ ნაკლის შევსება, რამდენათ შესაძლებელი იყო ეს მოკლე დროის და არსებულ საგამომცემლო პირობების გამო. ამხ. გოგიბერიძეს ამხ. მალაქია ტოროშელიძის რჩევითა და დახმარებით შეუკრებია მარქსის, ენგელსის, ლენინის, პლეხანოვის, კაუცკის და სხვათა ყველაზე საყურადღებო წერილები,—ქრესტომატიის სახით.

რასაკვირველია, ერთ წიგნში შეუძლებელი იყო მარქსისტული სოციოლოგიის ყველა საკითხთა შესახებ არსებულ მასალების მოთავსება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მთავარი ამ მხრივ აუცილებლად გაკეთებულია და ქრესტომატია მეტად ძვირფასს მასალას აწვდის დაინტერესებულ მკითხველს.

ქრესტომატია შესდგება ოთხი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში, რომელსაც შემდგენელი შესავალს უწოდებს, მოთავსებულია საერთო ხასიათის მასალა, რომელთა უმრავლესობა უფრო საკითხის მეთოდოლოგიურ მხარეს ეხება მე-2 ნაწილში მოთავსებულია ისტორიული მატერიალიზმის კლასიკური დოკუმენტები, რომელთა შორის საყურადღებოა: პოლიტიკურ ეკონომიის ცნობილი კრიტიკა მარქსისა, ენგელსის წერილები საფუძვლიან და ზედნაშენის ურთიერთ გავლენის შესახებ, ე. წ. ფაქტორების თეორია, გ. პლეხანოვი—მარქსის ისტორიული თეორია და სხვა. მესამე განყოფილებაში მოცემულია წერილები, რომელნიც ავრცელებენ მარქსიზმის ფილოსოფიურ საფუძვლებს კერძოთ დიალექტიკას, სხვა წერილთა შორის ყურადღების ღირსია ლენინის ორი წერილი, ერთი მატერიის რაობაზე და მეორე ობიექტიურ ჭეშმარიტებაზე. უკანასკნელ ნაწილში მოთავსებულია გ. პლეხანოვის „დიდი ადამიანების როლი“, კაუცკის „ძირითადი განსხვავება ადამიანთა და ცხოველთა საზოგადოების შორის“ და ვრცელი ბიბლიოგრაფია ისტორიული მატერიალიზმის შესახებ.

ქრესტომატიის ნაკლათ შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ შემდგენელს მასში არ მოუთავსებია მასალა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა, პიროვნების როლი ისტორიაში, გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობა და სხვა. ამ მასალების გამოტოვება არ შეიძლება გამართლებულ იქნას მხოლოდ იმით, რომ ვითომდა ისინი სპეციალური საკითხებია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქრესტომატია წარმოადგენს საუკეთესო მასალების კრებულს, თანმიმდევრობა მასალებისა განყოფილებათა მიხედვით მისაღებია, თარგმანი დამაკმაყოფილებელია, თუმცა არაა დაცული სტილის ერთგვარობა. წიგნი ზედმიწევნით კარგათ არის გამოცემული.

მარქსისტი

მეცნიერება და ტეხნიკა

კვერცხების ელექტრო-სტერილიზაცია

ელექტრონი იჭრება ცხოვრების ყველა კუნჭულებში, მისი გამოყენების მრავალრიცხოვან დარგებს. უკანასკნელ ხანებში კიდევ 1 დარგი მიემატა: ამერიკაში აგებულია სპეციალური მანქანები კვერცხების სტერილიზაციისათვის როგორც იუწყებიან, ეს მანქანები წარმატებით ასრულებენ თავის დანიშნულებას.

კვერცხებს ათავსებენ ერბოში, რომელსაც ელექტრო დენის საშუალებით ათბობენ 130 გრადუსამდე. ერბო ავსებს „ცვერცხის ნაჭუჭის ყველა ჭუჭრუტანებს და სრულიად შეუძლებლად ხდის ჰაერის შეჭრას კვერცხის შიგნით. ამტკიცებენ, რომ ამნაირად სტერილიზაციაქმნილი კვერცხები რამოდენიმე წლის განმავლობაში ინარჩუნებენ სიახლეს.

ამ რამოდენიმე ხნის წინად შეერთებულ შტატებში აგებული ასეთი მანქანა 10 საათის განმავლობაში ამნაირად ამზადებს 360.000 კვერცხს. კვერცხები ავტომატიურად ამოივლება ერბოში და 3 ნახ. წამის შემდეგ მანქანას ისევ ამოაქვს ისინი ზევით. პირველ ხანებში სცადეს ერბოს გათბობა ორთქლის, ნავთის, ბენზინის, გაზოლინის და სხვ. საშუალებით, მაგრამ ვერც ერთი სათბობი მასალის საშუალებით ვერ მოახერხეს სითბოს მოწესრიგება ისეთის სისწორით, როგორც ელექტრონის საშუალებით.

გულის „გუგუნი“

იმ სტუდენტ-მედიკებისათვის, რომლებიც გულის ავადმყოფობათა დიაგნოსტიკას სწავლობენ, პენსილვანიის (შეერთებულ შტატებში) უნივერსიტეტმა ამ რამდენიმე ხნის წინათ შეიძინა სპეციალური ელექტრონული მოწყობილობა (სტეტოსკოპი), რომელიც ავადმყოფის გულის ცემას 10 მილიარდჯერ ადიდებს. სტეტოსკოპში გატარებული გულისცემის ხმა საშინელი სიძლიერის გრგვინვის ან დიდი სიმაღლიდან წყალის ვარდნის ხმას წააგავს.

მზის სისტემის მოძრაობა

წყნარ ოკეანის ასტრონომიული საზოგადოების სხდომაზე ცნობილმა ამერიკელმა ასტრონომმა **კამპბელმა** გააკეთა მოხსენება თავისი უკანასკნელი გამოკვლევების შესახებ, რომლებიც მან ჩაატარა ასტრონომ მოორთან ერთად. კემპბელსა და მოორს მიზნად ჰქონდათ მზის სისტემის მოძრაობის მიმართულების გამორკვევა, მასალას გამოკვლევისათვის წარმოადგენდა 2.034 უზარმაზარი ვარსკვლავი, რომლებიც მზიდან დაშორებული არიან 500 სინათლის წლის რადიუსით. ამ გამოკვლევის შედეგები ძლიერ ახლოა იმ ცნობებთან, რომლებიც შეკრიბეს წინანდელმა მკვლევარებმა. მზის სისტემის მოძრაობის სისწრაფე უდრის 19 კილომეტრს წამში (68.400 კილომეტრს საათში). წერტილი რომლისკენაც მიექანება მზის სისტემა, მდებარეობს ჰერკულესის კრებულში—ვარსკვლავ მი-სა და „ომიკრონ“-ს შუა.

დედამიწის რადიუსის შეცვლა

უახლოესი ასტრონომიული დაკვირვებების წყალობით ცხადი შეიქნა, რომ დედამიწის ბრუნვა თავისი ღერძის გარშემო რყევას განიცდის, სხვანაირად რომ ვსთქვათ, დღე-ღამე ყოველთვის არ უდრის 24 საათს. ამერიკელმა ასტრონომმა **ბროუნმა,** რომელიც საკითხით დაინტერესებული შეუდგა ამ მოვლენის შესწავლას, გამოარკვია, რომ ამის მიზეზია დედამიწის რადიუსის პერიოდული ცვალებადობა. ბროუნის გამოანგარიშებით, დედამიწის რადიუსი შეიძლება გამოიცვალოს 0,3—7.2 მეტრით.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ რომ ასტრონომ ბროუნის ეს დასკვნები სავსებით ეთანხმება გეოლოგ **ჯოლის დასკვნებს.** გეოლოგი ჯოლიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დედამიწის რადიუსი პერიოდულად იცვლება. მაგრამ ეს დასკვნა მან გააკეთა სულ სხვა გზით—დედამიწის ქერქზე წიაღის ძალების ზეგავლენის შესწავლის საფუძველზე.

ოფიც. განყოფილება
ინსტრუქცია № 01224
ს. ს. ს. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა
საავტო-ტრანსპორტო ღონისძიებათა შესახებ. 21 მაისი 1927 წლ. ქ. თბილისი

1. საქართველოს საბჭ. სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლ. თებერვლის 28-ს დადგენილების თანახმად საქართველოს ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ადგილობრივ ტრანსპორტის ა.-კ. საოლქო სამმართველოსთან შეთანხმებით ადგენს:

საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში, აგრეთვე ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და კერძო საწარმოში შემოწმებულ უნდა იქნას ავტოტრანსპორტის მუშაკების პასუხისმგებელი ტეხნიკური პერსონალის შემდეგი თანამდებობათა კვალიფიკაცია.

1) ცალკე ხაზის განყოფილების უფროსის და მისი თანაშემწის.
2) საავტო-ტრანსპორტო საწარმოში ტეხნიკური ინსპექტორის და ინსტრუქტორის.
3) გარაჟის და პარკის გამგის და თანაშემწის.
4) ავტო-ტეხნიკის.
5) სახელოსნოს გამგის და მათი თანაშემწის.
6) საწყობის გამგის და მისი თანაშემწის.
7) ავტო-მექანიკის.

კვალიფიკაციის შემოწმება იწარმოებს:

ა) ადგილობრივ ტრანსპორტის ამიერ-კავკასიის საოლქო სამმართველოსთან შრომის სახალხო კომისარიატისა, პროფორგანიზაციების (კავშირის ცენტრ. გამგეობის ადგილობრივ ტრანსპორტის და ტეხნიკურ ძალის ბიუროს სექციისა) საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის, დაინტერესებულ და საავტო-მეურნეობისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით, ხოლო უკანასკნელთ ეძლევათ სათათბირო ხმა.

ბ) ადგილობრივ ტრანსპორტის ა.-კ. საოლქო სამმართველოს ტეხნიკური ინსპექციის მიერ ავტო-მეურნეობის და გარაჟების გამოკვლევის წესით, ხოლო აქტი დასკვნით გამოკვლევის მასალის მიხედვით იგზავნება განსახილველად აღნიშნულ კომისიაში.

2. უკეთუ ზემოთ გათვალისწინებულ შემოწმებით გამორკვეული იქნება აღნიშნული პირთა კვალიფიკაციის შეუფერებლობა საქართველოს სსრ სახელმწიფო დაწესებულება და საწარმოო აგრეთვე ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია და კერძო საწარმოო ვალდებულია მოშალოს აღნიშნულ პირებთან დადებული შრომის ხელშეკრულება შრომის კანონთა კოდექსით (47 მუხ. „გ“ პუნ. და ამ მუხლის შენიშვნა) და კოლექტიური ხელშეკრულებით განსაზღვრული წესისამებრ.

3. ამა ინსტრუქციის 1-ლ მუხლში აღნიშნულ თანამდებობაზე ამა თუ იმ პირის დანიშვნა შეთანხმებულ უნდა იქნას ადგილობრივ ტრანსპორტის ა.-კ. საოლქო სამმართველოსთან.

4. წინა მუხლში აღნიშნული დაწესებულება, საწარმოო და ორგანიზაცია ვალდებულია მოახდინოს თავიანთი ავტო-მექანების ყოველთვიური გასინჯვა-დათვალიერება ადგილობრივ ტრანსპორტის ა.-კ. საოლქო სამმართველოს ინსტრუქციით განსაზღვრული წესისამებრ.

5. ამა ინსტრუქციით განსაზღვრული წესების შესრულებისათვის მეთვალყურეობა ეკისრება ადგილობრივ ტრანსპორტის ა.-კ. საოლქო სამმართველოს.

6. დამნაშავენი ამა ინსტრუქციის დარღვევაში მიეცემიან პასუხისგებაში სასამართლოს წესისამებრ სისხ. სამართლის კოდექსის სათანადო მუხლის შეფარდებით.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარი **ლ. ბერია.**
ადგილობრივ ტრანსპორტის ა.-კ. საოლქო სამმართველოს უფროსი **ჯორჯაძე.**
ადმ. სამმართველოს უფროსის მოადგილე რესპ. მილუფროსი **მაჭავარიანი.**

იურიდიული დახმარება
სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ

სოფ. ლიას (ზუგდიდის მაზრა) მცხ.- გლეხს ი. ფიფიას

პასუხი

თანახმად ამ. კავ. სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. 5 მაისის დადგენილება № 19-ის მუხ. სამისა, (გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს № 1473 1927 წ. 12 მაისიდან) შუამდგომლობა 1926—27 წ. და წარსულ წლებისსასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩამოწერის, ახ და გადახდის ვადის გაგრძელების და ან მისი გაწილების შესახებ ადგილობრივ საგადასახადო რაიკომისიაში აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი არა უგვიანეს 1927 წლის ათი ივნისისა.

ევტიხი მებუკეს (კავშირის წიგნ. № 4180)

პასუხი

ის მუშა. მოსამსახურენი, რომელსაც ეძლევათ შრომის ხელფასი პერსონალური განაკვეთით ან და დატვირთვით, ვალდებული არიან იმუშაონ განსაზღვრული დროის განმავლობაში, თუ კი ამას მოითხოვს საქმე და მათი თანამდებობა.

ავადმყოფ. აპ. ხახუბიას

პასუხი

ყველა დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთ, რომელთაც დროებით (ავადმყოფობის გამო) დაკარგეს შრომის უნარი, დღიდან შრომის უნარის დაკარგვისა, დამზღვევ სალაროდან ეძლევათ სათანადო დახმარება მათი საშუალო ხელფასის მთელი რაოდენობით (თუ კი ეს უკანასკნელი თვიურად არ აღემატება 180 მან.) ასეთი სახის, დახმარება თქვენც, როგორც დაზღვეულს, აუცილებლად უნდა მოგეცეთ დამზღვევ სალაროდან იქ, სადაც თქვენ მკურნალობთ (იხ. საქართ. სოცდაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოს 1925 წ. 23 ივნისის ცირკულიარი № 34-ის მუხ. 1 და 4).

პარტიული კალენდარი

დღეს, ოთხშაბათს 1-ლ ივნისს, საღამოს 6 საათზე **შესდგება ლენინის რაიონის დელეგატქალების მეცადინეობა**—ქართული ჯგუფი—პლეხანოვის სახელობის კლუბის ქალთა კუთხეში. რუსული ჯგუფი—ძერჟინსკის სახელობის კლუბში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **არსრაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება** იუწყება, რომ ოთხშაბათს 1 ივნისს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში **შესდგება რაიკომის ქალთა სადელეგატო კრება.**

სავალდებულოა ყველა დელეგატ ქალთა დასწრება დაუგვიანებლად.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **არსრაიკომი** იუწყება, რომ ოთხშაბათს 1 ივნისს, საღამოს **6 საათზე ტრამვაის** კლუბის შენობაში შესდგება შემდეგი **კომუჯრედების** ღია ჯგუფობრივი კრება:

1) 26 კომუნარის ქარხანა, 2) სპილენძის გადამდნობი ქარხანა, 3) მექანიკური სარემონტო ქარხანა, 4) ტრამვაის ელსადგური, 5) ტრამვაის საქარხნო შეგირდობის სკოლა, 6) როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხანა, 7) თამბაქოს ფაბრიკა პროლეტარი, 8) შინამრეწველნი, 9) სახკინმრეწვი, უპარტიო მუშამოსამსახურეებთან ერთად.

სახ. უნივ. პედაგოგიური ფაკ. კომუჯრედის ბიურო იწვევს კრებას 1 ივნისს, დილის 10 საათზე. კრებას უნდა დაესწრონ შემდეგი ამხ.

ქ. სულაქველიძე, გ. სულუხია, დ. ცხაკაია, ია მიქაძე, ა. ბახტაძე, პ. ტრაპაიძე, ს ფაღავა, დ. ნუცუბიძე, ა. დღვილავა, ლ. გვაზმიძე, პ. თავხელიძე.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები გრიგორი იოსებისძე და ვიქტორია სიმონის ასული ანტონოვები, ბიძა ანტონ იოსებისძე ანტონოვი, დები ელისაბედ თარხნიშვილისა შვილებით და ნინა არაზაშვილისა მეუღლით და შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ 30 მაისს ქ. გორში ნაშუადღევის 1-ლ საათზე უდროოდ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი პირველი ორის შვილი, მესამესი ძმის წული და დანარჩენებისა და, ფოსტის მოხელე

მარიამ გრიგოლის ასული
აზარბეგოვისა

გამოსვენება მოხდება ქ. გორის რომის კათოლიკეთა ეკლესიიდან ოთხშაბათს 1 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე. 2888

დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით აცხადებს, რომ 28 მაისს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სასამართლოს მხცოვანი მოღვაწე, დამცველთა კოლეგიის უხუცესი წევრი

მიხეილ მოსეს-ძე მღვდლიშვილი

გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან ოთხშაბათს 1 ივნისს 4 ნახ. საათზე
დაკრძალვა დიდუბეში 2892

ივანე და შალვა დიმიტრისძე ჩხიკვიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი მეგობრის

მიხეილ მოსეს-ძე მღვდლიშვილის

გარდაცვალებას 2898

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი დედა ვასასი კონსტანტინეს ასული იშხნელისა, შვილი ნელი ქვარიანი, დები: ვალენტინა დგებუაძისა, მარია ხუციშვილისა, თამარა დეისაძისა, ნინა მეძმარიაშვილისა, საშა ჯაფარიძისა და ზინა იშხნელი; ძმები: ვანიჩკა, ვალოდია, შურა იშხნელები, რძალი ივდითი იშხნელისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ქალაქ ჭიათურაში პარასკევს 3 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე მღვიმევის მონასტრის სასაფლაოზე გადახდილი იქნება წლის თავზე პანაშვიდი, მათთვის უდროოდ დაკარგულ ძვირფას და დაუვიწყარ

ელენე ალექსანდრეს ასული
იშხნელი-ქვარიანის

მოსაგონარად 2891

აპოლლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.
0—20 ნ. 1094

კონვეი ტირლ და ელენ გამერშტეინ მხატვრულ შედევრში
„ქალი ნისლიდან“
მალე: საუკეთესო სურათი „კაცი კამეტაზე“

პირველად თბილისში ახალი ამერიკული სურათი
„გარიყული გემი“
ჟენი ჯიუმოს მონაწილეობით

ეგიდა ნისენ (სურათი „კორსარ პიეტრო“-ს გმირი)
სეზონის ახალ სურათში
„ერთი ღამე“

ამერიკული კინო-რომანი 6 სერიათ 35 ნაწ.
„ნიუ-იორკის საიდუმლოებანი“
მთავარ როლში პირლ უაიტ 3 და 4 სერია ერთად.

ანონსი: მალე 2 საუკეთესო სურათი „სამის სიყვარული“ და „მისი უდიდებულესობის სოლისტი ქალი“

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების
საკურორტო ქვე-განყოფილება

ყველა იმ მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომელთაც არ გადაუხდიათ აღებულ ოთახების სრული ღირებულება, აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი არ იქნება გადახდილი 5 ივნისამდე, ოთახი გადაეცემა სხვებს და არავითარი პრეტენზიები გადახდილი თანხის და ბრუნების შესახებ არ მიიღება.

სეზონი გაიხსნება 1 ივნისს

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის
ნ. 1265. განყოფილების საკურორტო ქვე-განყოფილება.

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—21

ცეკავშირის და „განათლები“-ს წიგნების მაღაზიებში იყიდება ი. ავალიშვილის
„ბალანსის ანალიზი“
ფასი 1 მან. 50 კაპ.
პროვინციაში გაწერა შეიძლება ფასდადებით ავტორის ხარჯზე, 10 ცალზე ეთმობა 2 მ. მისამ.: თბილისი, ნიკოლაძის ქ. (ყ. დუშეთის) № 19, ი. ავ—ს. 2875 3—1

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 5 ივნისს, დილის 10 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ქალაქის ლომბარდში. ნ. 1266

ქალაქ ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების სალიკვიდაციო კომისია,

ამით აცხადებს, რომ, თანახმად ა. წ. 9 მაისის საერთო კრების დადგენილებისა,

ხდება საზოგადოების ლიკვიდაცია

და ვთხოვთ ყველა კრედიტორებს თავიანთი პრეტენზიები დღიდან ამა განცხადების გამოსვლისა ორი კვირის განმავლობაში წარმოუდგინოს ამ საზოგადოების სალიკვიდაციო კომისიას, რომლის მისამართია—ქ. ზესტაფონი 26 კომუნარის ქუჩა სახლი № 3.

ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების სალიკვიდაციო კომისია. 2900

წალენჯიხის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი თ. ეფსია

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 10 ივნისს, დილის 10 საათზე ის საბერიოში **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის სოფ. ფახულანის კოოპერატივ „აღორძინებას“ ქონებას, რომელიც შეიცავს: ქვის დუქანს, ფარდულს, 4 ცალ პურის ფქვილს და სხ. აღნიშნული ქონება იყიდება სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატის და სხვ. დავალიანების დასაფარავად. 1268

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სასამართ. აღმასრულებელი ა. ა. ბებეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 8 ივნისს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში № 3 ამაღლების ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ვალერიან მურომცევის მოძრავ ქონებას: ხის ავეჯს, ხალიჩებს და სხვა ბინის მოწყობილებას შეფასებულს 419 მანეთად, ზაალ ჩიხლაძის და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის აღმოსავლეთ საქართვ. ოლქის სასამართლოსაგან 26 მარტის 1927 წ. თარიღით, № 23285 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1267

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ ის 6 ივნისს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 10 ტერ-გუკასოვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის პორფილე თოფურიას მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილებას შეფასებულს 2140 მანეთად, „სევკავტორგ“-ის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 22 აპრილის 1927 წ. თარიღით, № 1603 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა. 2896

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 4 ივნისს 1927 წელს, დღის 1 საათზე კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ) № 65. გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** ქვიტკირის სამ სართულიან, თუნუქით დახურულ სახლს, რომელიც ეკუთვნის მოქ. ოვანეს ზაქარიას-ძე მელიქ-აკოფოვს და შესდგება 34 ბინისაგან თავისი დამხმარე ოთახებით ერთ სართულიანი ქვიტკირის ფლიგელით. აღნიშნული სახლი შეფასებულია 15000 მანეთად. „ზაკპოგრუზის“, „ზაკავტოპრომტორგი“-ს და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად აჭარისტანის უზენაეს სასამართლოს 25 ოქტ. 26 წ. № 4591, 3 სექტ. 26 წ. № 3908 ქ. ბათომის შრომის სასამართლოს ა. წ. 27 იან. № 7—12 ოქტ. 26 წ. № 1752, თბ. შრომის სასამართლოს ა. წ. 12 მაისს № 1586 შრომ. და თბ. მე-4 უბნის სახ. სასამართლოს ა. წ. 24 თებ. № 2239, აღმსრულებელ ფურცლებისა. საჯარო ვაჭრობა ჩატარებულ იქნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311—312 მუხლში გათვალისწინებულ წესის დაცვით. ნ. 1267

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

სათვალეების მორგება
უფასოდ



ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 13—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის მოწმობა გაცემული ქუთაისის სამაზრო სამხედრო კომისარიატის მიერ, მოცემული 1925 წლის ოქტომბერში სერგო ოქროპირის ძე კვატაშიძის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა სახლის წიგნი № 252 მარიამ ალექსანდრეს ასულის გუგუციძის სახელზე, ჩ. გ. 2897

დაიკარგა საანგარიშო წიგნაკი № 1096, გაცემული გორის სოცდაზღვევის სალაროდან და გორის წითელ-ჯვრის საავადმყოფოდან მოცემული ბიულეტენი სპირიდონ სარქისისძე ბოთიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2895

დაიკარგა პასპორტი ოჯახის წევრებით და კავშირის წიგნაკი, რკინის გზის პირადი მოწმობა სურათით მარო თარხნიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2894

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 2386 ვასილ სტეფანესძე კობერიძის სახელზე, ჩ. გ. 2890

დაიკარგა დამზღვევ სალაროს საანგარიშო წიგნაკი იოსებ ბერიშვილის სახელზე № 208, ჩ. გ. 2889

დაიკარგა პირადობის მოწმობა ირაკლი სოფრომისძე ბენდელიანის სახელზე, ჩ. გ. 2893

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.